

780
1980

76

ପ୍ରଗତି



1980

5



ISSN 0134-9848

სურსათი



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ შრომებთან დაკავშირებული სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

უილიამ ფოლკნერი. ხმაური და მრისხანება. რომანი. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ	4
კუბრა ვეზინი. ლექსები. თარგმნა თედო ბექიშვილმა	71
რიარს ვაციშვილი. ლექსები. ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდიამ	76
ალექსანდრ ბორუჩაგოვსკი. უცხოელი ხომ არა ვართ? მოთხრობა. თარგმნა დოდო ხანიჭიძემ	81
ჯეიმზ ჯოისი. ულისა. მეცხრე ეპიზოდის დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო ყიასაშვილმა	98
ოლეს გონიანი. უსმანი და მარტა. მოთხრობა. უკრაინულიდან თარგმნა ჭაბა ასათიანმა	126
ბრუნო კეკელიძე. უთავო კორი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა	131
ლუის კამონესი. ლექსი. თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ	145



შთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბანანა ბრეგვაძე, გურამ გოგიავილი,
ნანა ჯარნია (პ. შვ. მდივანი), მამალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ
კვიციანი, ზურაბ კვიციანი, ვახუშტი კოტიანი, როვან მიხეილავილი,
ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ნახაძე, დავით ფარედიანი.

საქართველოს მწერალთა კავშირი
 მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
 ალმანახი

შინაარსი

მხანუილ ფიგინი. ლურჯი კვითულა, რომანი. თარგმნა თამაზ გოდერძიშვილმა	146
ვისლავა უიშგორსკა. ლექსები. თარგმნა გივი აღმაშვილმა	189
ვინსენტ ვილემ ვან გოგი. წერილები (პოლანდიური პერიოდი). დასასრული. თარგმნა ლამარა კიკელაშვილმა	192
სიმონიდე კომსელი. ლექსები. ძველბერძნულიდან თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა	220
ირინა კაჩორნიკოვა. სულის სიღიაღე. ნაწყვეტები წიგნიდან. თარგმნა გივი ბოჭგუამ	222
სერგო თურნავა. მწერალი-აკადემიკოსი ბრიგოლ აბაშიძე და საზღვარგარეთის საზოგადოება	231
ალექსანდრ გლოკი. ლექსები. თარგმნეს მორის ფოცხიშვილმა და ჭემალ ინჯიამ	237

გარეკანზე: პ. სომოვი. ალექსანდრ გლოკი. 1907



«САУНДЖЕ»
 ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
 НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 5 1980
 ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
 ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
 ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

უილიამ ფოლქნერი

ხმაური და მრისხანება



რუმანი

ანგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

ტრამეაი გაჩერდა. წამოვუღი და ჩემი ჩრდილის შუაგულში შევაბიჯე. გზა ლიანდაგზე ვადის. ფიცრისსახურაფიან საყუდარში ბერიკაცი ზის, ქაღალდის პარკი უკავია ხელში და რაღაცას ჭამს. წავიდა ტრამეაი და მიიღია მისი ხმაურიც. გზა იქით მიემართება. სადაც სივრილეა ხეებქვეშ. მაგრამ ნიუ-ეზგლანდს ივნისის თვეში ხეები ცოტა შეტადია შეფოთლილი, ვინემ ჩვენთან, მისისიპში, აპრილის დამდეგს. ქარხნის მილი დავინახე, გამოვტრიალდი, წამოვუღი და ჩემს ჩრდილს მივტკეპნი მტვერში. ზანდაზან ღამლამობით საშინელი რამ შემართება ვიდაც მიდრენს და აგრე ღრენა-ღრენაში მათ სახეებსაც დავლანდავ ხოლმე კი გამიარა ახლა მაგრამ ავად ვარო მე

კედი-მეთქი

არ მომეკარო მხოლოდ დამპირდიო

თუ ავად ხარ მაშინ როგორ შეძლებ-მეთქი

შევძლებ მერე ყველაფერი მოგვარდება და სულ ერთი იქნება დამპირდი

მხოლოდ ჯეკსონში არ გაავზავნინებო

სიტყვას გაძლევ კედი, კედი-მეთქი

არ მომეკარო არ მომეკარო.

მერედა როგორ გამოიყურებოდა-მეთქი იგი კედი

ვინაო

ვინც ვიდრენდა-მეთქი

ქარხნის მილს ვხედავ კვლავ. მდინარე მოჩანს, ზღვის მყუდრო მღვიმეებისკენ რომ მიედინება. სიმყუდროვე ეს წარიშლება, როცა ის იტყვის, აღსდექითო, და უთლებიდა ამოტივტივდება მაშინ. მთელი დღით სანადიროდ წასულვებს. ევრშსა და მე, საუზმე არ მიგვქონდა და გვშვივდებოდა თორმეტი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 4.

საათისთვის, მიმწილი დაახლოებით პირველამდე მაწუხებდა. მერე მაინც აღ-
ბოდა კადევაც, ან ცოტა ხნის წინათ: თუ მწიოდა. ფარნები დაღმართს მიჰყ-
ვება და მესმის მანქანა დაეშვა დაღმართზე. სავარძლის საბეჭდო მუხრე-
ვება და სიგრილეს ვგრძნობ შუბლით ვაშლის ხეთა სურნელზე. — მუხრე-
ფინება. ზემოდან კი სამოთხის სურნელებას აღიქვამს უნოსვა ჯერ კიდევ გუ-
შან შევამჩნიე, რომ სიცხე გაქვს და სულ აღმური აგლის-მეთქი.

ჩელი არ მახლოო.

ყელი: შენ ავადი ხარ და არ შეგიძლია. ის არამზადია-მეთქი.

ერმეს ბონ უნდა გავფეო. ხოლა ასე მითბრეს მაშინ ხელახლა გაქვს ძვა-
ლი გასატეხიო

დაბოლოს უღარ ვაუღავდი იმ კვამლსადენ მილს. ვზა კედელს მიჰყვება.
მზე იჭკრიტება ხეთა ფოთლებში. გრილია კედლის ქვები და ნის აბლოს მიმა-
ვალი ვგრძნობ ან სიგრილეს. მაგრამ ეს აღვილები არა ჰგავს ჩვენს კუთხეს.
ბუნება იქ უფრო სვავრიელია, ხეცტარიფითაა დამათრობელი მწვანეში ჩაფ-
ლული არეშიაღამო. აქ კი იმდენილა ხეების სიმწვანე, ძლივსლა აღიქვამს
თვალი და სითეთრეა დაუხბიქავს ცის შორეული სილაყვარდე. ჩვენს ზღაპრულ
ხეცას ვერ შეედრება. ხელახლა გაქვს ძვალი გასატეხიო და გულ-მუცელი სულ
ჰოი ჰოი ჰოი და ხვითქი გადამდის. დიდი ამბავი გასატეხია და გატეხონ ვიცი
რაც არის ფეხის მოტეხა და რაც უნდა ის ჰქნან. ცოტა უფრო მეტი ხანი მო-
მინდება შინ უურუუტი და მორჩა სახე შემანჭება ოფლი გადამდის და მინდა
ვთქვა ცოტა მაცალეთ მაცალეთ-მეთქი ჰოი ჰოი ჰოი პირს ვკუშავ ხმა ვერ
ამოვიდე და მამამ თქვა ის წყეული ცხენი ის წყეული ცხენიო. არა მე ვარ-
მეთქი დამნაშავე უოველ დილას მიჰყვება ღობეს მიდის სამზარეულოსკენ
კალათა უკავია ხელში მიდის და ღობეზე ჯოხს მიარაკუნებს უოველ დილას
მეც მივკელანობ ფანჯარასთან და ვუღარაჯებ ხელში ნახშირის ნაჭერი მაქვს
მომარჯვებული დილწიმ თქვა. ქკუა აგრე როგორ გამოგლევია ასე მთლად
დასახიჩრდები სულ ორიოდე დღე გავიდა რაც დაიმტვერიო მაცალეთ სული
მოვათქვა მაცალეთ-მეთქი ერთი წუთით


ხმაური უფრო ყრუდ ისმის აქ, თითქოს აქაური ჰაერი გამოღალათ ამ-
დენმა ხმაურმა. სადღაც შორს ძალი ყეფს, მატარებლის გრუხუნი კი სულ
ახლოდან მოდის — ასეა სიბნელეში. ხალხის ხმებიც ასეა, მეტადრე ზანგე-
ბისა. ლუის პეტჩერს არასდროს დაუყვირებია თავისი საყვირი, თუმცა თავის
ძველ ფარანთან ერთად კი დაათრევს სულმუდამ. ლუის, უკანასკნელად რო-
დის გაწმინდე-მეთქი ეგ ფარანი, ვეუბნები მე.

— დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ. ჩრდილოელთა მხარეს წყალ-
დიდობა რომ იყო და სუყველაფერი წილევა, ხომ ვახსოვს? აი, სწორედ ის
დღე იყო. ცეცხლთან ვისხედით იმ საღამოს მე და ჩემი დედაბერი, და მაშინ
იმან მკითხა: „ლუის, წყალმა ჩვენამდე რომ მოატანოს და წაგვლევოს?“ „მარ-
თალი ხარ, მოდი ერთი და ამ ფარანს გავწმენდ-მეთქი“, ასე ვუთხარი. ხოლა,
სწორედ იმ დღეს გავწმინდე.

— წყალდიდობა ხომ აქედან შორს, პენსილვანიაში იყო, — ვეუბნები, —
ჩვენამდე რას მოაღწევდა.

— თქვენებურად მასეა. — მიბასუხა ლუისმა, — მაგრამ წყალი აქაც, ჯე-
ფერსონშიც ისეთივე სველია, როგორც პენსილვანიაში, და სწორედ თქვენა-

40591



ორი ხალხი ბევრი მიწახავს, სახურავზე შემომსხდარი რომ მოტივტივებდა, პო.

— მგონი, შენ და მართას ის ღამე შინ არ გაგიტყვევიათ?

— მართალია. გავწმინდე ჩემი ფარანი და მე და ჩემი დედაცაა მთელი

ღამე სასაფლაოს უკან, ერთ ბორცვზე ვისხედით. სხვა მაღალი კედლები ღარსად ენახეთ, თორემ აქაც ვიკადრებდით ასვლას.

ბიზუიოუსეკა

— ხოდა, მას მერე ეგ ფარანი ერთხელაც არ გაგიწმენდია?

— თუ არ მჭირდება, რატომ უნდა გავწმინდო?

— და მეორე წყალდიდობამდე აღარც გაწმენდავ?

— მაგან გადაგვარჩინა მაშინ და ეგ არის.

— ეგ რა ხუმრობაა, ბიძია ლუის, — ვუთხარი მე.

— ხუმრობააო?! შენ შენსას იახი და მე კი ჩემსას ვიტყვი. ფარნის გაწ-

მენდა თუ წყალდიდობას გადამარჩინა, ამაზე ადვილი რა არის.

— ბიძია ლუისა მაგ ფარნის შუქს დიდი ხანია გადაჩვეულია, ბნელში

უფრო იოლად იჭერს ოპოსუმებს. — თქვა ვერშმა.

— მე ჯერ კიდევ მაშინ ვიჭერდი ოპოსუმებს, როცა მამამენს დედამისი თავზე ნავთიან ჩვარს უსვამდა წილების მოსაცილებლად, — უბასუხა ლუისმა, — ხელყარიელი არ ებრუნდებოდი შინ.

— კი არის მართალი, — კვერი დაუჯრა ვერშმა, — ჩვენს მხარეში ბიძია ლუისზე მეტი ოპოსუმში არავის დაუჭერია.

— დიასაც, — თქვა ლუისმა. — ოპოსუმისთვის საკმარისი სინათლე აქვს ჩემს ფარანს და ნუღარ მოჰყვები ახლა შენებურად. შენეთ, სუნი იკრეს. ჰეი, ჰეი, აბა მარდად, მარდად-მეთქი, ააღლებო!

თითქმის მთლად ჩაფლულებს ხმელ ფოთლებში და მოლოდინად ქცეულებს სული ყელში გვებჯინება, ჩუმი შრიალი გვესმის — ოქტომბრის უქართო ღამეა და მიწის ფშვინვა შერთვია ჩვენს სუნთქვას. სფფფა ჰაერს ფარნის სიბყრალე შეპარვია. შორს ძაღლები პყეფენ და ლუისის ხმა ეჭოდლა აღწევს ჩვენამდე. ყვირილი მან არ იცოდა, მაგრამ საჩუქეში აივანზეც კი გვესმოდა მისი ძახილი. ძაღლების მოხმობისას იმ ბუკისნაირად იახდა, აგრე უქმად რომ მოეგდო მხარზე, თუმცა მასი ხმა უფრო წმინდა და ღბილი იყო, ჯამ-ჯამად მადლდებოდა და მერე ისე ნელინელ მიჩუმდებოდა, რაღაც ნაწილი გვეგონებოდათ სიბნელისა და მღუპარების. ჰეჰეიიიი, ჰეჰეიიიი, ჰეჰეიიიიიიიიიიიიიი.

ბიზუიოუსეკა

ვილკას ხომ უნდა გავუვეო ცოლად

ძალიან ბევრი გყავდა-მეთქი კედი

არ ვიცი კი ბევრი იყო სიტყვა მომეცი რომ ბენჯისა და მამას მიხედავო

ხოდა არ იცი ვისგან გყავს და არც იმან იცის-მეთქი

არ მომეყარო ბენჯისა და მამას ხომ მიხედავო.

ჯერ ხილთან არ ვიყავი მისული და წყლის სიახლოვე მაინც ვიგრძენი. ხავსი მოკიდებოდა და აქა-იქ შეობებელიყო კიდევ სინესტისგან ხიდის ნაცარა ქვები. ქვემოთ კი, ჩრდილში მიჩუხჩუხებს ანკარა წყალი, ლოდს გარს უვლის, ცა აურეკლავს ჭაგლებს. კედი იმას როგორ უნდა გავუვე-მეთქი

ვინმეს ხომ უნდა გავუვეო ვერშმა მიამბო, როგორ დაისაბიჩრა ერთმა კაცმა თავი. ტყეში წასულა და სამართებელი წაუღია თურმე, ერთი პატარა ხევი უნახავს და იქ წასულა. მერე დაუსვია ის გატეხილი სამართებელი და ზურგს უკან გადაუქნევია სისხლიანი გორგალი. მაგრამ ეს კიდევ ცოტას ნიშ-



ნავს. სულაც არ უნდა გქონდეს იგი. არც არასდროს რომ არ გქონოდო, მაშინ იტყოდო, პოი, ეს ხომ ჩინური ანბანია, მე კი ჩინური არ მესმის-მეთქი. მაშამ კი მითხრა, ეს იმითომ, რომ შენ ჯერ კიდევ ქალი არ იციო. ქვეყნის-უბიწობა უცხო ხელია. სიწინადე ნეგატიური ამბავია მისთვის. ბუნების საწინააღმდეგოცაა. კედიმ კი არა, ბუნებამ გაგტანჯაო შენ. მე კი ვუთხარი, მხოლოდ სიტყვებია ეგ და მეტი არაფერი-მეთქი. სიტყვალა არისო უბიწობაც, ასე მომიგო მან. მაშინ მე ვთქვი, არა და არა, არც შეგიძლია იცოდე-მეთქი. ასე მითხრა, ვიცო. ტრაგედია აღარ გვაწვალებს, რა წამსაც ჩახვდებითო მას.

ხიდის ჩრდილი სადაც ეცემა, კარგა ღრმად ვხედავ იქ, ოღონდ ფსკერი მაინც შორსაა. სიმწვანე გადაეცლება წყალში დიდი ხნის ჩავარდნილ ფოთოლს და მისი ჩქრქალი ძარღვებია გამოჩნდება სიზმრისეული ბლანდების მსგავსად, თუმცა ერთმანეთს ჩაწმასნილნი და ბვლებში არიან ჩაჭდეულნი, მაინც თავისთვის ლივლივებს ახლა თვითთელი. და შესაძლოა, როცა ის იტყვის, აღსდექითო, მაშინ ოვალები მოსწყდება გარინდულ სიღრმესა და ძილს და ამოტივტივდება დიდების საჭვრეტად. უთლებიც ამოტივტივდებიან ამის შექმნამ. ხიდის ქვემო კიდეში ჩაქმალე ისინი, გამოვბრუნდი და მოაჯირს დავეყრდენი.

ფსკერს ვერ ვხედავ, მაგრამ სანამდე თვალი სწვდება, ძალზე შორს ჭავლი შეიშხნევა, და მერე ჩრდილიც დავინახე, ვეებერთელა ისარივით მიზანში რომ ამოუღია ეს ჭავლი. ზემოთ კი ქინქლები დარიალებენ, ხან შეიმალებიან ჩრდილში და ხან გამოჩნდებიან. ხოლო თუ ქვემოთ გოჯოხეთი და წმინდა ცეცხლია, მაშინ მკვდარზე უფრო მკვდარნი ვიქნებით ორნივე. მაშინ მხოლოდ შენ დარჩები ჩემთან მაშინ ჩვენ ორნილა დავრჩებით იქ და შემზარავი სირცხვილისგან დაგვიფარავს წმინდა ცეცხლი ნელიად მოდიდდა ისარი, მერე წყლის ნაკადს ამოჰყვა კალმახი, გაიღვია ზედაპირზე და გოლიათის სისხარტით მწერი მიიტაცა, ვითარცა სპილამ — თხილი. მერე შეიკრა ისევ წყალი და კვლავ დავინახე დინებას და ლივლივს შერთული ისარი, ზემოთ კი ისევ დარიალებენ ქინქლები მხოლოდ ჩვენ ორნილა დავრჩებით იქ შემზარავი და წმინდა ცეცხლის მიღმა.

სხარტად და უმოძრაოდ ჩაკიდებია კალმახი მოლივლივე ჩრდილებს. სამი ბიჭი მოვიდა ხიდთან ანკესებით. კალმახს ჩავყურებთ მოაჯირზე გადახრილები. თურმე ცოდნით ეს კალმახი — ამ არემიდანოს ღირსშესანიშნაობა ყოფილა იგი.

— ოცდახუთი წელია იქვრენ და ვერ დაუჭერიათ. ბოსტონის ერთი მალაზია ოცდახუთდღობარაიან ანკესს აჩუქებს იმას, ვინც ამ თევზს დაიჭერს.

— მერედა რას უყურებთ? ჯილდო არ გინდათ?

— კი გვინდა. — ასე თქვეს, მოაჯირზე გადახრილები კალმახს ჩაჰყურებენ.

— მინდა რომელია, — დასძინა ერთმა.

— მე კი ანკესს არ გამოვართმევდი. — თქვა მეორემ, — ფულს ავიღებდი იმის მაგივრად.

— ფული იქნებ არც კი მოეცათ. — თქვა პირველმა, — სანამდღოს ჩამოვალ თუ გინდა. სათევზაო ანკესს მოგცემდნენ მარტო.

— მაშინ გამოვართმევდი და გაეყიდდი.



— ოცდახუთ დოლარს რომ არ მოგცემდნენ იმაში?

— რასაც მომცემდნენ, მომცემდნენ. ამითაც იმდენ თევზს დავაჭერ, რამდენსაც იმ ოცდახუთდოლარიანადაც.

შემდეგ თქვეს, რამდენ რამეს იყიდდნენ ოცდახუთ დოლარად და მოუთმინებლად დაიბდნენ, ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებდნენ და შეუძლებელს შესაძლებლად, ხოლო წესაძლებელს უცულობელ ფაქტად აქცევდნენ ბოლოს. ყოველთვის ასე ემართება ხოლმე ადამიანს, როცა სიტყვებით გამოთქვამს თავის სურვილს.

— მე კი ცხენს ვიყიდდი და ფურგონს, — თქვა მეორემ.

— კი, მაგ ფასად მოგცემდნენ სწორედ, — მიუგეს სხვებმა.

— კი-მეთქი. მე ვიცო, ვინც მომყიდის ერთსაც და მეორესაც ოცდახუთ დოლარად.

— ვინ არის?

— ვინც არის, არის. ოცდახუთ დოლარად მომყიდის.

— აბა ელოდე, — შეაძახეს სხვებმა, — არაფერიც არ იცო, რომაც რაღაცას.

— არა გვერათ ხომ, — თქვა იმ ბიჭმა. კვლავ ეღობოდა ის ორი. მაგრამ ეს არაფერს ეუბნება. მოაჯირს გადაეყუდა და ჩასცქერის კალმახს, რომელიც უკვე გაყიდა. და უცებ მათ ხმებს ქირღვისა და გესლის აღარაფერი ეტყობათ, თითქოსდა თევზიც დაეჭიროთ და ეყიდოთ ცხენიცა და ფურგონიც — ასე განიცდიან მედიდურ სიზუმეს არა მარტო დიდები, ბავშვებიც კი. მართლაცდა სწორია, თავსაც და სხვებსაც რომ ატყუებენ სიტყვებით მუდამ ვამ ადამიანები, დუმილს სიბრძნის ნიშნად მიიჩნევენ ხოლმე. ხოდა, კიდევაც ვაგრძენი, ის ორი გამალეებით ეტებს რამე სათქმელს, ცხენისა და ფურგონის წართმეეას ლამობს.

— ვინ მოგცემს ანკესში ოცდახუთ დოლარს, — თქვა პირველმა. — თუ გინდა დაგვიპლაგები, რომ არავინ.

— თანაც კალმახი ჯერ არ დაუჭერია, — წამოაგონდა შესამუს, მერე დაიყვირა ორივემ:

— მე რას ვამბობდი, რა მტკიცე იმ კაცს? აბა თქვი, სად არის ის კაცი.

— ჰო, მოჩინო, — უპასუხა მეორემ, — შეხედეთ: ისევ უნდა ამოყვინთოს!

სამივე გადაიხარა მოაჯირზე. სამივე გაირიბდა, წახრილი ანკესები სამივეს ერთნაირად უბრწყინავს მზეზე. კალმახმა ნელა ამოატანა ზედაპირს, იბრძება მთლილივე ჩრდილი; და მერე მორევი კვლავ ნელინელ ჩანთქა დინებამ.

— ერთი ამას შეხედე, — ჩაიხურჩულა პირველმა.

— ჩვენ უკვე აღარც ვცდილობთ წავის დაჭერას, — თქვა მან, — მხოლოდ ვუცქერით, როგორ წვალობენ მის ხელში ჩასაგდებად ჩამოსული ბოსტონელები.

— კი მაგრამ, ერთი თევზილაა აქ?

— ჰო, ამან აღარც ერთი გააჭაჭანა წყალში. უფრო კარგი სათევზაო ადგილი აი, ცოტათი ქვემოთ, იმ პატარა მორევთანაა.

— იქ არა, მიუგო მეორემ, — ბიგელოუს წისქვილთანაა ყველაზე კარგი, ორჯერ უფრო ნეტს დაიჭერ იქ.

ცოტა კიდევ წაიკამათეს, სად ჯობდა თევზაობა, ნერე ისევ უარუბდნენ, რაკილა კვლავ მოპკრეს თვალი კალმახს. მალე მორევნა შეიჭმუნდა და აქედან უახლოესი დაბა რომელია-მეთქი, ვკითხე მე. ასე მიპასუვნეს.

— ტრამვიას საზამდე ასეა ახლოს, — თქვა მეორემ და უკან გაიშვირა ხელი, — სად მიდიხართ?

— არსად, ვსვირნობ.

— კოლეჯიდან ხართ?

— დიას, ქარხანა თუ არის ამ დაბაში?

— ქარხანა? — მიუყრებენ.

— არა, — თქვა მეორემ, — აქ არაა, — შემათვალეერეს, — სამუშაოს ეძებთ?

— ბიგელოუს წისქვილზე რას იტყვიან? — თქვა მესამემ, — ისიც ხომ ქარხანაა!

— რა ქარხანაა, ამას ნამდვილი ქარხანა უნდა.

— საყვირი რომ მჭონდეს, ისეთი, — ასე ეუთხარო, — ამ არემილამოში საათის რეკვა არ გამოგონია.

— კი, — თქვა მესამემ, — უნიტარულის სამრეკლოზეა აქ საათი. იმის მიხედვით გაიგებთ დროს. მაგ ძეწვეზე საათი არა გაქვთ?

— ამ დილაა ვამიტყდა, — საათი ვუჩვენე. ვასიძეს გულდასმოთ.

— მაინც მუწაობს, — თქვა მესამემ, — რა დირს ასეთი საათი?

ნაჩუქარია, — მიუუგე მე, — მაშამ მაჩუქა სკოლის დამთავრებისას.

— თქვენ კანადელი ხომ არა ხართ? — მკითხა მესამემ, ელაღობიანმა.

— კანადელი?

— კანადელები ასე როდის ლაპარაკობენ, — თქვა მეორემ, — მე მომისმენია მათი ლაპარაკი. ეს კი ჩანგად გადაცმული ნოხეტიალე მსახიობივით ლაპარაკობს.

— კი მაგრამ, — თქვა მესამემ, — არ გეშინია ამის ვულისთვის ყბაში მოგდოს?

— მე მომდოს?

— შენ არა თქვი, ზანგივით ლაპარაკობსო?

— მორჩი ახლა, — უთხრა მეორემ, — აი, იმ გორაკზე რომ ახვალთ, სამრეკლოს მაშინ დაინახავთ.

მადლობა გადავუხადე.

— ბევრი თევზი დაგეჭიროთ, ბიჭებო, მაგრამ ამ ბებერ კალმახს ხელს ნუ ახლებთ, იყოს ცოცხალი.

— მაგ თევზს მაინც ვერ დავიჭერთ, — თქვა პირველმა. მოაჯირზე ვაღარხარნენ და წყალს ჩააცქერდნენ. მზის სხივებდაფრქვეული სამი წაბრილი ანკესი თქროსდრად ბრღვეილებს. ჩემს ჩრდილზე მივდივარ, კვლავ მივტყეპნი მას ფოთლებით მოღვივლივე ჩრდილოვანში. გზამ მიუხვია მდინარედან, აღმართს შეუყვია. გორაკს რომ მოატანა, ქვემოთ მიიფინება მერე, თვალისა და გონების წარმტაც მწვანეში იკარგება და საკმაოდ შორს, ხეებს ზემოთ ვხედავ მართკუთხა სამრეკლოს და მის საათს. გზისპირას ჩამოვყვექი. კოჭებამდე მწვდება მშერი ბალახი. ჩრდილები გარინდულა გზაზე, თითქოს ასე ილმაცე-

რად და მრუმედ ჩამოუხაზავს ისინი მზეს, მაგრამ ეს მატარებელია, ყოფილა თურმე და მისი გრუხუნი ნელინელ ოლევა ხეებს მიღმა. ჩემი საათის ხმაც მომესმა. ახლა უკვე ისე შორიდან აღწევს მატარებლის ხმაური, თითქოს სხვა თვესა და სხვა ზაფხულს მიქრის ზეცაში ნონავარდო თოლიას ქვეყნის, ვითარცა ყველა და ყოველივე ამ ქვეყანაზე. გარდა ჯერალდისა და ჯორჯისა, ისიც ანაღლებული მოღვივლებს შუადღით. ნიბბის ყოველ მოსმასზე შორს მიექანება შუადღიდან და აპოთეოზში მყოფივით შერთვია თვალუწვდენელ, ნათელმოსილ სივრცეს, მთვლემარე უსასრულობაში დანთქმულა მალლა, სადაც მხოლოდ ისაა და შემხარავად გახვევებული თოლია, მტკიცედ და დიხად, ნეტარ სიმშვიდესთან წილნაყარი წინ მიიწევს, ქვემოთ კი პაწაწინა მიწაზე მათი ჩრდილები გამოუძერწავს მზეს. **კელი ის არამზადაა-მეთქი**

გორაკიდან ეშვება ხმები და ცეცხლმოდებულივით მოელავს სამი ანკესი. **ფეხი არ შეუწელებიათ, ისე შემომხედეს და ჩამიარეს.**

— კალმახს ვერა ვხედავ! — მივაძახე.

— არც გვიცდია მისი დაჭერა, — შემეხშიანა პირველი, — შეუძლებელია მაგ თევზის დაჭერა.

— აი, იქაა საათი, — მითხრა მეორემ და ხელი გაიწვირა, — ცოტას კიდევ რომ გაივლით, დროსაც გაიგებთ.

— კარგი, — მოუხვე მე და წამოვდექი, — ქალაქში მიდიხართ?

— ჩვენ აი, იმ მორევთან მივდივართ, თავდიდა უნდა დაეპიროთ, — თქვა პირველმა.

— იმ მორევთან ვერაფერსაც ვერ დაიჭერ, — უთხრა მეორემ.

— შენ მაინცდამაინც წისქვილთან გინდა, სადაც ბიჭები ჭყუმპალაობენ და თევზი არ ეკარება.

— იმ მორევთან ვერაფერსაც ვერ დაიჭერ-მეთქი.

— თუ აქ დავრჩებით, სულაც ვერაფერს გავხდებით, — თქვა მესამემ.

— რას დავიძებნია იმ მორევი, — მიუგო მეორემ, — ხომ გეუბნები, იმ მორევთან ვერაფერსაც ვერ დაიჭერ-მეთქი.

— თუ არ გინდა, ნუ მთლიხარ, — თქვა პირველმა, — ვინ გეჩვენებ?

— წავიდეთ წისქვილთან და ვიბანაოთ, — უთხრა მესამემ.

— მე კი მორევთან წავალ სათენთაოდ, — თქვა პირველმა, — თქვენ როგორც გინდათ.

— ერთი უთხარი, რამდენი ხანია იმ მორევთან არავის არაფერი დაუჭერია, — მიუგო მეორემ მესამეს.

— წავიდეთ წისქვილთან და ვიბანაოთ, — თქვა მესამემ. ნელიად იძირება კოშკი ხეებში, ჯერ კიდევ შორსაა საათი, მოწრიალე ჩრდილოვანში მივდივართ. თეთრ-ვარდისფრად გაფურჩქნილ ბალთან მივედით. ფუტკრებითაა აქაურობა სავსე და უკვე გვესმის მათი ზუზუნნი.

— წავიდეთ წისქვილთან და ვიბანაოთ, — თქვა მესამემ. ბალთან ერთი ბილივი გამოჩნდა. მესამე ბიჭმა ფეხი შეანელა და შეჩერდა. პირველმა კი გზა განაგრძო. მზის სხივები ანკესიდან მხრებსა და ზურგზე ჩამოეფინა, ქვევით მისხლტება მაისურაზე. წავიდეთო, იხვეწება მესამე. მაშინ მეორე ბიჭიც შეჩერდა. **რად უნდა გათხოვდე-მეთქი კელი**

გინდა გითხრა რატომ გგონია გეტყვი და ყველაფერი

— წავიდეთ წისქვილთან, — თქვა მან, — წამოდიო!

პირველი ბიჭი ისევ თავის გზაზე მიდის. ფეხნიშველია და სილაზე და-
ვარდნილ ფოთოლს უფრო მეტი ხმა აქვს. ვიდრე მის ნაბიჯებს. მომძლავრე-
ბული ქარის მსგავსად ჩამესმა ბალთან ფუტკრის ზუზუნი, თითქოს თალაც/ჯა-
ლოთი ამ ხმაურს უკიდურეს წერტილამდე აულწევია და აგრეთვე უბრალოა.
ბილიკი ხასხასა მწვანეთი შეფენილ კედელს მიჰყვება. ხეებში მჩხვრეტს
ალმაცერი სხივები ჩამომვებულა აქა-იქ. ხალისფერი პეპლებილი ლივლივებენ
მზის ათინათისნაირად ჩრდილში.

— რა გინდა, იმ მორევთან რომ მიდიხარ? — თქვა მეორე ბიჭმა, — თევ-
ზაობა თუ გინდა, წისქვილთან ვერ ითევზავებ?

— თავი გაანებე, წავიდეს. — თქვა მესამემ. მიდია ის პირველი ბიჭი და
ესენი გაჰყურებენ. მზის სხივები დაეფინა მხრებზე მიმავალს, ხალისფერი ტი-
ანჭველებივით ანკესებზე ბრკიალი გააქვს ამ სხივებს.

— კენი! — დაუძახა მეორემ. მამას ხომ ეტყვიო ამას ვეტყვი-მეთქი მე
ხომ მამისა ვარ მშობელია ის ჩემი მან მომანიჭა სიცოცხლე და თუ ეტყვის მე
არა ვარო მაშინ აღარც მე ვიქნები და აღარც შენ რახან მშობელია ის ჩვენი

— ჰო, წავიდეთ, — თქვა ბიჭმა, — ყველანი იქ არიან უკვე. — გაჰყურე-
ბენ იმ პირველ ბიჭს. — ჰეი. წამოიძახა უცებ ორივემ, — წადი, წადი, დე-
დიკოს ბიჭო. თუ იბანავებს, თმა დაუსველდება და მიტყეპავენ. — გადაუხვიეს
ბილიკზე და წავიდნენ, ხალისფერი პეპლები ლივლივებენ მათი ჩრდილების
გარშემო.

იმიტომ რომ მეტი აღარაფერიო მე კი მჯერა რომ კიდევ რაღაც არის-
მეთქი მაგრამ ხომ შეიძლება მართლაც არაფერი იყოს და მაშინ ხომ მიხვდები
რომ უსამართლობაც არ იმსახურებს იმას რაც შენ გულში ჩავიდვიაო
ყურადღებას არ მიაქცევს, გვერდიდან ვხედავ მის ლოყას, დატნუჭნილი ქუდის
ქვემოთ სახე მცირეოდნავ მოუტრიალებია.

— რად არ წაჰყევი საბანაოდ? — ეკითხე მე. კედი ის ხომ არამზადაა-
მეთქი

ჩხუბს ხომ არ აპირებო იმასთან

მატყუარა და უაღთაბანდია შენ იცი კედი კარტის თამაშში თაღლითობის
გულისთვის სტუდენტთა კლუბიდან გამოაგდეს მერე კოვენტრიში გადაიყვა-
ნეს იქ გამოცდაზე შპარგალკა შეუტანია თურმე და გამორიცხეს-მეთქი

მერედა მე იმასთან კარტის თამაშს ხომ არ დავიწყებო

— მაშ ბანაობა თევზაობა გირბევნია? — ააე ვთქვი. ფუტკრის ზუზუნი
კვლავ გაისმის, ოღონდ უფრო იკლო, და თითქოს ეს ხმა კი არ იძიარება სი-
ჩუმეში, არამედ თავად სიჩუმემ იმძლავრა ჩვენსა და ბაღს შორის, ასე მო-
დიდდება ხოლმე წყალი. მივუხვიე ისევ და ეს სავალი ქუჩად გადაიქცა, ჩრდი-
ლოვანი მინდორი აქეთაა, იქით — თეთრი სახლები. კედი ის არამზადაა-მეთქი
ბენჯი და მამა გახსოვდეს ჩემ თავზე არ გთხოვო ვინდა უნდა მახსოვდეს აბა
ვინდა უნდა მახსოვდეს-მეთქი ბიჭმა ქუჩიაცენ გადაუხვია. ლობჯზე გადაიჭრა
უკანმოუხედავად, მინდორი გადაჭრა და ხესთან მივიდა, ანკესი დადო, ხეზე
აძვრა და ჩაჯდა ტოტსა და ტოტს შუა, ზურგით აქეთაა, მზის ათინათიც გა-
ირინდა ბოლოს მის თეთრ მაისურზე. აბა ვისი დარდი უნდა მქონდეს თქვენი
თუ არა ტირილიც კი არ შემიძლია გასულ წელს რომ გითხარი მკვდარი ვარო
უკვე მაშინ არ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა მაშინ არ ვიცოდი თუ რას
ვამბობდიო აგვისტოს ბოლოს იცის ჩვენში ასეთი დღეები. ჰაერი გამჟვირვა-

ლეა და მსუბუქი, რაღაც ადრე განცდილს, მშობლიური მხარის სიყვარულსა და სევდას შეიგრძნობს ამ დროს ადამიანი. კაცი ჯამია იმ კლიმატურ გარემოთა, სადაც უცხოვრობს მას, თქვა მამამ. კაცი რაღაცის და რაღაცის ჯამია, ჭკუეს შერეული რაღაც გამოცანაა, ქანკშილეული მიათრევს უცხოვრობის, რათა ხელი მიწას მტვერი გახდეს საბოლოოდ ვნებათა ~~შინაშე~~ მტვერისა და კი ვიცი — მეუღარი ვარ და კიდევ გეუბნებიო

მაშ რაღატომ ყური მივდე მე შენ და ბენჯი გადავიკარგოთ სადაც არავინ გვიცნობს-მეთქი თეთრი ცხენია შებმული ეტლში, ფლოქვებს მტვერი აუხუნებია, აბლაბუდასებრ ამოქსოვლი ბორბლები ყურისწამლევად მიქრობს აღმართზე, მობიბინე შწვანეა ირგვლივ, მობიბინე. არა: მობრიალე, მობრიალე. კი მაგრამ რა ფულით იმ ფულით ხომ არა მინდორი რომ გავყიდეთ და მარვარდს გაგაგზავნეთ ხომ ხედავ უნდა დაამთავროთ თორემ აღარაფერი დარჩებაო ბენჯის

მინდორი გავყიდეთ მოლივლივე ჩრდილოვანში, ტოტსა და ტოტს შუა ხანს მისი თეთრი მაისური, არ ირხევა. ბორბლები აბლაბუდასებრ აქვს ამოქსოვილი, დაწვეულია ეტლი და ხარის ქვემოთ. წინდის მქსოველი ქალის ჩხიბუბით მალიმალ კრთის ფლოქვები სულ უფრო და უფრო პატარავდება ეს ეტლი, თითქოს არც კი მიდისო, და ამავე დროს რაღაც ტიკინას ვაგონებთ, მთელი ძალით რომ ეჭაჩებთან სცენიდან, ეს კი იმავე ადგილას ტრიალებს, ქუჩამ იავე ვაუხეია, დავინახე თეთრი კოშკი და სულუღური თავდაჯერებით მწირალი მრგვალი საათი. მინდორი გავყიდეთ

ხმას თავს თუ არ დაანებებს მამაშენი ერთ წელსაც ვეღარ გაატანსო ასე ამბობენ ხმას კი რას დაანებებს მას შემდეგ რაც მას შემდეგ რაც მე გასულ ზაფხულს ხოდა ბენჯის ჯეკონში გააგზავნიან ტირილიც კი აღარ შემეძლიაო ტირილიცო შედგა მღურბლზე და იმ წუთას ბენჯიმ კაბაში ხელი სტაცა და ეწევა ღრიალებს მთელი ოთახი გადააქუსა კაბის განთავისუფლებას ცდილობს და კედელს აეკრა მიიკუნწა ზედ გადათეთრებულ სახეზე სულ ჩაცვენია თვალები ვიდრე გარეთ არ გაათრია მთელი ოთახი გადააქუსა ღრიალით თითქოს ძალა აღარ ჰყოფნისო ხმა სიჩუმეში ჩაატის და ისევ ღრიალებს

კარი რომ გავაღე, ზარმა დააწკარუნა, მხოლოდ ერთხელ გაისმა ძალუმაღ და წმინდად კარს ზემოთ დასადგურებულ კრიალა ბინდში, თითქოს სწორედ ამიტომაც შეარბიეს ეს ზარი — წმინდა და წკრიალა ხმა რომ გაიღოს, არც არასდროს ვაიცივითოს, არც დიდო ხნით დაარღვიოს სიჩუმე, როცა კარი გაიღება და ახალგამომცხვარი კვრის სითბო და სურნელება გამოიჭრება; მღურბლთან ტურტლიანო, კოკინებიანი ვოგო დგას, თვალები აქვს დათუნიასავით.

— განარჯობა, დაცო, — ცოტათონ ყავაშერეული რძისყური სახე ჩანს ამ სურნელოვან სითბოში, — კიდევ არის ვინმე აქ?

მიცქერის გარინდებული, მერე ქალი შემოვიდა უკანა კარიდან, დაბლთან დადგა, სადაც დაბრაწული პურებია მიხაში. განაცრისფერებული ფაქიზი სახე, განაცრისფერებული შუბლიდან ფაქიზად უკან გადაეარცხნილი თხელი ომა, ნაცრისფერისავე ფაქიზჩარჩოიანი სათვალე გამოჩნდა, თითქოს რაღაც მაგთულს ამოპოლოდეს, ამოიბართა და შეჩერდა მალაზიის რკინის პატარა სალაროსავით. ბიბლიოთეკარიც მონაგონა ამ ქალმა — მტვერიან თაროებთან მდგარი რაღაც გამოფიტული, შეუშფოთველი არსება. ამ თაროებზე კი უნა-

დღე ჩაუმწყრივებით ცხოვრებას დიდი ხანია მოწყვეტილი უცილობელი. გაცვეთილი ჭეშმარიტებანი, და საკმარისია სიომ დაუბეროს ამ ქვეყნიდან, სადაც ამდენი უსამართლობა ხდება...

— აი, ის რომ, თუ შეიძლება, ქალბატონო.

დახლიდან ოთხკუთხად დაქრილი ქალაღი ამოაქვრინა, მარჯვენა მხარეზე, მერე ორი ფუნთუშა აიღო. შეცქერის მათ პატარა გოგონს, თქვენსავე არ ახამხამებს. წყალწყალა ყავიან ფინჯანში მოცხარის დაუძირავ ორ კუმი-პალს რომ მიუგავს, სამშობლო შემავარონე ხალხისა. შეცქერის პურს, ნაც-რისდერ ფაჩიზ ხელებს და სახსართან ჩაღურჯებულ დიდბეჭდიან მარცხენა მახვენებელ თითს.

— თქვენი გამოცხვარია ესენი, ქალბატონო?

— ბატონო? — იკითხა მან, სწორედ ასე, „ბატონო?“ თითქოს თეატრში იყოს, ისე, „ბატონო?“ — ხუთი ცენტი მიბობეთ. კიდევ გნებავთ რანე?

— არა, ქალბატონო, მე არაფერი მინდა. მაგრამ აი, ამ პატარა ლედის, მგონი, რაღაცა მოსურვებია.

ქალი არც ისე მაღალია, ბავშვს ვერ ხედავს, დახლის კიდეს მოადგა და იქიდან გამოპყურებს პატარა გოგოს.

— თქვენ მოგყვით?

— არა, ქალბატონო, აქ იყო, მე რომ მოვედი.

— ჰოი, შე პატარა მაიმუნო, — თქვა ქალმა, დახლიდან კი განოვიდა, მაგრამ არ მოახლოებია გოგოს, — აბა რა ჩაგიდგია ჯიბეებში?

— ჯიბეები არა აქვს მას, — ასე ვუთხარი, — არც არაფერი აუღია, აქ იყო და თქვენ გელოდებოდით.

— მაშ ზარმა რატომ არ დარეკა? — დააკვესა მან სათვალე. ხელში წკეპლა უნდა სჭეროდა — ესლა აკლდა და მის უკან კიდევ დაფა უნდა ყოფილიყო წარწერიოთურთ $2 \times 2 = 5$. — კაბის ქვეშ ისე გადამაღავს, ვერც უნახავ, აქ როგორ შემოხვედი, ბავშვო?

პატარა გოგომ არაფერი თქვა, ქალს შეხედა, მერე მე შესროლა მხერა და ისევე ქალს მიაჩერდა. — ოპ, ეს უცხოელები, — თქვა მან, — მაინც ისე როგორ შემოვიდა, რომ ზარმა არ დარეკა?

— მე რომ კარი გავადე, მაშინ შემოვიდა, — ვუთხარი, — ჩვენი ორივეს შემოსელა გამცნოთ ზარმა. აქედან მაინც ვერაფერს მიწვდებოდა და არც იზამდა ამას, ხომ ასეა, ზემო დაიყო? — მალულად შემომხედა, დაფიქრებით, — აბა რა გინდა, პური?

მუჭი გამოძიწოდა. ჭუჭყიანი, ნამიანი რკინის ფული ჩაებლუჭა და ასეთივე ჭუჭყიანი, ნამიანი ნაკვალევი დასტყობოდა ხელისგულზე. თბილი რკინის სინოტივე შევიგრძენი.

— ხუთცენტიანი პური მოგვეცით, თუ შეიძლება.

დახლიდან ისევე გამოაქვრინა ოთხკუთხად დაქრილი გაზეთი ქალმა, დახლებევე დაღო პური და შეახვია. ხუთცენტიანი გადავაწოდე და კიდევ ერთი ისეთიც მივუმატე. — ფუნთუშაც იყოს, თუ შეიძლება.

ქალმა აიღო. — აბა ახლა ეგ პური მომეცით, — თქვა მან. მივაწოდე, გახსნა, მესამე ფუნთუშა ჩაღო და ისევე შეახვია; მერე თავისი წინსაფრის ჯიბე მოიხზრიკა; ორი ცენტი ნახა და მომცა. მე კი იმ პატარა გოგოს ჩავუღე ხურდა ხელში, ჭიაყელასავით სველი და ცხელი თითები სტაცა.

ეგ მესამე ფუნთუშა ამას უნდა მისცეთ? — მკითხა ქალმა.

— დიახ, — მივუგე მე, — თქვენს ნახელავს ესეც ჩემსავით კარგად წირობ-
მეცს.

ორივე პარტი ავიღე, პური კი პატარა გოგოს მივანდებე. მისივე ხელ-
დისფერი ქალი კი დგას დახლში, შემონცქერის ცივი თავდაჯერებულად შე-
იცადეთ, — ასე თქვა. უკანა ოთახში გავიდა. კარი გაიღო და დაიხურა. მიყუ-
რებს პატარა გოგო, ჭუჭყიან კაბაზე მიუხუტებია პური.

— რა გვია? — შევეკითხე. გვერდზე მიხედა, მაგრამ ფეხი არ მო-
უცვლია. თითქოს სუნთქვაც კი შეწყვიტა. ქალი დაბრუნდა, საკვირველი რა-
ღაც მოაქვს. თითქოს მოშინაურებული მკვდარი ვირთხა იყოს, ისე მოაპროწი-
ილებს.

— აბა, — თქვა მან. ბავშვმა შეხედა. — გამომართვი, — დასძინა მერე და
ხელში მიაჩეხა. — მაინცადამაინც კარგად ვერ გამოიყურება, მაგრამ, მგონია,
ამას ვერც კი მიხვდები, როცა შეჭამ. ჩქარა-მეთქი. მთელი დღე აქ ხომ არ
დავდგები, ბავშვმა გამოართვა, ისევე შეპყურებს. ქალმა წინსაფარზე შეიწ-
მინდა ხელები. — ეს ზარი კი გასაკეთებელია, — კართან მივიდა, სწრაფად გა-
მოაღო, დაიწკარუნა უჩინარმა ზარმა. ჩვენ კარისკენ წავედით. ქალის დაძა-
ბული ზურგისაკენ.

— გმადლობთ ნამცხვრისთვის, — ვუთხარი.

— ოჰ, ეს უცხოელები, — თქვა ქალმა, ისევე მისჩერებია სიბნელეს, სა-
დაც ზარმა დარეკა, — გიორგეთ მაგ ხალხისგან შორს იყოთ, ყმაწვილო.

— დიახ, ქალბატონო, — ასე მივუგე. — წამოდი, დაიკო. — გამოვდი-
ვართ, — გმადლობთ, ქალბატონო.

კარი გაიკეტა, შემდეგ უცებ გამოაღო და ზარმა ძლიერსა დაიწკარუნა. —
ოჰ, ეს უცხოელები, — გაიწეორა და ყურა მიუგდო ზარს.

წამოვედით. — ჰო, — ვუთხარი გოგონას, — ნაყინზე რას იტყვი? — იმ
დაღრეცილ-დაბრეცილ ნამცხვარს შეექცევა. — ნაყინი ხომ გიყვარს? — შე-
ბომხედა თავისი შავ-შავი თვალებით, ღეჭავს. — აბა წამოდი.

საშაქარლამოში შევედით და ნაყინი მოვითხოვე. პური ისევე მკერდზე მი-
უხუტებია. — დადე ეგ პური, ხომ ხედავ, ხელს გიშლის, — ხელი გავუწოდე,
გამოვართმევ-მეთქი, მაგრამ არ დამანება. კევისნაირად ღეჭავს ნაყინს. ჩაკბე-
ჩილი ნამცხვარი აქვე, მაგიდაზე უდევს. ნელა შეჭამა ნაყინი და მერე ნამცხ-
ვარს წაეტანა, თანაც აჭაური ტკბილეულობა მოათვალა. მეც დავამთავრე
ქამა და გარეთ გამოვედით.

— სად ცხოვრობ? — შევეკითხე.

თეთრცხენიანმა ეტლმა ჩამოიარა. რუმბივითაა ექიმი პიბოდი. სამასი
ფუნტი იქნება. გორაკზე აფუავდით ხოლმე ბავშვები. საფეხურზე ჩამოკიდე-
ბას ფეხით ასვლა სჯობს. ექიმს არ გაესინჯე არ გაესინჯე-მეთქი კელი

არ მინდა ახლა არ შეიძლება მერე ყველაფერი რომ მოგვარდება სულ
ერთი იქნებაო

მამამ თქვა, ქალი ხომ ისეთი ნაზი, ისეთი იდუმალებით მოცულია, ყო-
ველთვის ურად თრ მთვარეს შორის ჩამდგარი სიბინძურე მისი სინაზით წონას-
წორდებაო. მერე დასძინა, მწიფე და ჩაყვითლებულია ეს ორივე მთვარე,
სწორედ სავსე მთვარისებრი აქვსო თქიმები. გარეგნობით, გარეგნობითაა ყო-
ველთვის ასე, მაგრამ, ჩაყვითლებული, მსგავსად გადატყავებული ქუსლები-

საო. ხოდა, გამოვა ვიღაც ვაჟბატონი და დამალავს მთელ ამ იდუმალებასა და ააღმოსილებას. ყოველივე, რაც სულში ჩაბუდებია მას და ვარაუდობითაც წარმოგნილი სირბილე წეგების მომლოდინეა. ჩაძირული და შერეული აქტივ-ტივებული რაღაც სლიბინა, თონთლო რეზინის მსგავსია და ცხრატყავას სუნში ერთთავად დანთქმულიაო.

ბიზუიოსეჰა

— ახლა კი სჯობს შინ წაიღო ეგ პური, არა?

შემომხედა. ღეჭავს თავისთვის, წელა, აუჩქარებლად, თანაზომიერად, ზე-ქოდან ქვევით ებურცება პაწაწინა ყელი. პარკიდან ერთი ფუნთუშა ამოვიღე და გავუწოდე. ნახვამდის-მეთქი, ვუთხარი.

მივდივარ. შერე უკან მივიხედე. მომდევს. — შენ აქეთ ცხოვრობ? — ხმას არ იღებს. გვერდზე მომყვება, სულ ახლოს, ჭამს. მივდივართ. სიწუნარეა, თითქმის აღარავინაა ჩვენ გარშემო ცხრატყავას სუნს დაუნთქავს ყოველივე ნუ ზიხარ კიბეზე და არც კარის ჯახუნს გაიგონებო მაშინ სიბნელეში ასე მე-ტყოდა ხოლმე ბენჯი კი ტირის და ჯერაც არ გაჩერებულა ვახშამზე ჩამოსვლა მოუხდება ყველაფერი მოუცავს ცხრატყავას სუნს. გადასახვევთან მივედით.

— მე აქეთ უნდა წავიდე, — ვუთხარი, — აბა ნახვამდის. — ისიც შეჩერდა. ნამცხვრის ნარჩენი შეყლაპა და ფუნთუშაც მოიპარჯვა, თან თვალს არ მიაცილებს. ნახვამდის-მეთქი, გავუბგორე. გადავუხვიე და მივდივარ, მაგრამ ვადრე შემდეგ გადასახვევამდე მივიდოდი, შევჩერდი და მივიხედე.

— კი მაგრამ, შენ სად ცხოვრობ? — ისევ გკითხე. — აი აქეთ? — შერე ხელით ქვემოთკენ მიმავალი გზა ვუჩვენე. ის კი მიცქერის და ხმას არ იღებს. — თუ აი, იქით? შენ, ნგონი, სადგურთან ახლოს ცხოვრობ, მატარებელ-ლი რომაა, აი, იქ, ხომ? — მშვიდად, იდუმალებით მოსილი ამომყურებს, თან ღეჭავს. ქუჩა ორივე მხრივ უკაცურია, მყუდრო სიმწვანეა გარშემო, ხეებში გაკრიალებული სახლები დგას, მაგრამ ირგვლივ არავინაა. მხოლოდ ჩვენს უკან დავინახე ვიღაცები. მივტრიალდით და წავედით. ორი კაცი ზის მაღაზიის წინ.

— ეს პატარა გოგონა ვისია, ხომ არ იცით? მომყვება და სად ცხოვრობს, არ იცო.

გოგონას შეხედეს ახლა ამ კაცებმა.

ახალჩამოსული იტალიელებისა უნდა იყოს, — თქვა ერთმა, გახუნებულ-კლა სერთუკი რომ აცვია, — ამას წინათ მოვკარი თვალი. შენ რა გქვია, გოგონა? — შავ-შავი თვალები ნიაპურო ბავშვმა ორიოდ წამით, ღეჭავს წელი-წელ, შერე ისევ გადაყლაპა ლუკმა და ღეჭვა განაგრძო.

— იქნებ ინგლისური არ ესმის, — თქვა მეორემ.

— პურზე ხომ გამოაგზავნეს, — მივუგე მე, — თითო-ორილა სიტყვა კი უნდა იცოდეს.

— მაშაშენს რა ჰქვია? — ჰკითხა პირველმა. — პიტო? ჯო? ჯონი-მეთქი, ხომ? — გოგონამ ისევ საკბიჩა ფუნთუშა.

— რა ვქნა? — ასე ვთქვი. — სულ მომდევს და მე კი ბოსტონში უნდა დავბრუნდე.

— კოლეჯში სწავლობთ?

— დიახ, ბატონო. ხოდა, უნდა დავბრუნდე.

— მაშინ აი, იმ ქუჩით პარდაპირ წადით და ენათან მიიყვანეთ, ჩვენს პოლიციელთან. საჭინიბოსთან იქნება ახლა.

სწორედ ასე ვიზამ, აბა რა ვქნა. — ვუბასუხე. — წავიღო, დაიყო.

ჩრდილოეთან მხარეზე გადაყვდიით და ქუჩას გავყევით, სადაც სახლების ქვილი ჩრდილო ერთვის გზას. საჯინაბოსთან მივედი. პოლიციელი იქ არაა. დაბალ, ფართო კარში ერთი კაცი წამოძვდარა სკამზე, თავის ჭკერულ-ჭკერულ-წკრივებულ ბაგებიდან გრილ და მრუმე ნიავს ნიშადურის სუნს — მისი კომ პოლიციელს ახლა ფოსტაში ნახავთ, მითხრა მან. ეს კაციც არ იცნობდა ამ გოგონას.

ახალჩამოსანლებულნი არიან. ერთი მეორესაგან ვეღარ ვარჩევ. აი, ამ გზაზე გადახვალთ და ეს ხალხი იქ ცხოვრობს. მისიანებიც შეიძლება მანდ იყვნენ.

ქვემოთ მივყვებით ქუჩას, ისევ ფოსტისკენ მივდივართ. ფოსტაშია ის სერთუკიანი კაცი, გაზეთი გაუშლია და კითხულობს.

— სწორედ ახლა წავიდა ენსი ქალაქგარეთ. — მაშენო მან, — აი, სადგურთან რომ მიხვიდეთ და მდინარისპირა სახლები დაიართო, იქ ვინმეს ეცოდინება ეს ბავშვი.

აგრეც ვიზამ, მივუგე, — წაშოდი, დაიყო.

ფუნთუშის ჟვანასკნელი ნაცერი ჩაიტუნა პირში და გადაყლაბა. კიდევ გინდა-მეთქი, ვკითხე. სიტბო ჩადგომია შავ-შავ თვალებში, არც კი ასამხამებს. ამ ორი ფუნთუშიდან კიდევ ერთი მივეცი და მეორე მე ჩაეკბიზე. მერე ერთ შემხედურ კაცს სადგურისკენ ნიშავალი გზა ვკითხე და იმანაც მისწავლა. წაშოდი-მეთქი, დაიყო.

სადგურთან რომ მივედი, ლიანდაგი გადავჭერით. ხიდი და მდინარის პირას ჩამწკრივებული ქოხსახები გამოჩნდა, ზურგით წყლესკენ მიქცეული. მიხგრულ-მონგრეულია ეს ქუჩა, მაგრამ ცოცხალი ფერები უხვადაა აქ. გადაქცეული ლობით გარშემოვლულ ერთ ეკაღბარდიან ადგილს მივატანეთ, შუაში უგას ძველისძველი მიღრინკული შარაბანი, ცოტა მოცილებით კი ხუხულაა, ზედა სარკმელში ღიაფარდისფერი კაბაა გასაშრობად გამოკიდული.

— შენი ხომ არაა ეს სახლი? — ვკითხე გოგონას. ფუნთუშის ზემოდან ამომცქერის. — ხომ შენია? — ხელით ვუჩვენე სახლი და კითხვა გავუმეორე. ისევ ლეჭავს, რაღაც მორჩილი დასტური ამოვიკითხე მის სახეზე. — ხომ შენია? აბა წაშოდი, — გადაქცეულ ჭიშკარში ფეხი შევადგი და გამოვხედე. — აქ ცხოვრობ? ხომ შენია ეს სახლი?

სწრაფად დამიკრა თავი, მერე ნამცხვრის სოველი ნახევარმთვარე ჩაკბიჩა. მივდივართ. მრავალნაირი ფილების ნამუსრევია ველური ბალახით მორეული ზედ სახლის კიბესთან მიშავალი ბილიკი. ჩამიჩუმი არ ისმის სახლიდან და ამ უჭარო ამინდში ზედა სარკმლიდან ის ვარდისფერი კაბაა გადმოკიდული. ზარის დასარეკად აქ ფაიფურის მომრგვალებული ტარია. ჩავჭიდე ხელი და ეჭვსი ფუტი სივრძის მავთული რომ გამოვაჭერინე, იმ ტარს თავი გავანებე და დავაკაკუნე.

ქალმა გამოაღო კარი. შემომხედა და მერე სწრაფად დაუწყო იტალიურად ლაპარაკი გოგოს. ბოლოს ხმას აუმაღლა და შეჩერდა, მივხვდი, რაღაცა მკითხა. კიდევ აღაპარაკდა, გოგონამ კი თავისი ჭუჭყიანი ხელით პურის ქერკი პირთან მიიტანა, ქალს ახედა და ის ქერკი იმ წუთას გადაყლაბა.

— ბავშვმა თქვა, აქ ცხოვრობო, — ვუთხარი ქალს, — ქვევით, ქალაქში შევხვდი, თქვენ გააგზავნეთ პურზე?

— არ ვიცის ინგლისურთ, — თქვა და კვლავ რაღაც ჰკითხა გოგონას. უხმოდ შეხედა ამან.

— ეს აქ ცხოვრობს? — ასე ვთქვი. გოგონასკენ გავიშვირე ხელს, ჯერ ქალისკენ და მერე კარისკენ. ქალმა თავი გააქნია. სწრაფად აღაპარაკა. კიბეს მოადგა და ქვემოთ მიმავალი გზა მიჩვენა, თან სულ რაღაცას მეუბნებოდა.

მე ისევ დავუქნიე თავი. იქნებ მიმაცილოთ-მეთქი, ეთხოვე. ცალი ხელი მკლავზე წავავლე, მეორე კი გზისკენ გავიშვირე. სულმოუთქმელად რაღაცა წარმოთქვა, ხელი გაიწვდინა სადღაც. იქნებ მიმაცილოთ-მეთქი, გავუმეორე და კიბიდან ძირს მინდა ჩამოვიყვანო.

— Si, si, მეუბნება და არ მომყვება, ხელს იშვერს, კვლავ დავუქნიე თავი.

— გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ, — კიბეზე ჩამოვედი და, მართალია, არ გავრბივარ, მაგრამ არც ისე ნელა მივდივარ. ჭიშკართან შევჩერდი და გოგონას გავხედე. ჭამა დაემთავრებინა. მეგობრულად მიცქერის თავისი შავ-შავი თვალებით. კიბიდან გადმოიხარა ქალი. ჩვენ გვიყურებს.

— აბა წამოდი, — ვუთხარი ბავშვს, — ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვნახოთ შენი სახლი.

გამომყვა, წამოვედით. მთლად უკაცურა ჩანს სახლები. არავინაა სულიერი. სწორედ ასე გაირინდება ხოლმე ცარიელი სახლები. მაგრამ შეუძლებელია იქ არავინ იყოს. აუარება ოთახია ამ ბინებში და კედლები რომ გადავხსნათ, ყველას დავინახავთ უცებ — აი, ქალბატონო, თქვენი ასული. მაშ თქვენი არაა. ღვთის გულისთვის, ქალბატონო, ხომ თქვენია ეს გოგონა. ის კი გვერდით მომყვება, კიკინები უბზინავს, უკანასკნელ სახლს რომ მივატანეთ, გზამ მიუხვია და მდინარის გასწვრივ წლუდეს მიეთარა. მიღეწილი ჭიშკრიდან ის ქალი გამოვიდა მოულოდნელად, თავზე შალი მოეხურა, ხოლო მისი ბოლოები ნიკაბს ქვემოთ მიეჭუჭკა. მოსახვევი ცარიელია. ხურდა ფული მოვიჩხრიკე და გოგონას მივაწოდე. ოცდახუთცენტიანია. ნახვამდის-მეთქი, დაიკო, ვუთხარი და გავიქეცი.

რაღ ძალი და ღონე მაქვს, უკანმოუხედავად გავრბივარ. ზედ მოსახვევთან მივტრიალდი. დგას გზაზე ის გოგო, პაწაწინა ჭუჭყიან კაბაზე პური მიუხუტებია. შავ თვალებს არ ახამჩამება, ისე მიცქერას, ისევ გავიქეცი.

გზაზე ერთი გადასახვევი დავინახე. იქით გავიქერი და ცოტა ხნის შემდეგ აღარ მივქრი, სწრაფად კი მივდივარ მაინც. ნაგებობათა უკანაა მოქცეული ეს გასასვლელი. აქ, ამ შეუღებავ სახლებთან გაბმულ თოკებზე ისევ ფერადი, ჭრელაჭრულა სამოსია გადაკიდებული. გადაქცეული ფარდული ნელ-ნელა იშლება და ლბება თეთრ-ვარდისფრად აყვავებული, ტოტებგადახლართული ხეებისა და შამბ-ბალახის ტევრში, მზის სხივებსა და ფუტკრის ზუზუნში რომაა დანთქმული. ამ სავალის ბოლოს არავინაა. ჩემს ჩრდილს მივყავარ, სურთი შეფენილ ღობეს რომ თავით მიჰყვება. სავალმა ურდულგაყრილ ჭიშკარს მიატანა, მდელიში ჩაიკარგა და ხასხასა ბალახმორეული ბილიკილა გამოჩნდა. ჭიშკარს გადაველე, მალე გამოვიარე პატარა ხეივანი, სხვა ღობეს გამოვეყევი ამჯერად, უკან მომყვება ახლა ჩემი ჩრდილი. ვაზსა და ღვიას გადაუბურავს აქ ყველაფერი, ჩვენთან, სამხრეთში კი ცხრატყავა იცის, მთლად ვაქლინთავს ხოლმე ჰაერს, ვანსაკუთრებით შებინდებისას, წვიმის დროს

ქ. შარქის სახ. საქ. სსრ
საბელწიფი. სპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

16591

მძაფრდება მისი სუნი. თითქოს იქაურობა უიმისოდაც გაუსაძლისი არ ყოფი-
ლიყოს. რად რად აკოცნიან-მეთქი იმას

იმას კი არ უნდოდა ეს მე მინდოდაო მიცქერის თუ როგორ წამოვეწოე
ბრაზით აბა რას იტყვიო ახლა? სახეზე წითლად დააჩნდა ჩემი სილა ხელი
აიფარა სახეზე და თითქოს სინათლე აანთესო ბრიალი მოიღო

აკოცნის გულისთვის კი არ გაგარტყი-მეთქი. თხუთმეტი წლის გოგოს
მკლავები. თითქოს თევზის ძვალი გაგჩხეროდეს ისე ყლაპავო თქვა მამამ კე-
დი კი მაგიდასთან ზის ჩემ პირდაპირ არ მიყურებს. ვილაც ჩამოთრეულ ქალა-
ქელს რომ დაჰყვები იმიტომ გაგარტყი კიდევ იზამ რატომ არ ამბობ-
მეთქი. ცეცხლისფრად დააჩნდა ჩემი ხელი სახეზე. ახლაც არ იტყვი-მეთქი
თავით მივალესე. ბალახის ღეროები ჭვარედინად დამჩნევია ლოყაზე. აბა
მითხარი კიდევ იზამ-მეთქი

ვითომ შენ არ გიკოცნიაო ნატალისთანა ტურტლიანი გოგოსთვის ჯერ
ზღუდე მოექცა ჩრდილში და მერე ჩემი ჩრდილიც, და კვლავ ასე მოვატყუე
იგი. მდინარე კი სულ აღარ მახსოვდა, ეს გზა ხომ იქით უხვევს. ზღუდიდან
დაბლა რომ ვხტებოდი, იმ გოგონას მოვკარი თვალი, ისეე მიეხუტებინა პური.
ვდგავარ შამბში და ორიოდ წამით ერთმანეთს შევყურებთ.

— აბა რად არ მითხარი, რომ აქ ცხოვრობ, ჩემო დაიკო? — ქალაღდიდან
გამოჩრილა პური, ხელახლაა გასახვევი, — კარგი. წამოდი და შენი სახლი მაჩ-
ვენე. ნატალისთანა ტურტლიანი გოგოსთვის. ჭერმაღალი თავლის მოტკბო ზა-
ერს შერთვია სახურავზე მორაკუნე წვიმის ხმა.

აი აქ-მეთქი? ხელი მოვკიდე

აქ არაო

აბა აქ-მეთქი? უინფლავს და სახურავის ჩუმი შრიალი გვეხმის ჩემი და
იმისი სისხლის ხმაურიცაა თითქოს

კიბიდან მიბიძგა და გაიქცა მარტოდ დამტოვაო კედიმ

აბა სად გეტკინა აქ თუ აქ მაშ კედი გაიქცა აბა სად არის-მეთქი

გვერდით მომყვება, შავი ატლასივით უპრიალებს ქოჩორი, სადაცაა გაზე-
თიდან პური გამოუვარდება.

— შინ მალე თუ არ მიხვალ, სულ შემოეცლება ქალაღდი შენს პურს. დე-
დაშენი რაღას იტყვის? თუ გინდა დაგენიძლავები რომ ხელში აგიყვან-მეთქი

ვერ ამიყვან კარგა მძიმე ვარო

სად გაიქცა კედი ჩვენი სახლიდან თავლა არ მოჩანს თუ ვიცდია როდის-
მე თავლის დანახვა-მეთქი აი იმ

სულ იმისი ბრაღია მკრა ხელი და გაიქცაო

კი შევძლებ აგიყვანო-მეთქი აი ნახავ თუ არა

მო იმისი სისხლი ხმაურობს თუ ჩემი სისხლია მსუბუქ მტვერზე მივაბი-
ჭებთ, თითქოს კაუჩუკისააო ეს მტვერი, მზის სხივებს ზედ ხეები ჩამოუხა-
ტავს, მყუდრო და იღუმალ ჩრდილებქვეშ კვლავ ვგრძნობ წყლის მდინარე-
ბას.

— ძალიან შორს კი ცხოვრობ. ყოჩაღი გოგო ყოფილხარ, ამ სიშორედან
ქალაქს რომ დადიხარ. მჭლომარე ცეკვას ჰგავს ეს შენ თუ ვიცეკვია-მეთქი
მჭლომარებს? წვიმის ხმაური მესმის, სადღაც კუთხეში ვირთხა ღრღნის რაღა-
ცას, ცხენის სუნი ტრიალებს გამოცარიელებულ თავლაში. ცეკვისას ხომ ახე
გოკავია-მეთქი ხელი

ომ

ნუ კი ასე მიკავია გეგონა ძალა არ შეყოფოდა შენს ახაწევად-მეთქი /
ომ ომ ომ ომ



ვთქვან რა ვთქვი-
ვთქვან რა ვთქვი

სწორედ ასე მიკავია მგონი შენ არ გაგიგონია რა მეთქი ნუ

ომ ომ ომ ომ

ჩემ წინ გზა უკაცურია და წყნარი, სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვება. ეოლოსფერი ნაკუწებით აქვს გადაჭერილი პაწაწინა კიკინები გოგოს. პურს გაზეთი შემოფლეთია და მოაბროწიალებს ამ ნაფლეთებს. შევჩერდით.

— დაიცა, ქვეშოთ, ამ გზაზე ცხოვრობ? თითქმის ერთი მილი გამოვი- არეთ და სახლი კი არ ჩანს.

მიცქერის, იღუმალება და სითბო ჩადგომია თვალეში.

— კი მაგრამ სად ცხოვრობ, დაიკო, ისევ ქალაქში უნდა დაებრუნდეთ? სადღაც ხეებში, მზის აღმაცერად ჩამოშვებულ სხივებს მიღმა რომელი- ლაც ჩიტია.

— მამაშენი ალბათ დაგეძებს და ალბათ დარდით აღარ არის. მიგტყუპავს კიდევ, პირდაპირ შინ რომ არ მიდი და პური არ მიიტანე.

კვლავ დაუსტვინა უჩინარმა ჩიტმა. მჭახედ გაისმა ეს ძალუმი, უსაზმო და მრავლისმეტყველი ხმა და ჩაჩუმდა უეცრად. არც დამინახავს და არც გამოგონია, ისე შევიგრძენი იღუმალ სიღრმეებში სწრაფი და შეუშფოთებელი მდინარება წყლისა.

— ჰაი, რა მოგსვლია, ჩემო დაიკო! — თითქმის ნახევრად ჩანთხელიყო ქალაღდი. — ეს აღარ ვარგა, — მოვახიე და გზაზე დავაგდე, — წამოდი, ქალაქს უნდა დაებრუნდეთ. ნაპირ-ნაპირ გავყვეთ მდინარეს.

გზიდან გადავუხვიეთ. ზაფრანისფერი ყვავილი ამოსულა აქა-იქ ხავსში. უჩინარი წყლის მღუმარება შეიგრძნობა წავავლე ხელი და აგრე მიკავია როგორც ცეცვისას ის კი დოინჭშემოყრილი დვას კართან და გვიცქერის

ხელი მკარი შენ და სულ თავპირი დამალეწინეთ

ცცეკვავდით მჯღომარენი და დავენაძლავე კედის ვერ იცეკვებ-მეთქი მჯღომარე

ხელი ხელი არ მომაკაროთ

მხოლოდ რაღაც ბეწვი მინდა მოვაცილო-მეთქი შენს კაბას

მომაშორე ეგ მურღალი ხელები სულ შენი ბრალია ხელს რას იკვრევი- ნები ძალიან გამაბრაზე იცოდეთ

აი დარდიო და მოგვჩერებია რა ვქნა თუ ბრაზდები გაბრაზდიო მიდის ისმის შეძახილები და წყლის ტლაშენი, იმავე წამს გაიელვა გარუჭულმა სხე- ულმა.

რა ვქნა თუ გაბრაზდი გაბრაზდიო. მთლად დამახველა წვიმამ. რაკარუკი გააქვს სახურავს და ამ თავსხმაში ბადისკენ მიმავალ ნატალის. დახველდება და ფილტვების ანთებას აიკილებს, მერე მიდი და უცქირე მაგის ძროხის დრუნჩისო. ავიწიე და გადავბტი შიგ დორის ნაჩიჩქნ ტალახში მოვადინე ზღართან, ყვით- ლად დამაჩნდა ტანისამოსზე მურადი წუწები წამოვიწიე ფენი დამიცურდა და ისევ ჩავგვარდი

— გესმის, როგორ ბანაობენ, დაიკო. მეც სიამოვნებით ვიბანავებდი ახ- ლა. დრო რომ მქონდეს. როცა დრო მექნება, — ჩემი საათის წიკწიკი მესმის.

წვიმაზე თბილია ლაფი, ოღონდ ჰყარს. ზურგი შემომაქცია, მე კი შემოვუარე და წინ დავუდექი. რას ვაკეთებდი ახლა, თუ იცი-მეთქი? მიტრიალდა და მე კი ისევ წინ დავუდექი. წვიმამ მოუნატა და ტალახი ტანისამოხში სულ გა-მიჭდა, იმას კი სველ კაბაზე ლიფი დაეტყო. საშინელ სუნს ვგრძნობ. ჩახვე-ული ვიყავი მასთან, აი რას ვაკეთებდი-მეთქი. მიტრიალდა და მე ისევ წინ დავუდექი. ჩახვეული ვიყავი-მეთქი, გეუბნები.

რაც უნდა გაგეკეთებინა, ჩემთვის სულ ერთია, სულაც ფეხებზე მკი-დიაო.

არა, არა-მეთქი, ყველაფერს ვიზამ რომ შენთვის სულ ერთი არ იყოს-მეთქი. ხელზე დამკრა, მაშინ მეორე ხელით ლაფი წავსცხე, გაწუწული მაჯა გამომიქნია და ახლა ფეხებიდანაც მოვიხოცე ლაფი და ისევ წავსცხე, მთლად გალუმბული მომწვდა. მპოტნის სახეს ფრჩხილებით, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობ მაშინაც კი როცა ჩემს ტუჩებზე მოტკბო ვემო მიიღო წვიმის წვე-თებმა.

თვალი მოგვეკრეს მდინარეში მობანავეებმა, თავი და მხრებიღა მოუჩანთ. ყვირილი ატეხეს, ერთი კი, ნაპირზე მყოფი, წანრილი გაიჭრა წყლისკენ და შიგ გადაეშვა. თახვებივით არიან, წყალი ნიკაპთან ულივლივებთ, ყვირიან:

— ჩქარა მოაცილე ეგ გოგო აქედან! გოგო აქ რას მოგყავდა! აქედან ვაგვეცალეთ!

— ამ პატარა გოგოს გეშინიათ? ცოტა ხანს გვაყურებინეთ!

წყალში ჩაცუცქდნენ. თავი თავთან მიიტანეს და აგრე შეჩგუფდნენ. ფეხებივით, შერე წამოცვივდნენ და გამოიქცნენ ჩვენკენ, წყალი შემოგვას-ბეს. გავიქეციით.

— ცოტა ნელა, ბიჭებო, ამან რა უნდა დაგიშავოთ!

— ჰარვარდს მიბრძანდი, — დამიყვირა იმ მეორე ბიჭმა, რამდენიმე ხნის უკან ხიდზე ეხენი და ეტლი რომ მოინდომა თავისთვის. — აბა ჰეი, წყალი შავათ!

— მივცვივდეთ და წყალში ჩამოვართრიოთ, — დაიძახე ერთმა, — მე გო-გოს არ მეშინია.

— წყალი, წყალი შავათ! — შხეფების კორიანტელი ისევ მოგვწვდა. ყვლაგ გავიქეციით. — მოწყდით აქედან! — დაგვიყვირეს.

წამოვედით. მთლივლივე წყალში ლაპლაპებენ მათი თავები. ჩვენი აღ-გილი აქ არაა, როგორც ჩანს-მეთქი, ვეუბნები. ხავსს აქა-იქლა ეფინება ჩამა-ვალი მზის სხივები. — ახლა რაღა გვეშველება, პაწიაგ, — პატარა ყვავილი ამოწვდილა ხავსში, ასეთი არასდროს მინახავს. — შენ ხომ პაწაწინა, საბრალო გოგო ხარ. — ნაპირ-ნაპირ მიიხვევა ბილიკი. წყალი ისევ წყნარი და ჩაქუფ-რულია. წყნარიცაა და სწრაფიც. — ჩემო პატარა საბრალო დაიკო. სველ ბა-ლახში წაქცეულები სულს ძლივსღა ვითქვამთ, ცივად გვესხმება წვიმა ზურგ-ზე. ახლა ხომ აღარ ახლა ხომ აღარაა სულ ერთი-მეთქი

ღმერთო რა გავთხუბნულვართ ადექიო. წვიმა რომ მომხვდა შუბლზე ამეწვა ხელი მოვისვი და წითლად შეიფერა მალე ვარდისფერი ზოლი ჩამო-შედიანა. თუ გტკივაო

შენ რა გეგონა-მეთქი

თვალეების ამოპოტვნა მინდოდა შენთვის, ღმერთო ჩემო, რა ავეროლდე-შულვართ სჯობს ნაკადულთან მივიდეთ და მოვიშოროთო—ქალაქი გამოჩნდა

ისევ, დაიკო, ახლა კი უნდა მიხვიდე შინ. მე კი ჩემს სკოლაში უნდა დავბრუნდე. ხედავ, უკვე გვიანია, ახლა მაინც უნდა წახვიდე შინ — კვლავ მოუტრებს შავი, იდუმალი, სითბოჩამდგარი თვალებით. მკერდზე ძიუბუნები და ქალღმერთფლეთილი პური. — პური დასველებულია, მე კი მეგობრებთან ერთად გამოვასწარი-მეთქი. — ცხვირსახოცი ამოვიღე და პურის შემწვარებში შევსველი-ლობ, მაგრამ კიდევ ჩამოატყდა და თავი გავანებე. სჯობს თავად გამწვან. აი, ასე დაიკავე ხელში, — ისე ნაიქცა, როგორც ვუთხარი. სულ უფრო და უფრო ღრმავდება წყალი, ჩაცუცქულებს ზურგზე გვესხმება ლაფი წყლის ზედაპირი. შიშხინებს ტაფაზე წამოდუღებული ქონივით ხომ ვითხარი ისე ვიზამ შენთვის სულ ერთი არ იყოს-მეთქი

რაც უნდა ქნა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთიაო

ფენების ბრაგუნი გავიგონეთ და შევჩერდით. მივიხედეთ და ვხედავთ, ერთი მორბის ბილიკზე. მუხლისთავეებზე მზის ალმაცერი სხივები მოუთამაშებს.

— სადღაც მიიქარის. აბა... — ამ დროს ნვორესაც მოვკარი თვალი, მძიმედ მორბის ხანდაზმული, ჯთხმომარჯვებული ვაცი, მის უკან კი წელს ზემოთ შიშველი ბიჭი მორბის და რომ არ გააძვრეს, ხელით იჭერს შარვალს.

— ეს ჩუღიოა, — თქვა პატარა გოგონა და იმავე წამს სულ ახლოს დავინახე იტალიური სახე და თვალები. დამეტაკა და ორივე წავიქეციით. თავპირზე მირტყამს ხელებს, რაღაცას გაჰყვირის, მგონი, კბენაც კი დააპირა, მაგრამ გააკავეს, ის კი მაინც მოიწევს საცემრად, ღმუჯის და მკლავებზე რომ წაეტანებინა, წიხლს მიქნევს, ვიდრე ისევ არ გაათრევენ. წივილი მორთო პატარა გოგონა, პური კი ისევ ჩაუბღუჯავს ორივე ხელით. ნახევრად ტიტველი ბიჭი აქეთ მოიწევს, შარვალს ზევით იწევს. ვიღაცამ წამომაყენა და ამ დროს კიდევ ერთი, მთლად შიშველი ბიჭი გამოიჭრა ბილიკზე ტყიდან, დაპკრა ფეხი და ისევ ხეებში შევარდა, ალმებივით გააფრიალა ორი ხელი ჩასაცმელი. ჩუღიო ისევ მოიწევს. წანოდგონაში რომ შემეშველა, იმ კაცმა მითხრა, ოჰო, ველარ წამიხვალო. რკინისბალთიანი ვიღვეტი აცვია. მეორე ხელში კი გაპრი-ალეებული ქაჩაბური მოუმარჯვებია.

— თქვენა ხართ ენსი? — ვკითხე, — მე თქვენ გეძებდით, რა მოხდა?

— გაფრთხილებთ, თქვენი ყოველი სიტყვა შეიძლება თქვენსავე საწინააღმდეგო გამოდგეს, — თქვა მან, — თქვენ დაპატიმრებული ხართ.

— მე უნდა მოვალა ის, დაიყვირა ჩუღიომ, კიდევ გაიბრძოლა, ორს პყავს გაკაეებული. პატარა გოგო ღრიალებს, პურს კი ისევ გულში იხუტებს. — შენ მოტაცო ჩემო დაი, — მოსამაძახა ჩუღიომ, — გამიშვით, ბოტონებო!

— დაი მომტაცაო? მე ხომ...

— გაჩუბდით, — ნითხრა ენსმა, — მოსამართლეს მოუყვებით ყველაფერს.

— დაი მომტაცაო? — გავიბეორე მე, ჩუღიო დაუსხლტა თავის დარაჯებს და გამოქანდა, მაგრამ პოლიციელი გადაეღობა და დაიჭირა. მერე იმ ორმა კვლავ გადაუგრიხა მკლავები. ხელი შეუშვა ენსმა, მძიმედ სუნთქავს.

— ეს წყეული უცხოელი, შენც ჩაგსვან, იცოდე, თავდასხმისა და ცემატყუებისთვის, — მერე ისევ მე მომიბრუნდა, — შენი ნებით წამოხვალ თუ ბორკილი დაგადო?

— უბორკილოდაც წამოვალ. მეც შემობლია... მეც... დაი მომტაცო, —
გავიმეორე, — მომტაცო...

— ფრთხილად-მეთქი, ხომ გითხარიო, — თქვა ენსმა, — დის მოტაცებას
გაბრალებო. შენ, ეი, ბალდი გააჩუმე!

— ოპო, — გამეცინა. კიდევ ორი ბიჭი გამოვიდა ბუჩქნარიდან, ძრგვალი
თყალებით ჩვენკენ იმზირებიან, სველი თმა გადაგლესიათ, ღილებს იკრავენ,
პერანგი მხრებსა და მკლავებზე მიწებებიან. მინდოდა სიცილი შემეწყვიტა,
მაგრამ ვერ შევძელი.

— ფრთხილად იყავი, ენს, მგონი, ეს ვერ არის ჭკუაზე.

— ახლავე მო-მოვრჩები, — ვეუბნები ამათ, — ამ წუთას გა-გაეჩუმდები.
მაშინაც ხომ ასე დამემართა. ოპ, ოპ, ოპოიო, — განვაგრძე სიცილით, — ცოტა
ხანს აქ ჩამოვჯდები, თუ შეიძლება. — დაეჯექი, თვალს არ მაცილებენ. ის პა-
ტარა გოგოც აქაა, ჭუჭყის ზოლები დასტყობია ნამტირალევე სახეზე, ისევ
ხელში უკავია პური, გამოხრულს დამსგავსებია. იქით კი, ბილიკის მიღმა
წყალია, სწრაფი და ნყურით. ცოტა ხანიც და დავლუმდი. მაგრამ ყელში
ნაინც მაწეება რაღაც, პირლებინების ღრთს იცის ასე, როცა კუჭი ცარიელია
შკვშ.

— აბა გეყოფა, — თქვა ენსმა, — თავი უნდა შეიკავო.

— დიახ, — მივუგე. იმ რაღაცის მოცილებას ვცდილობ ყელიდან. თით-
ქოს მზის ერთი სხივთაგანიაო, ჩალისფერი პეპელა მოფრინდა. მალე ყელი ისე
აღარ მაწეალებს. წამოვდექი. — მზადა ვარ. საით წავიდეთ?

ბილიკს გავუყევით. იმ ორს ჯულიო და ის პატარა გოგო მოჰყავთ. სად-
ღაც უკან ბიჭები მოგვდევდნენ. მდინარის სანაპიროზე მიმავალმა ბილიკმა ბო-
ლოს ხიდთან გამოგვიყვანა. გაღმა გავედით. ხალხი მოაწყდა კარებს, ჩვენ
კვიყურებენ. უფრო მეტი ბიჭები დავკვებვია თავს და გამზირზე რომ გამო-
ვედით, უკვე მთელი პროცესია მიგვიძღვის. საშაქარლამოსთან ერთი დიდი
მანქანა დგას. შიგ მსხდომნი ვერ ვიციანო, ვინემ ქალბატონმა ბლენდმა არ და-
იძახა:

— პოი, კვენტინ! ეს ხომ კვენტინ კომპსონია! — მერე ჯერალდიც დავი-
ნახე, უკანა სკამზე ნებივრად გადაწოლილ სპორტულსაც მოგკარი თვალი. შრივიც
აქაა. აი, იმ ორ ასულს კი არ ვიცნობ.

— კვენტინ კომპსონი! — გაიმეორა ქალბატონმა ბლენდმა.

— გამარჯობათ, — ქუდის მოხდით მივესალმე, — დაპატიმრებული გაზ-
ლაფართ. მაპატიეთ, მაგრამ თქვენმა ბარათმა ვერ მომიწერა. შრივმა ხომ ვი-
თხრათ?

დაპატიმრებულიაო? — თქვა შრივმა, — უკაცრავად, — მძიმედ წამოდ-
გა, თანაბრზავრებს ფეხებზე გადმოალაჯა და მანქანიდან გადმოვიდა. ბარდა-
ყებზე ხელთათმანივით შემოტმასნია ჩემი ფლანელის შარვალი. თურმე დამრ-
ჩენოდა და არც კი მახსოვდა. ისიც კი ვერ გავიხსენე, რამდენი დაბაბი აქვს
ქალბატონ ბლენდს. ყველაზე კობტა გოგო, თქმა არ უნდა, წინ, გვერდით
ეჭდა ჯერალდს. თვალი შევასწარი, ნატიფი შემზარაობით გამომხედეს გოგო-
ებმა თხელი პირბადიდან.

— ვინ დაგიჭერიათ? — ჰკითხა შრივმა ენსს, — რა მოხდა, ბატონო?

— ჯერალდ, — წარმოთქვა ქალბატონმა ბლენდმა, — უთხარი მაგ ხალხს,
აქედან წავიდეს. თქვენ კი აქ, მანქანაში დაჯექით, კვენტინ.

სპოუდი ზის თავისთვის, ჯერალდი კი გადმოვიდა.

— რა ამბავია, უფროსო, საქათმე ხომ არ გაუძარცვავს?

— გაფრთხილებთ, ხელი არ შეგვიშალოთ, — უპასუხა ენსმა, — თქვენ იცნობთ დაპატიმრებულს?

— ვიცნობთო? — ჩაერია საუბარში შრივი, — ჩვენ ხომ...

— მაშინ ჩვენთან ერთად წამოდით. მართლმსაჯულებას კი ხელს ნუ უშლით. წავიდეთ. — მკლავზე ხელი წამავლო.

— აბა ნახვამდის, — ასე ვუთხარი, — ძალიან მიხარია, რომ გნახეთ. სამწუხაროდ, თქვენთან ვერ დავრჩები.

— ჯერალდ-მეთქი, — გაიმეორა ქალბატონმა ბლენდმა.

— დაიცადეთ, კონსტებლო, — დაუძახა ჯერალდმა.

— გაფრთხილებთ, კანონის მსახურს წინ ნუ გადაუდგებით, — მიუგო ენსმა, — თუ რაღაც სათქმელი გაქვთ, განყოფილებაში წამობრძანდით და იქ თქვით. — წამოვედით. მთელი პროცესიაა ენსის და ჩემი წინამძღოლობით. მესმის, როგორ უამბობენ, ასე და ასე იყო. სპოუდი შეკითხვებს აძლევს. ჯულიომ იტალიურად ცხარედ წარმოთქვა რაღაც. მივიხედე და ვხედავ, პაწია გოგო დგას ქუჩის კიდესთან, მიცქერის სითბოჩამდგარი, შეუცნობელი თვალებით.

— აბა შინ გასწი, — მიაძახა ჯულიომ, — სულს ამოხადო, იცოდო!

ქვემოთ ჩაუყვებით ქუჩას და ბალახმოდებულ პატარა ეზოში ჩავუხვიეთ. ქვიანმა ბილიკმა თეთრი აგურით ნაგები ერთსართულიანი შენობის კარს მიგვაყენა. აქ ენსმა ჩვენ გარდა ყველანი შეაჩერა. თანაბაქოს სუნით გაჟღენთილ, თითქმის ცარიელ ოთახში შევედით. ფიცრის ოთხკუთხა სილიანი ჩარჩო, და შიგ რკინის ღუმელი დგას. კედელზე გახუნებული რუკაა და იქვე ჭუჭყიანი მაკეტი ქალაქისა. ატყეხილ მაგიდასთან მრისხანე კაცი ზის, ჯაგარივით აბურძგნია ჭადარა თმა. ფოლადისბუდიანი სათვალისგან თვალები გამოაკვესა.

— ხომ ვერ გაგეჭვა, ენს? — ასე თქვა.

— ვერა, ბატონო.

ვევბერთელა მტვრიანი დავთარი გადაშალა, მიიწია, დაქანგული კალმისტარი ჩაპკრა სამელზეში, სადაც ნახშირივით ჩანს რაღაც.

— ჩემო ბატონო, — უთხრა შრივმა.

— პატიმარო, თქვენი გვარი და სახელი? — მკითხა მოსამართლემ. ვუთხარი. ნელა ჩაიწერა დავთარში, მთელი გულისყურით ფხატნიდა ქალაქს.

— ჩემო ბატონო, — გაუმეორა შრივმა, — ეს ჩვენი ნაცნობია, ჩვენ...

— ჩუმად, აქ სასამართლოა, — თქვა ენსმა.

— მოკეტე შენ. — სპოუდმა უთხრა შრივს, — თავი გაანებე, ხომ უნდა მორჩეს თავის საქმეს.

— წლოვანება? — განაგრძო მოსამართლემ. ვუთხარი. ჩაიწერა, ტუჩები ააყოლა კალმის ნობრაობას. — საქმიანობა? — ვუთხარი. — პარეარდის სტუდენტი ხართ? — თქვა და მცირეოდნავ თავი დასწია, რომ სათვალის ზემოდან ჩემთვის შემოეხედა. ვაცივით ნათელი და ცივი თვალები აქვს. — ბავშვი რისთვის მოიტაცეთ?

— ნამდვილად ვაგიყენენ ესენი, — განაცხადა შრივმა, — ბავშვს მოტაცებებს როგორ ამბობენ...

ჯულიო წამოინთო, — გაგიუდნენო, — თქვა მან, — შე ხომ დაჭიროს ის? ამ თვალეზმა ნახოს...



ქართული

— სტყუი, — მოაძახა შრივმა, — არაფერიც არ...
 — მოითმინეთ, მოითმინეთ. — ხმას აუწია ენსმა.
 — ჩუხად, ყნაწვილებო, — თქვა მოსამართლემ, — თუ ახი დაწყნებულა ბიან, გაიყვანე, ენს! — დაჩუქდნენ. მოსამართლემ ჯერ შრივს წებედა, მერე სპოუდს, დაბოლოს — ჯერაღდს. — თქვენ რცნობთ ამ ახალგაზრდას? — ჰკითხა მან სპოუდს.

— ღიან, ბატონო მოსამართლე, — მიუგო სპოუდმა, — სასწავლებლად ჩამოვიდა სოფლიდან. ამ ბიჭმა ვის უნდა აწყენიოს. მგონია, თავად პოლიციელი მიხვდება თავის წყუდომას. მაშაშასი ერთი სოფლელი მღვდელია.

— ჰმ, აბა ზღუსტად მიაშხეთ ყველაფერი, — თქვა მოსამართლემ. მოვუყვი. ის კი მომჩერებოდა ცივი, ნათელი თვალეზით. — შენ რაღას იტყვი, ენს?

— შესაძლოა აგრე იყოს, — მიუგო ენსმა, — ამ უცხოელებისას რას გაიგებ.

— შე ამერიკელო ვარ, — წარწოთქვა ჯულიომ, — ჭალაღვიც მაქვს.

— გოგო სადღაა?

— შინ გაუშვა, — უთხრა ენსმა.

— შეშინებული ტაროდა ან თქვა რამე?

— არა, სანამ ჯულიო დაპატიმრებულს არ ეცა. მდინარეს მოპყვებოდნენ ჭალაქსკენ. ბიჭები ბანაობდნენ იქ და გვიოხრეს, აქეთ წამოვიდნენო.

— რაღაც გაუგებრობაა, ბატონო, — თქვა სპოუდმა, — ბაღლები და ძაღლები მუდამ აეკიდებიან იმას, ვინც მოეწონებათ. რა ამის ბრაღია.

— ჰმ, — ჩაფიქრდა მოსამართლე. ფანჯარაში გაიხედა ცოტა ხანს. ჩვენ კი მას წევცტერით. ქავილი ასტყდომოდა ჯულიოს, მესმის. მოსამართლე მიუბრუნდა.

— გოგოს არაფერი დაშავებია, ხომ ასეა?

— არაფერა დაშავებია, — უბასუხა დაღვრემით ჯულიომ.

— გოგოს საეზრად გამოქცეული სამუშაოს მოცდით?

— მოცდი, მორბოდო. გეყვიით მორბოდო. გავიხედო აქით, გავიხედო იქით. მერე კაცმა თქვას, ვნახო პური აჭამოსო და მერე წაიყვანოსო.

— ჰმ, მგონია, შევილო, — მიოხრა მოსამართლემ, — ზარაღი უნდა აუნაზღაურო, რაკილა სამსახურს მოაცდინე.

— კი, ბატონო, — მიუგვი. — რამდენი უნდა?

— დოღარი ეყოფა, მგონი.

დოღარი მივეცი ჯულიოს.

— მორჩა და გათავდა, — თქვა სპოუდმა, — ახლა კი საღაც უნდა, იქ წავა. არა, ბატონო მოსამართლე?

მოსამართლემ არც კი შეხედა სპოუდს.

— ბევრი ირბინე, ენს?

— სულ ცოტა ორი მიღი. ძლივს მივაგენათ ორი საათის შემდეგ.

— ჰმ, — ჩაფიქრდა მოსამართლე. შევცტერი მის გაბურჭნულ ჭალარას, ცხვირის წვერზე ჩამოცურებულ სათვალეს. სარკმელში მზემ შემოიჭყიტა,

ჯერ იატაკს დააფინა ნათელი, მერე კედელს მიატანა. ზედ შეატაკა მტვრის კორიანტელი ალმაცერად მიჰყვება სხივებს. — ექვსი დოლარი.

— ექვსი დოლარი? — წამოიძახა შრივმა, — კი მაგრამ, რისთვის?

— ექვსი დოლარი, — გაიმეორა მოსამართლემ. წამით შექნენ შრივს, მერე ისევ მე მომიბრუნდა.

— კი მაგრამ... — დაიწყო ისევ შრივმა.

— მოკეტე, — დაუძახა სპოუდმა, — შენც კიდევ მიეცი და წამოდი. ქალები გველოდებიან. გაქვს ექვსი დოლარი?

— მაქვს, — მიკეცი ექვსი დოლარი.

— საქმე დამთავრებულია, — განოგვიცხადა მოსამართლემ.

— ქვითარი გამოართვი, — მითხრა შრივმა, — ფული რომ აიღო, ქვითარიც უნდა მოგცეს.

მოსამართლემ თავაზიანად შეხედა შრივს, — საქმე დამთავრებულია-მეთქი, — გაიმეორა ხმის აუწყულად.

— კაცი არ ვიყო... — აღარ ეშვება შრივი.

— თავი გაანებე, — უთხრა სპოუდმა და მკლავზე წაივლო ხელი. — კარგად ბრძანდებოდეთ, პატივცემულო მოსამართლე. დიდი მადლობელი ვართ თქვენი. — გარეთ რომ გამოვდიოდით, ჯუღოსს გააფთრებული ხმა ისევ მოგვესმა, ოღონდ მაშინვე ჩახუმდა. სპოუდმა შემომხედა და ცნობისმოყვარეობა დაელანდუ მის თაფლისფერ, ცივ თვალებში. — ამის მერე ალბათ მარტო ბოსტონში ინადირებ გოგოებზე.

— შე ჭკუადათესილო, — მითხრა შრივმა, — სად დაეხეტები, აქ რა ჯანდაბა გინდოდა, ხომ არ გაგიყვდი, იტალიელებს რას გადაეკიდე?

— წავიდეთ, — თქვა სპოუდმა, — თორემ უკვე მობეზრდებოდათ ჩვენი ლოდინი.

ქალიშვილებთან საუბრობდა ქალბატონი ბლენდი. მისს პოლმზმა და მისს დეინჯერფილდმა მუსაიფს თავი გაანებეს და იმწუთსვე ისევ შემომხედეს ნატაფი და შემზარავი ცნობისმოყვარეობით, პაწაწინა თეთრ ცხვირებზე აეწიათ პირბადე და მალულად აკვესებენ თვალებს.

— კვენტინ კომპსონო, — თქვა ქალბატონმა ბლენდმა, — დედათქვენი რას იტყოდა? ახალგაზრდა კაცს შეიძლება უსიამოვნება გადასდეს, მაგრამ ვიღაც სოფლის პოლიციელმა რომ დააბატონოს და ფეხით გამოატაროს მთელი ქუჩა! რაო, რას აბრალებდნენ, ჯერალდ?

— არაფერს, — უპასუხა ჯერალდმა.

— როგორ? თქვენ მაინც მითხარით, სპოუდი!

— ერთი პატარა ტურტლიანი გოგო უნდა მოეტაცა, მაგრამ დროზე მიუსწრეს.

— რაო, — ქალბატონ ბლენდს იმ წამს ხმა ჩაუწყდა, თითქოსდა შეთანხმებულებივით, ერთსა და იმავე დროს ნაზად ამოიკვნესეს გოგოებმაც. — სისულელეა, — ცოცხლად დასძინა ქალბატონმა ბლენდმა, — ბრყვებსა და გლახაკებს რა გამოლევს ჩრდილოეთში, დაჯექით, კვენტან.

პატარა ისაკეც სავარძელზე დავსხედით შრივი და მე. ჯერალდმა მანქანა აამუშავა და დასძრა.

— აბა, კვენტინ, ეს სულელური აყალმაყალი რამ გამოიწვია, წვრილად

მიამბეთ, — მითხრა ქალბატონმა ბლენდმა. მოვუყევი, მრისხანედ შეწრბალდა შრივი, სპოუდი კი მისს დეინჯერფილდის გვერდით გადაწოლილიყო.

— სასერიო ისაა, რომ მთელი ეს ხანი კვენტინი თურმე თვალთმაქცობდა, — თქვა სპოუდმა, — თითოთ საჩვენებელი ყმაწვილის სახელს „ქონდა“ უწოდებდნენ, საკუთარ ქალიშვილსაც კი ყველა ანობდა. მაგრამ „ქონდა“ წყალობით ახლა ჩვენთვის ცნობილია მისი ბილწი საქმენი.

— კმარა, სპოუდ, — უთხრა ქალბატონმა ბლენდმა. მანქანამ ჩაუხვია, ხიდზე გადავედით და მალე ჩავუარეთ იმ სახლს, რომლის სარკმელში ვარდისფერი კაბა გამოეკიდათ. — ჩემი ბარათი რომ წაგეკითხათ, აგრე არ დაისჯებოდით. ბ-ნმა მაკენზიმ ხომ ვითხრათ ჩემი წერილის ამბავი.

— დიახ, ქალბატონო. კი მინდოდა წაკითხვა, მაგრამ შინ აღარ დავბრუნებულვარ.

— ჩვენ კი ვისხედით იქ და ბ-ნი მაკენზი რომ არა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოგვიხდებოდა ლოდინი. გვითხრა, აღარ დაბრუნდებოთ და თქვენ მაგიერად ის მოვიწვიეთ. თქვენი სტუმრობა ყოველთვის სასაამოვნო იქნება ჩვენთვის, ბ-ნო მაკენზი. — შრივმა არაფერი უპასუხა. გულზე ხელები დაეკრიფა და მცირეოდნავ გადახრილიყო, რათა პირდაპირ გაეხედა ჯერალდის კეპიანი ქუდის გვერდიდან. ქალბატონ ბლენდს ჰქონდა ნათქვამი, ინგლისელ ავტომობილებს ახურავთო ასეთი ქუდები. იმ და კიდევ სამ სახლს რომ ჩავუარეთ, მეოთხის ჭიშკართან ის პატარა გოგო დავინახე. პური აღარ ეკავა, სახეზე მურიანი ხაზები დასტყობოდა. ხელი დავუქნიე, მაგრამ პასუხი არ გაუცია, მანქანამ რომ ჩაიარა, ნელა მოატრიალა თავი, თვალის დაუხამხამებლად შემოგვეცქეროდა. შემდეგ კედლებს ჩავუქროლეთ, კედლების გასწვრივ მიბზიან ჩვენი ჩრდილები. იქვე, გზასთან გახეთის მონახევს მოვკარი თვალი და სიცილი ამივარდა კვლავ. ყელში მომაწვა და გარეთ ვიხედები, სადაც ნათელი ჩამდგარა ხეებში. საღამოხანზე, ჩიტსა და მობანავე ბიჭებზე ვფიქრობ. სიცილს ველარ ვიკავებ და მივხვდი. თუკი მეტისმეტად დავატან თავს ძალას, მაშინ ავქვითინდები, და ისევ დავიწყე ფიქრი აღრე ნაფიქრალზე, იმაზე, რომ აღარა ვარ უბიწო, რაკილა ამდენი მათგანი დაგოგმანებს ჩრდილში, გარინდებულ ქალწულთა ნაზი ჩურჩული ჩამესმის ამ ჩრდილიდან, მომეახლება მათი სიტყვები. სუნამოს სურნელება და დაუნახავად ვგრძნობ მათ თვალებს. მაგრამ თუ ასეთი მარტივია ეს ყველაფერი, მაშინ არც არაფერი ყოფილა და თუ არც არაფერია, მაშ მუ რისი გულისთვის... ქალბატონმა ბლენდმა თქვა, — კვენტინ, რა მოგივიდათ? ცუდად ხომ არაა, ბ-ნო მაკენზი? — და მერე შრივის ფუნჩულა ხელი შემეხებო მუხლებზე. სპოუდი აღაპარაკდა და აღარც მე ვცდილობ თავის შეკავებას.

— მგონი, ეს კალათა ედება ფეხებში, ბ-ნო მაკენზი, თქვენკენ ვადადგით. მე წამოვიდე ეს ღვინოებიანი კალათა, რადგან ახალგაზრდა ჯენტლმენებმა ღვინო უნდა სვან. თუმცა მამაჩემი, პაპა ჯერალდისა შენ ხომ ჯერ ერთხელაც არაო ბინდბუნდს ნათელი შეპარვია ხელები შემოეჭდო მუხლებზე

— დალევით კი დალევენ, თლონდ კი იყოს, — თქვა სპოუდმა, — არა, შრივ? ცას ახცქერის ცხრატყავას სურნელება გადახდის თავსა და ყელზე.

— ლუდსაც არ დაიწუნებენ. — უპასუხა შრივმა. მუხლზე კვლავ შემეხებო მისი ხელი. მუხლი გავწიე. ვით იასამნის ნაზი ფერი სულ იმაზე ლაპარაკობს

— შენ ჯენტლმენი არ ყოფილხარ, — უთხრა სპოულდმა ჩვენ შორის უნდა
ის ჩააყენოს ახლა უკვე მარტო ბინდბუნდი არ ფარავს

— მართალს ამბობ, მე კანადელი გახლავარ, — მიუგო შრივმა. და მაინც
მიამბობს მის შესახებ ნიჩბები მიციმციმებენ ნაპირის გასწვრივ¹ ხნგლისელი
ავტომობილები² და ატარებენ ასეთ კეპიან ქულებს დრო კი შიქრის³ სათქით
შიედინება და მხოლოდ ის ორი შერთვია სამარადეთამოდ ჯარში მსახურობდა
ის თურმე და ხალხს ხოცავდა

— თაყვანსა ვცემ კანადას, — თქვა მისს დეინჯერფილდმა, — ზღაპრული
ქვეყანაა.

— სუნამო თუ დაგიღვია როდისმე შენ, — მიუბრუნდა სპოული შრივს.
ცალი ხელით შეისვამდა მხრებზე იმ გოგოს და ეგრევე გააქცევდა

— არა, — უთხრა შრივმა. გააქცევდა ვითარცა ორზურგა ცხოველი და
ჩანთქა იგი ნიჩბების ბრკილმა გააქცევდა ევბელეს ღორებისნაირად გზადა-
გზა შეწყვილებულთ რაო რამდენი გყავდა კელი

— არც მე დამიღვია, — თქვა სპოულდმა. არ ვიცი ბევრი კი იყო რაღაც
საშინელება მჭირს რაღაც საშინელება მამა მე მომივიდა ეს შენ ხომ ერთხე-
ლაც არ ჩვენ კი ერთხელაც არ ან იქნებ

— და საუზმობამდე საკუთარი ხელით დაკრეფდა ბოლმე ჯერალდის პაპა
ჯერ კიდევ ცვრიან პიტნას. ბებერ უილკისაც კი არ გაიკარებდა ახლოს, ხომ
გახსოვს, ჯერალდ? თავად მოიმზადებდა ყველაფერს და თავად გაიკეთებდა
ჯულეპს*. ამ სასმელის შეზავებისას კი გახლდათ შინაბერასავით უცნაური —
ზეპირად იცოდა მისი რეცეპტი და დიდი ამბით შეუღებოდა საქმეს. ეს იყო
ჩვენ მოგვივიდა ნუთუ დაგავიწყდა დაიცა ახლავე გეტყვი თუ როგორ მოხდა
ეს ცოდვა სწორედ ჩვენ ჩავიდინეთ ეს საშინელი ცოდვა და ამას შენ ვერ და-
მაღლავ გგონია რომ მოახერხებ მაგრამ დაიცადე საბრალო კვენტინ შენ ხომ
ჯერ ერთხელაც არ მე გეტყვი თუ როგორ იყო ეს ამბავი მამასაც ვეტყვი ამ
ამბავს და მაშინ ნახავ შენ ხომ გაუვარს მამა წავალთ ჩვენ სადაც ჯოჯონეთია
და წმინდა ცეცხლი იცოდე ყველაფერს გალიარებიანებ მე შენზე ძლიერი ვარ
მაინც და გაიძულე რომ შენც ჩახვდე შენ გგონია ეს სხვები იყვნენ მე კი გე-
უბნები ეს მე ვიყავი-მეთქი ყური მიგდე მთელი ეს ხანი მე გასულელებდი ეს
მე ვიყავი შენ გეგონა რომ შინ ვიჯექი სადაც ლამის დავებრჩე იმ წყეულ
ცხრატყავას და სადაც ვცდილობდი აღარ მეფიქრა კედრის ძირას ჰამაკზე და
იდუმალ ხუნეშა-ოხვრაზე შეტყუებულნი რომ დაწაფებიან ამ ქშენა-გმინვას
დიახ დიახ დიახ დიახ თავად არასდროს დაუღვია ღვინო, მაგრამ სულმუდამ
ასე ამბობდა, ჯენტლმენი უღვინოდ — ნეტავი რომელ წიგნში ამოიკითხა ეს
ამბავი? იმ წიგნში ხომ არა, საიდანაც ნიჩბოსნის ტანისამოსი გადმოუღია ჯე-
რალდისთვის — ნამდვილად არ წავაო პიკნიკზე შენ ხომ გაუვარდა ისინი კელი
ხომ გაუვარდა-მეთქი ისინი მათი შეხება სიკვდილი იყო ჩემთვის

დადგა თუ არა კელი ზღურბლზე იმაც წამს ღრიალი მოართო და კაბაზე
წაეტანა ღრიალითვე შეათრია ოთახში ღრიალითვე აიყვანა კიბეზე და სააბა-
ზანოს კართან მიაგდო კელიმ ხელები აიფარა ცრემლჩამომდინარ სახეზე ის
კი ღრიალით სააბაზანოში მის შეგდებას ლამობს და როცა ტ.პ.-ი აჭმევდა
ბენჯის ჯერ აზმუკუნდა და მერე ისევ აღრიალდა კედის შეხებისთანავე მაშინ

* წყლით, შაქრით, ყინულითა და პიტნით შეზავებული კონიაკი ან ვისკი.

კუთხეში მიმწყვდევული ვირთხისა გაუხდა თვალები და გავიჭერი გარეთ ბინდ-
ბუნდში სადაც თბილ ნოტიო ჰაერს წვიმისა და უთვალავი ყვავილის სურნე-
ლება შერთვია კრიჭინობელები კრიჭინებენ მდებლობზე მაგრამ ჩემ წინ ილტ-
ვის პატარა კუნძული მდუმარებისა დობის იქიდან აენსი მომხერებნი მსოფსზე
გადაკიდებული ქრელატრულა საბანი გეგონება იგი და ასე გავიჭიქრე იმ
დაწყველილ ზანგს ისევ დაეიწყებია-მეთქი მისი ჭმევა ჩავრბივარ წყაროსკენ
კრიჭინობელათა უხმოობა მიიფრქვევა როგორც დანართქლი სარკის ზედა-
პირზე გულაღმა გართხმულა ქვიშაზე უღვეს თავი თეძოებზე ევლება წყალი
აქ უფრო მეტი ნათელი დგას გვერდებზე კაბის კალთები ამობურცვია ალივ-
ლივებს წყლის დინება ნაპირზე მდგარი სხეულითაც კი ვგრძნობ როგორ ავსე-
ბულა წყლის ეს ნათელი ზოლი ცხრატყავის სურნელებითა და კრიჭინობელა-
თა ხმაურით

ბენჯი ისევ ტირისო
არ ვიცი მგონი კი არ ვიცი-მეთქი

საბრალო ბენჯიო
ნაპირზე დავჯექი ცვრიან ბალახში და მერე უცხსაცმელიც დამისველდა
წყლიდან ანადი ხომ არ გაგიქდი-მეთქი

თავიც არ წამოუწევია შემობურულ თმას ბუნდად შემოუხაზავს ბუნდ
ქვიშაზე მისი თეთრი სახე
ახლავე ამოდი-მეთქი

წამოჯდა ჯერ და მერე წამოდგა კაბა დაღობია წურწურით ჩამოსდის
წყალი ნაპირზე ამოძვრა მთლად დასველებული იქვე ჩამოჯდა

ჩქარა გაწურე გინდა გაცივდე-მეთქი
აი დარდიო

მიჩუხჩუხებს წყარო ქვიშას ნილოკავს და აბრეშუმისნაირად მისრიალებს
ლოდებსა და ტირიფებს შუა წყალში ჩამდგარა მკრთალი ნათელი

ოკეანეები გადაუცურავს მთელი დედამიწა აქვს შემოვლილიო
და მიამბობს მის შესახებ სველ მუხლებზე შემოუჭდვია ხელები და თა-
ვი გადაუგდია უკან ცხრატყავას სურნელებას მოუცავს მტრედისფერი ბინდი

განათებულაა დედის ოთახი და ბენჯისაც ტ. პ.-ი დასაძინებლად აწვეს მას
გოყვარს-მეთქი ის

ხელი გამომიწვდინა ვდგავარ გაუნძრევლად ხელის ცეცებიოვე მონახა
ჩემი მკლავი და მკერდზე მიმაღებინა ხელი ბაგაბუგი გააქვს მის გულს

არა არაო

მამ ძალა იხმარა და გაიძულა-მეთქი ღონით გაჯობა ხომ წყეული ვიყო
თუ ხვალეე არ მოვკლა მანამდე კი მამას ნუღარაფერს ეტყვი მერე წავალთ

მე და შენ და არც არავინ არასდროს გაიგებს რამეს წავილოთ ის ფული სას-
წავლებლად რომ მაქვს გადადებული დაე ვამრიცხონ კედი შენ ხომ გეზიზღება

ის ხომ გეზიზღება-მეთქი

მკერდზე მიუხუტებია ჩემი ხელები ბაგაბუგი გააქვს მის გულს მიეტრი-
აღდი მისკენ მკლავზე წავეტანე

კედი შენ ხომ გეზიზღება-მეთქი ის
ახლა ყელზე მიიხუტა ჩემი ხელი და იტაც მალამალ უცემს გული

საბრალო კვენტინ
ზეცას მიაპყრო თვალი ცა კი ჩამოშლილი კარავივით დაბლა სულ დაბლა

ჩამოწეულა და ძირს ჩამოუტანია მთელი სურნელება და ხმაური ღამისა ცხრა-
ტყავისაგან სუნთქვა მიჭირს და იმას კი თავპირსა და ყელზე დასდებია შტრე-
დისფერი და ხელისგულით ვგრძნობ შისი სისხლის ჩქეფას ამიკანკალდა მე-
ორე ხელი რომლითაც მიწას ვარ დაყრდნობილი და სული შემეხუტა ჭაერში
გამჭდარმა შტრედისფერმა ცხრატყავამ

პო მეზიზღება მზად ვარ სული დავლიო მისთვის მე უკვე დავლიე სული
მისთვის და ისე და ისევ სულს ვლევ ხოლმე როცა ის

ხელი მოვაცილე მიწას და ცეცხლივით მეწვის ჯვარედინად გადანასერი
ქვერისა და შტოების

საბრალო კვენტინ

მუხლებზე ხელგადატდობილი უკან გადაიხარა

შენ ხომ ერთხელაც არა

რა ერთხელაც არა-მეთქი

რადა რაც მე და იმან

ათას ათას გოგოსთან და ათასჯერაც-მეთქი

მაშინ კა კრემლი მომერია შენგებო ხელი მომკიდა მე კი ვქვითინებ მის
დალტობილ კაბაში სახეჩარგული წევს თავი ჩემს თავთან ატვს და ზეცას აპყუ-
რებს მისი თვალის თეთრონს გხედავ დანა გავხსენი

ბებია რომ მოკვდა ის დღე თუ გახსოვს როცა შენ წყალში ფეხი და-
გისხლტა და ნიფხავი დაისველე-მეთქი

მახსოვსო

დანის წვერი ყელზე მივაბჯინე

ერთი წამი და ყველაფერი გათავდება ერთი წამი და მერე მეც შენსავით
მერე მეც-მეთქი

მე კარგი მაგრამ შენ თავს აგრე გაიმეტებო

საკმაოდ გრძელია ეს დანა ბენჯის კი ახლა სძინავს-მეთქი

პო სძინავსო

ერთი წამი და ყველაფერი გათავდება ვეცდები ძალიან არ გატკინო-
მეთქი

ეგრე იყოსო

აბა ახლა თვალი დახუჭე-მეთქი

არა ასე ვიქნები მხოლოდ მაგრა უნდა დაჰკრაო

ხელი შენც შემაშველე-მეთქი

მაგრამ არც კი შერბეულა თართოდ გახელილი თვალებით ჩემი თავის
მიღმა ზეცას ასცქერის

კედი გახსოვს-მეთქი დიღში როგორ ვაგიწყრა ნიფხავი რად დაისვარეო
ნულარ სტირიო

მე აღარ ვტირი-მეთქი კედი

მაგრა უნდა დაჰკრაო მიდი რაღას უცდი

ეს შენი სურვილიცაა-მეთქი

ჰოდა მაგრა დაჰკარო

ხელი შენც შემაშველე-მეთქი

ნუ სტირიო საბრალო კვენტინ

მაგრამ თავს ველარ ვიმაგრებ თავით მივეხუტე მის მკერვისა და სველ
მკერდს და უკვე მისი ჩაწყნარებული გულისცემა მესმის წყალი მიჩუხჩუხებს

ბნელით მოცულ ტირიფებს შორის ცხრატყავას სუნიც მოიფრქვევა და
 ვგრძნობ — ტანქვეშ მხარი და მკლავი გამხვევებია



რაო რას შერებით
 დაეძაბა სხეული მე კი წამოვჭექი
 დანა დამივარდა-მეთქი
 ისიც წამოჯდა
 რა დრო იქნებაო
 არ ვიცი-მეთქი
 ფეხზე წამოდგა მე კი ბალახში დავეძებ
 მივდივარ და ნულარ დაეძებო
 ვგრძნობ აქვე დგას მისი სველი კაბის სურნელება მომეახლა
 სადღაც აქ იქნება-მეთქი
 მერედა იყოს ხვალ მოხვალ და ნახავო
 დაიცადე ახლავე ვიპოვი-მეთქი
 ხომ არ გეშინიაო
 სადღაც აქ აგდია-მეთქი
 ეგდოს წამოდით
 წამოვდექი და აღმართს ავყევი ჭრიჭინობელები ყუჩღებიან ჩვენ წინ
 რა სასაცილოა დაჭდები რაღაც დაგივარდება და მერე სულ ეძებ და ვერ

პოულობ-მეთქი

რძისფერი ნისლი ასდის ცვარნაბკურებ მიწას და ცას ერთვის იქით კი
 ხეებია უკვე

ჯანდაბას ეს ცხრატყავა სუნთქვა მეკვრის-მეთქი

აღრე შენ ეს სუნი გიყვარდაო

გორაკის წვეროს მივატანეთ და ხეებისკენ გავწიეთ დამეჯახა ამ სიბნე-
 ლეში შავ ზოლად დაეცყო ლაფარო ნაცრისფერ ბალახს კვლავ დამეჯახა შე-
 მომხედა წამით მალე მივედით იმ ლაფაროსთან

ასე წამოდი-მეთქი

რადაო

ნენსის ძვლები ვნახოთ რამდენი ხანი არ მინახავს შენ ზოდოს როდისღა
 ნახე-მეთქი

ბარდ-ეკალს დაუფარავს ირგვლივ ყველაფერი ბნელა

აი იქ ეყარა მაგრამ ახლა აქედან ვერაფერს დაინახავ-მეთქი

შანდ დადექიო კვენტინ

ნურსად გადაუხვევ-მეთქი

მოიზღუდა ლაფარო და ხეებისკენ გამოჩნდა სავალი

მანდ დადექიო კვენტინ

კედი-მეთქი

კვლავ წინ გადავუდექი

ვერ წახვალ-მეთქი

დგას დიდაგრული და არც გასხლტომას ლამობს

ჭიდაობას ხომ არ დაგიწყებ თავი გამანებდეს

კედი ნუ წახვალ-მეთქი კედი

მაინც ვერაფერს გახდები ხომ იცი და გამიშვიო



ცრის და ცრის ცხრატყავას სუნი და კრიჭინი გააქვთ გარშემო კრიჭინობლებს შემომიარა და ხეებისკენ გასწია

შენ კი შინ წადი რას მომყვებით მიყვები

შინ რად არ დაბრუნდებით

ეს დაწყევლილი ცხრატყავა-მეთქი

ლობესთან მივედით და გაძვრა მეც გავძვერი და წელში რომ გავიმართე დავინახე — ხეებს გამოეყო და ჩვენკენ მოდის ის რძისფერს შერთული ჩვენკენ მოაბიჯებს ბრტყელ-ბრტყელი და მაღალი სარგადაყლაპულივით მოდის გვიახლოვდება კედი გაეგება

ეს კვენტინია სველი ვარ მთლად სველი იცოდე არ ამიყვანოთ თორემ მათი ჩრდილები ერთ ჩრდილად შერთულან კედის თავი ახლა უფრო მაღლა ჩანს ორი თავი იხატება ცაზე

ნუ ამიყვან ნუ შვრებით თორემ

თავები შერწყმულან ერთი თავილა ჩანს და წვიმის სურნელებამ აღავსო სიბნელე რძისფერი ციალი გაიღო ცვარმა დალტობილ ბალახებსა და ფოთლებში თითქოს ცხრატყავამ იწვიმო იმპლავრა სინოტივემ და იმის მხარზე კედის სახე დავლანდე ბალღივით დაუსვამს ცალ ხელზე მეორე კი მე გამო-მიწოდა

კეთილი იყოსო ჩვენი გაცნობა

სელი ჩამოვართვი და ვდგავართ ყველანი სადაც კედის ჩრდილია მისი ჩრდილის პირდაპირ და ჩრდილი ჩრდილს შერთვია

სად მიდიხართ კვენტინ

ცოტას გავივლი ამ ტევრში გავალ გზაზე და შინ დაბრუნდები-მეთქი გადავუხვიე

ღამე მშვიდობისა-მეთქი

კვენტინ

შევჩერდი

რა გინდა-მეთქი

ტევროდან ვასაკების ყიყინა მოისმა წვიმის მაცნედ თითქოს სათამაშო არ-ღანს ძალისძალიდ მართავენო ცხრატყავას სუნით გაქლენთილ პატრას ჩაეხვია ეს ღმა

აქ მოდიო

რა გინდა-მეთქი

აქ მოდიო კვენტინ

მივტრიალდი კედი გაღმობიარა თავისი ჩრდილი დამაფინა და ბუნდად მოუჩანს სახე იმის აწოწილ ჩრდილში გვერდზე მივდექი

იმა ფრთხილად-მეთქი

შინ წადიო

ახლა არ დამეძინება და ცოტას გავივლი-მეთქი

მიდი და წყაროსთან დამიცადეო

ცოტას გავივლი-მეთქი

დამიცადე და ახლავე მოვალო

ცოტას ამ ხეებში გავივლი-მეთქი

შვან აღარ ვიხედები და მივდივარ ვასაკები კი ყიყინებენ ყურადღებას

არ მაქცევენ მკრთალი ციალი ხავისნაირად ჩაფენია ხეებს წვიმით კი არ
წვიმს ცოტა ხნის მერე გამოვბრუნდი და წამოვედი გამოვედი ტევრის მხრას
და მაშინვე ვიგრძენი ცხრატყავას სუნი სასამართლოს წენობის განათებული
საათი დაეინახე ქალაქის სინათლეთა ანარეკლი ცას შერთვია მდინარის სინა-
პირთზე ტირიფები გარინდებულა ბენჯის სარკმელთან ერთად ~~სწორედ სწორედ~~
ლიცაა განათებული ღობეში რომ გავძვერი ჭრიჭინთბელათა ჭრიჭინში მტრე-
ლისფერი მინდორი გადავირბინე სულ უფრო იმძლავრა ცხრატყავას სუნმა —
სწორედ მისი ფერი დაჰკრავს წყალსაც ნაპირზე პირქვე ჩავემხე იქნებ ეს
სუნი მომეშვას-მეთქი და მართლაც ამან მიშველა მიწის სიგრილემ გამოატანა
ტანსაცმელში წყლის ჩურჩულიდა მესმის ცოტა ხნის შემდგომ შვება ვიგრ-
ძენი ვწევარ და ვფიქრობ მალე ისიც მოვიდა წყალთან მე კი არც ვიძვრი

გვიანია და შინ წადი-მეთქი

რატომო

შინ წადი გვიანია-მეთქი

კარგიო

შრიალი მესმის კაბისა და მე კი ვწევარ და არ ვიძვრი შეწყდა შრიალი

შენ გეუბნები შინ წადი-მეთქი

რათ რა მითხარიო

კედი-მეთქი

წავალ თუ ასე გინდა წავალო-

წამოვჯექი ის კი ზის იქვე მუხლებზე ხელებშემოჭდობილი

შინ წადი-მეთქი მე შენ გეუბნები

ყველაფერს ვიზამ როგორც შენ მეტყვი ყველაფერზე თანახმა ვარო

თავად კი ზედაც არ მიყურებს მხრებზე წავავლე ხელი და შევანჯღრიე

ხმა-მეთქი

ისევ და ისევ შევანჯღრიე

ხმა-მეთქი ხმა-მეთქი

კარგიო

თავი ასწია მე არც კი მიცქერის კვლავაც ვხედავ მისი თვალების თეთ-

რონს

ადექი-მეთქი

ვეწევი მის უღონოქმნილ სხეულს ფეხზე მინდა წამოვაყენო

აბა ახლა წადი-მეთქი

შენ რომ წამოხვედი ბენჯი ტირილია თუ არაო

აბა წადი-მეთქი

წყარო გადავიარეთ და მალე სახურავი გამოჩნდა მერე ზედა ფანჯრებიც

ახლა უკვე სპინავს-მეთქი

ჭიშკარი გავალე და შევიდა მიდის მქრქალ ნათელსა და წვიმის სურნელში

ჯერ კიდევ არ გაწვიმებულა ღობედან მაინც ცხრატყავას სუნი მოედინება კე-
დომ ჩრდილში შეაბიჯა და მისი ფეხის ხმა ძლივსლა მესმის

კედი-მეთქი

დავჯექი კიბესთან და აღარ მესმის მისი ფეხის ხმა

კედი-მეთქი

ისევ მომესმა მისი ფეხის ხმა და რომ შევეხე არც მეცხელა და არც მე-

ცივა გაუნძრევლად დგას ჯერ კიდევ არ შეშრობია კაბა



ახლა თუ გიყვარს-მეთქი

სუნთქვაშეკრული ღვას თითქოს შორითლა მესმის მისი სუნთქვა

კედი ახლა თუ გიყვარს-მეთქი

მკრთალ ნათელს შეუფერავს ჩრდილები და დამდგარ მწყნარებას თქვითოს

ჩამკვდარა ყოველივე

ნეტავ მოვკვდებოდე-მეთქი

გეყოფა შინ შემოდის ახლა

შენ ახლაც იმაზე ფიქრობ-მეთქი

არ ვიცი

თქვი რას ფიქრობ მითხარა-მეთქი

კარგი აღარაფერს ვიტყვი ძალიან კი ვხმაურობთო

მოგკლავ და ის იქნება-მეთქი

შანაყთან მივიდეთ აქ ნუ ტირი

მე არ ვტირი შენ კი თქვი ტირიო მაგრამ არა არ ვტირი-მეთქი

ჩუმად იყავი ახლა თორემ ბენჯის გააღვიძებო

ახლავე შინ შედი შინ შედი-მეთქი ახლავე

ნუ ტირი ასეთი გაეჩენილვარ მე და რას იზამო

დაწყევლილები ვართ და რა ჩვენი ბრალია რა ჩვენი ბრალია-მეთქი

გაჩუმდი და წადი დაიძინეო

არ წავალ გეუბნები დაწყევლილები ვართ-მეთქი

დაბოლოს ვნახე ის უმაწვილი საპარიკმახეროში შედიოდა შევხედე ერთი

და გვერდზე მივდექი დავუცადე

ორი თუ სამი დღეა დაგეძებთ-მეთქი

რა გნებავთო

თქვენთან სალაპარაკო მაქვს-მეთქი

მარდად შეახვია თუთუნი და სალოკი თითით ასანთს გაჰკრა

აქ ლაპარაკი უხერხულია და სადმე სხვაგან შევხვდეთო ერთმანეთს

სასტუმროში ხართ ვიცი და იქ მოვალ-მეთქი

არც იქ ივარგებს აი იმ წყაროს იქით სჯობსო ხილთან

კარგი აგრე იყოს-მეთქი

ზუსტად პირველზეო

კარგი-მეთქი

გამოვტრიალდი

ძალიან დამავალეთ-მეთქი

დაიცადეთო

მივუბრუნდი

თქვენს დას რამე ხომ არ უჭირსო

ხაკისფერ პერანგში ღვას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულივით

რამე ხომ არ მოუვიდაო თქვენს დას

პირველ საათზე გეტყვით-მეთქი

ტ. პ.-ის გავძახე პირველი საათისთვის პრინცს უნაგირი დაადგი-მეთქი

კედიმ ეს გაიგონა მას იმერე მითვალთვალვებს ლუკმა არ ჩაუდვია პირში და

ზღურბლს აღარ მოცილებია

სად მიდიხარო

არსადაც არ მივდივარ ცოტას ცხენით გავისეირნებ-მეთქი



რადაცას აპირებო შენ
 შენი საქმე არაა შე კახპა-მეთქი
 ტ. პ.-იმ სახლის უკანა კიბესთან მიაყენა პრინცი
 აღარ მინდა ფეხით წავალ-მეთქი
 დავეწვი ბილიკზე და ტიშკარი გამოვიარე მერე გადავუხვეე და გავუქუცი
 ჯერ კიდევ ხიდთან არ ვიყავი მისული რომ დავინახე მოაჯირს მიყრდნობოდა
 ცხენი კი იქვე ზეივანში დაუბამს ცერად გადმომხედა და ვიდრე ახლოს არ
 მივუდი და არ შევჩერდი აღარ შემოუხედავს ვხედავ ხის ქერქს ამტვრევს და
 წყალში ისვრის ნატეხებს

მე გუბნებით ამ ქალაქიდან უნდა წახვიდეთ-მეთქი
 კვლავ მოამტვრია ხის ქერქს და უშფოთველად წყალში ჩაუშვა ნატეხი
 დინებამ გაიტაცა თვალი გააყოლა

ქალაქიდან უნდა წახვიდეთ-მეთქი
 შემომხედა
 კედიმ გამოგაგზავნათო ხემთან
 მამაჩემის ან სხვის ნათქვამს კი არ გუბნებით — უნდა წახვიდეთ-მეთქი
 ყური მივდე შენ სჯობს ის მითხრა კედის რამე ხომ არ წევმთხვათ
 ეგ შენი სადარღებელი არ არის-მეთქი

შემდეგ გავიგონე ხემი სიტყვები მზის ჩასვლამდე უნდა წახვიდეთ-მეთქი
 ქალაქიდან

კვლავ მოატეხა ხის ქერქს და წყალში მოისროლა ნატეხი მერე მოაჯირზე
 ჩამოდვა იმ ქერქის მონარჩენი სიგარეტი მოსრისა ასანთს გაპკრა და ნამწვი
 წყალში გადაუშვა

რაო რომ არ წავიდე რას იზამო
 თუმცა ბავშვი გვონივართ იცოდეთ მოგკლავთ აი რას ვიზამ-მეთქი
 სახე გადაუსერა ნესტოებიდან გამოდენილმა ბოლმა
 რამდენი წლისა ხარო შენ
 კანკალი მომერია მაგრამ მოაჯირს რომ მოვაცილო ხელები მიხვდება რაცა
 მჭირს

დალამებამდე გაცლით-მეთქი
 ყური მივდე მეგობართ შენი სახელი მითხარი იმ სულელს ვიცი ბენჯის
 ეძახიან შენ კი რა გქვიათ

კვენტინი მქვია-მეთქი
 მაგრამ მე კი არა პირმა ამოთქვა ეს
 მზის ჩასვლამდე გადროვებთ-მეთქი

კვენტინიო
 თითქოს ფანქარს თლისო ნელა შეატრიალა სიგარეტი ხელში ნელა დაპკ-
 რა მოაჯირს და აგრე ფრთხილად მოაცილა ფერდლო ხელები აღარ მიკანკა-
 ლებს

ყური მაგდე აგრე რად სწუბხარ რა შენი ბრალიათ მე თუ არა სხვა იქნე-
 ბოდაო

შენ დაი თუ გყავს თუ გყავს-მეთქი
 არა მაგრამ ვიცი ყველა კახპაათ
 მუშტი არც შემიყრავს ისე გავუქნაუ ხელს სახეში ასევე სწრაფად მიტაცა
 მაჯაზე ხელი მოაჯირს გადაევლო სიგარეტი მაშინ მეორე ხელიც მოვუქნიე

და იმან ისიც გაშიკავე სახამ სიგარეტი წყალზე დაეშვებოდა ცალი ხელით
შემბოჭა მერე კი უბუნნი ჩაიციურა იმის მხრებს მიღმა ცაა და მზე საიდანღაც
ჩიტის გალობა ჩამომესმა შევეყურებთ ერთმანეთს და ჩიტი გალობს თავისთ-

თავისთ-
ერქონსუღნი
გინგლირთუქა

აბა ერთი ამას შეხედეთ

მოაჯირიდან ხის ქერქი აიღო გადააგლო და იმ წუთას დაყვინთა ქერქმა
მერე ამოტივტივდა წყალმა გააქანა ვხედავ მოაჯირზე გადაუდგია რევოლვერი
ვდგავართ და ვიცდით

აბა აქედან თუ მოახვედრებთ

ვერა-მეთქი

მიაქვს წყალს ქერქი და ტყიდან ჩამიჩუმში არ ისმის კვლავ მოატანა ჩიტის
გალობამ წესიერად არც კი ამოუღია მიწანში ისე ჩაამსხვრია ქერქი მდინარე-
ში ვერცხლის დილარიანის ოდენა ორი ნაკერილა ამოტივტივდა და არც ერთს
ააცილა არც მეორეს

მგონი კმარაო

გადახსნა რევოლვერი და ლულაში ჩაუბერა წვრილი ბოლილა შეერიო პა-
ერს მერე ხელახლა დატენა სამი ტყვიით და ტარით გამომიწოდა

რად მინდა სროლაში არავის ვეჭობრება-მეთქი

შენმა სიტყვებმა დამარწმუნა რომ გჭირდება ახლა ხომ ნახე როგორ უნ-
და სროლაო

შენი რევოლვერიანად ჩანდაბაშიაც წასულხარ-მეთქი

ხელი მოვუქნიე ვასარტყმელად მაგრამ შემბოჭა ისევ მე კი მაინც ვცდი-
ლობ და უცებ თითქოს ფერად მინაში გავიჭვრიტეთ კარგად ველარ დავინახე
იგი სისხლის ხმაური მესმის ყურებში და მერე ისევ გამოჩნდა ზეცა მზე
პრტყვიანებს ბუჩქებისკენ გადავექანე და ის კი მაკავებს

ხომ ვასარტყი-მეთქი

არ გამიგონია რა მიპასუხა

რა თქვით-მეთქი

თავს როგორა გრძნობო

კარგად ვარ ვამიშვით-მეთქი

ვამიშვა და მოაჯირს მივეყრდენა

თავს ხომ კარგად გრძნობო ახლა

თავი გამანებეთ ძალიანაც კარგად ვარ-მეთქი

შენით წასვლა თუ შეგიძლიათ

თავი გამანებეთ-მეთქი ხომ გითხარით

თუ ვერ წახვალ ჩემს ცხენზე შეგექით

თავიდან მომწყდით-მეთქი

მერე აღვირი გადაადგევა უნაჯირზე და თავლაში თავისით დაბრუნდებოთ
თავი გამანებეთ და აქედან მომწყდით-მეთქი

მოაჯირს გადავეყრდენი და წყალს ჩავიქერი მესმის ცხენი ახსნა შეჭდა
წავიდა სიჩუმე ჩამოვარდა მდინარის ჩქაფუნიდა ისმის მერე ჩიტის გალობა
გავიგობხე ხიდი ვადმოვიარე დავგექი მიწაზე ზურგითა და თავით ხეს მივეყრ-
დენი თვით დავხუჭე შშის სხივებმა გამოატანა მალე ხის ფოთლებში იბრდ-
ღვიალა ნათელმა ხეს არ მოვეცილებივარ ისე გადავინაცვლე ცოტათი კვლავ
მომესმა ჩიტის გალობა და ხმაური წყლისა უცებ ყოველივე გარემოიქცა ჩემ-

გან თითქმის კარგად ვიგრძენი თავი შემდგომ ყველა ამ დღისა და ღამის როცა სიბნელიდან ცხრატყავას სუნი მოედინება ოთახში და მე კი ვწვალვარ არ შეძიხება ცოტა ხნის ძერე დავრწმუნდი — იმას ჩემთვის ხელი არ გაუტყვამს და კიდევაც იცრუა კედის ხათრით გოგოსავით შემწუნებია გული ჩემთვის ახლა სულ ერთია ზურგზე ხას საამურ სურნელებას ვგრძნობ და პრეტერტერული ფოთლებივით ჩამომწვდენია მზის ათინათი მხოლოდ წყლის ჩუნჩუნი მესმის და აღარაფერს ვფიქრობ ცხენის ფლოქვების თქარათქური რომ გავიგონე თვალი მაშინაც არ გამიხელია და არც მაშინ როცა ხალებმა ღრატადრუჭი გაიღო ქვიშაზე და ჩქარი ფეხის ხმა და ჩემკენ გამოწვდილი ხელები

სულელი შე სულელი დაჭრილი ხარო

თვალი გავახილე და კედის ხელები ფათურობს ჩემს სახეზე

— საით გავქცეულიყავ აღარ ვიცოდი სანამ სროლის ხმა არ გავიგონე არ ვიცოდა არ მეგონა თუ ის და შენ რად გამომეჭეცი რას ვიფიქრებდიო ის თუ

ორივე ხელი მტაცა სახეზე და თავი ხეს მიმახლევიანა

ხელი ხელი-მეთქი

მაჯებზე წავეტანე

წყნარად წყნარად-მეთქი ხომ გითხარი

ვიცოდი განა არ ვიცოდი ის არაფერს დაგიშავებდაო

ჩაბჭიდა ხელი ისევ ხეზე უნდა მიმარტყმევიანოს თავი

მე კი ვუთხარი იმას ახლოს აღარ გაეყაროო მე კი ვუთხარი

ცდილობს მაჯები გაინთავისუფლოს

გამიშვი ხელიო

ვერ წახვალ მე შენზე ღონიერი ვარ არ გაგიშვებ-მეთქი

გამიშვი უნდა მივუსწრო და ვუთხრა გამიშვი კვენტინ შენი ჭირიმე გა-

შიშვი გამიშვიო

და უცებ დაწყნარდა კედი მკლავები ჩამოუცვივდა

მერეც კი ვეტყვი სხვა ღროს მერეც კი დამიჯერებსო

კედი-მეთქი

პრინცი აშვებულია და მალე თავლაში გაიქცევა ალბათ

ყოველთვის დამიჯერებსო

მაშ გიყვარს-მეთქი იგი კედი

მიყვარს კიო

ერთი კი შემომხედა და მერე ყოველივესაგან გამოეწმინდა თვალები ქან-

დაკებისას დაემსგავსა — უტყვი უაზრო და შეუშფოთველი

აი აქ ყელზე მომკიდე ხელიო

ჩემი ხელი აიღო და ვგრძნობ მისი ყელის სითბოს

აბა ახლა მისი სახელი მითხარი-მეთქი

დოლტონ ეიმზიო

სისხლის ჩქევა შევიგრძენი მისი ახლა და გამალეებული ფეთქვა გულისა

ჯაიმეორე-მეთქი

სახე ხეებისკენ მიუბყრია სადაც მზე ლივლივებს და ჩიტიცაა

ჯაიმეორე-მეთქი

დოლტონ ეიმზიო

შალიად და მალიად ჩქეფს მისი სისხლი

ძობდის და ძობდის კარგა ხანია, საზე კი მიცვალეზულივით გამცრევიბია. თვალეზი და ხაჭრილობევი თითზე ისეე მეწვის. შრივი წყალს ტუმბავს. შემდეგ შემოვიდა და ბადია შემოიტანა. კიდეეზჩაყვითლებული ბუმბუღევი მრუძე ფერისა, შორეთში მოლივლივე საპაერო ბურთივით მოჩანს. შემდეგ ჩემი სახეც დავლანდე წყალში, დავაკვირდი.

— აღარ გდის? — თქვა შრივმა, — აბა ეგ ნაჭერი მომეცი. — უნდა გამოძარტვას.

— არ გიხდა, — ასე მივუგე, — მე თვითონ. მგონი, აღარც მოძდის უკვე. — ნაჭერი ამოვავლე და ის ბუმბუღევი გასკდა. წყალი შეიფერა. — ვაი რომ სუფთა აღარაფერი მაქვს.

— თვალზე უნდა ხორცი რომ მიიღო, კარგი იქნება, — მითხრა შრივმა, — თორემ ზვალე სულ ჩაგილურჯდება. ძაღლის გაგდებული ისა, — დასძინა მერე.

— იძასაც ხომ მოხვდა? — ცხვირსახოცი გავწურე და სისხლი მიწდა მოვაშორე ჟილეტს.

— ძასე ვერაფერს გახდები, — თქვა შრივმა, — გასაწმენდად უნდა მისცე. მიდი ახლა თვალზე მიიდე.

— იქნებ ცოტა მაინც მოვაცილო, — ვუთხარი მე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვაშორე. საყულოცა მაქვს დასვრილი.

— არ ვიცი, — მიბასუხა შრივმა, — თვალზე მიიდე-მეთქი, ხომ გითხარი, აბა მომეცი.

— ზელი! — მივაძახე, — მე თვითონ მივიღებ. იძასაც ხომ მოხვდა.

— შენც კი ზეთქე, მგონი. მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი. იქნებ გვერდზე ვიხედებოდი ან თვალი დავახანჩამე იმ წუთას, არ ვიცი. კარგად კი გბეგვა. მშვენივრად სცოდნია კრივი. რა ეშმაკად დავტაკე? ჭკუა ხომ არ დავიკარგავს. აბა ახლა თავს როგორა გრძნობ?

— არა მიშავს, — მივუგე მე, — ეს ჟილეტი რითი უნდა გავიწმინდო?

— ოჰ, ტანსაცმლის დარდი გაქვს. თვალი კიდეეზ გტკივა?

— მშვენივრად გგრძნობ თავს, — ასე ვთქვი. ყოველივე თითქოს ლილისფერი გამხდარა და გაყუჩებულა. სახურავს შემოთ მიწვანე-ოქროსფრად ხასხასებს ცა. ხიავიც კი არ იძვრის და ფრთისებრ აწვართულა ბუჩრის კვამლი. წყალსაქანთან ისეე ვილაც კაცი ჯახირობს, ბადიას ავსებს და მხარ-მკლავიდან ჩვენ გვითვალთვალებს. ქალი გამოჩნდა კარში, ისე გაიარა, ჩვენკენ არც კი გამოუხედავს. ძრობა ზმუის სადღაც.

— კარგი ახლა, — მითხრა შრივმა, — სჯობს თვალს მიხედო და მაგ ტანსაცმლს თავი დაახეზო. ზვალ დილასვე გავაგზავნი გასაწმენდად.

— მოვრჩები ახლავე. ერთი ბეწო ჩემი სისხლი მაინც წაცხებოდა მისას.

— ძაღლის გაგდებული ისა, — თქვა შრივმა. სპოუდი გამოვიდა სახლიდან. მგონი, იმ ქალს ეუბნებოდა რაღაცას. ეზო გადმოჭრა. ცივი, დამცინავი თვალეზი შემოძანათა.

— ზებ, ჩემო კარგო, — მითხრა მან, — ფრიად სახიფათო გასართობებო გეკარებია, დძერთძახი. ბავშვების მოტაცება, მუმბუღევი-კრივი. არდადეგებზე ნეტავ რას შერები? სახლებს ხომ არ წვავ?

— თავი გაძახებე, — ასე მივუგე. — რაო, ქალბატონმა ბლენდმა რა თქვა?

— ერთი ამბავი დააწია ჯერალდს, სისხლი რომ გადინა. მერე მენ მოგ-
დგება ალბათ, აგრე როგორ აცემინე თავით. ჩხუბის წინააღმდეგე, რე ვაქლეცს,
მაგრამ სისხლის დასახვას ვერ იტანს ეს ქალი. ცოტათი კი დასტანს, მაგრამ
ხია, მის თვალში, რაკი სისხლის შეკავება არ გცოდნია. ახლა როგორა ხარ?

— ეჭვი არაა, — თქვა შრივმა, — ბლენდი თუ არა ხარ, მაშინ ისლა დაგ-
ჩენია — ხათთან იძრუშო, ქალად თუ გაჩენილხარ, არადა — დალიო და
ერხუბო, თუკი ელირსები ამ ბედნიერებას.

— მართალი ხარ, — გახაცხადა სპოუდმა, — მაგრამ კვენტინი თუ ნასვა-
მი იყო, არ ვიცოდი.

— არ იყო ნასვამი, — უთხრა შრივმა, — მაინცდამაინც ნასვამი უნდა
იყო, მუშტი რომ სთხლიშო იმ ძაღლიშვილს?

— კვენტინს რომ ეხედავ ახლა, მაგარი ნასვამი უნდა ვიყო მართლაც,
იმასთან ჩხუბი რომ გაეხედო. კრივი სადღა ისწავლა ნეტავ?

— უოველდღე დადიოდა სავარჯიშოდ ქალაქში, — მივუგე.

— რაო, — თქვა სპოუდმა, — ეგ იცოდი და მაინც გაარტყა?

— არ ვიცოდი, — ასე ვუთხარი, — თუმცა მგონია, კი ვიცოდი.

— ისევ დაასველე, — მითხრა შრივმა, — წყალი გამოვცვალო?

არ ვინდა-ძევაქი. გავწურე ნაწერი და ისევ თვალზე მივიღე. — ეს ეილე-
ტი რით გავწმინდო, აღარ ვიცი. — თვალს არ მაცილებს სპოუდი.

— აბა ერთი ეს მითხარი, — მკითხა მან, — რად გაარტყი? რა თქვა
ასეთი?

— არ ვიცი. არ მახსოვს, რად გაგარტყი.

წამოვარდი უცებ და მიძახე: „შენ დაი თუ გყავდა, თუ გყავდა დაი
როდესმეო?“ და რომ ვითხრა — არაო, სწორედ მაშინ ხეთქე. კი მისჩერებო-
დი, მაგრამ ყურს თუ უვლებდი, არ შეგონა. მერე წამოხტი და ჰკითხე, დაი
თუ გყავდაო.

— ჰო, მიგდ-მოედებოდა მისებურად, — თქვა შრივმა, — ენად გაკრეფი-
ლიყო თავის ქალებზე. ხომ იცი, როგორ უყვარს გოგოების თვალწინ თავის
მოჭობება, ველარც კი ხვდებიან ესენი მის ნათქვამს — ბაქებს გაშლის, გადაკ-
რულ-გადმოკრულებს აღარ გაათავებს, მოპყვება ჩმახვას, ყურებს გამოუჭე-
დავს. ერთი მანდილოსანი ვნახე და პაემანი დაეუნაშნეო ატლანტიკ-სიტში, სა-
ცეკვაო დარბაზთან. შე კი არხეინად წავედიო ჩემი სასტუმროს ოთახში დასა-
ძინებლად. ვწევარ და ვფიქრობ, საწყალი დვას სანაპიროზე და მგლოდება,
რაც უნდა, იმას აღარავინ ძიართმევს-მეთქი. ისიც კი თქვა, კარგი რამაა ხორ-
ციელი სილამაზე, მაგრამ ბოლოს ქალს მაინც უკუღმა დაუტრიალდებაო ბედის
ჩარხი, სულ ძირს გდებალა შერჩებაო ხელში. ლედასებრ ბუჩქებში მიმაღუ-
ლები, ცრემლშეუმშრალნი კვნესა-ვაებათ მიელღიან გედის გამოჩენასო. ძაღ-
ლის გაგდებული ისა. მეც უნდა მეხეთქა ერთი. ოღონდ ცარიელი ხელი კი
არა, ბოთლებით გამოტენილი დედამისის კალათა მეთხლიშა თავში.

— ჰოი, — წარმოთქვა სპოუდმა, — შენზე უნდა ილოცონ ქალებმა. ჩე-
მო ძმაო, არა მართო აღტაცებული ვარ შენით, ძრწოლასაც მგვრი.

შეშომტქერის ცოვად და დაშტინავად. ღმერთო დიდებულო, ასე დასძი-
ნა მერე.

— მე თვითონ მწყინს, რად გავარტყი-მეთქი. — მივუგე, ^{სწორედ} ასე მინდა იმათ ვუთხრა, მაგრამ აგრე ვერ მივალ, არა?

— რაო, ბოდიში გინდა მოუხადო, — მომამახა შრივი ^{მეტი} წასულან. ჩვენ ახლა შინ უნდა დავბრუნდეთ.

— დაბრუნდეს კი არა, აქ უნდა დარჩეს და ხალხს უჩვენოს, რომ ჩხუბიც ჯენტლმენური იცის, — თქვა სპოუდმა, — ესე იგი, ჯენტლმენურად აცემინებს თავს.

— ასე მივიდეს? — ჩაეკითხა შრივი, — სისხლით მოთხვრილი?

— რაცა გნებავთ, ისე პქენით, — უპასუხა სპოუდმა.

— ქვედა საცვლის ამარა ხომ ვერ ივლის, — თქვა შრივი, — უფროს-კურსელებში ვერ არ სწერია. აბა წამოდი, წავიდეთ ქალაქში.

— ქალაქში რა გინდა, — მივუგე მე, — ბიკნიკზე გელოდებიან.

— ჯახდაბაშიაც წასულან, — მითხრა შრივი, — წამოდი-მეთქი.

— იმათ რაღა მოვახსენო? — იკითხა სპოუდმა, — კვენტინს შრივიც უჩხუბა-მეთქი?

— ნურადერს მოახსენებ, — მიუგო ამან, — ანდა უთხარი იმ ქალბატონს, რომ მზის ჩასვლისთანავე თქვენი დრო ამოიწურა-თქო. წამოდი, კვენტინ. ახლავე ეიკითხავ, სადაა გაჩერება...

— არა, — ასე ვუპასუხე, — მე ქალაქში არ დავბრუნდები.

შრივი გაჩერდა, შემომხედა. პაწაწუნა მთვარეებად დააკვესა სათვალის შუშები.

— აბა სად უნდა წახვიდე?

— მე ქალაქში არ დავბრუნდები, შენ კი ბიკნიკზე გელოდებიან. ტანსაცმელი დაეთხვარა და ვერ წამოვიდა-თქო, ასე უთხარი.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

— არაფერი. რა უნდა მომსვლოდა. შენ და სპოუდი დაბრუნდით, ხვალ გნახავთ. — ეზო გავიარე, გზა იქით არის.

— გაჩერება სად არის, თუ იცი? — მომამახა შრივი.

— ვიპოვებ. ხვალ გნახავთ. ქალბატონ ბლენდს უთხარით, ეს სადამო რომ წავაშწარათ, ძალიან სწყუხს-თქო. — დგანან და შემომცქერიან. სახლს შეძოვუარე. ქვემოთ გავყევი ქვით მოკირწყლულ ბილიკს. მთლად ვარდებშია ჩაფლული ეს სავალი. ჭიშკარი გავაღე და გზაზე გავედი. თავდაღმართი ტყისკენ ეშვება და იქვე, გზასთან იმათი მანქანა დავინახე. ზემოთ ავუხვიე, ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მატულობს ნათელი და სანამ ამ აღმართს ავივლიდი, შორს ბინდში ტრამვაის ხრიგინი გაისმა. შეეზერდი და ყური მივუგდე. ის ძახქახა უკვე თვალს მიეფარა, შრივი კი მოჩანს, დამდგარა სახლის წინ და იყურება აქეთ. იმის უკან სახლის სახურავს ოქროსფერი შუქი დაფრქვევია. ხელით სალამი გავუგზავნე და გზა განვაგრძე. ტრამვაის ხმაური ისევ მომეახლა. შერე სახლიც მოეფარა თვალს და მწვანე-ოქროსფერ შუქს მივატანე, შეეზერდი. ტრამვაის ხრიგინი უფრო და უფრო ნათლად მესმის, და უცებ მინელდა, მიწყდა კიდევაც. შერე ისევ მოაღწია ჩემამდე და მაშინდა გავუდექი გზას.

თავდაღმართზე დავეშვი და ნელა დაინთქა ნათელი, მიილია ხარისხის დაუყარგავად, თითქოს ნათელი კი არა, თავად მე ვიცვლებოდი და ვილეოდი. და მაინც, ხეებს რომ მიადწია გზამ, გაზეთის წაკითხვა შეიძლებოდა. სულ მა-

ლე გადასახვევი გამოჩნდა ერთი და იმას გავყევი. ტოტებს ჩამოებურათ აქა-
 ურობა და უფრო ბნელოდა. ოღონდ გაჩერებასთან გამოსულს — აქაც ფიც-
 რით გადახურული საყუდარი იდგა — ისევ ისეთი ნათელი დამხვდა, თითქოს
 ღამე გამოვიარე და დილა ვიხილე კვლავ. სულ მალე ტრამვაი შემჩნდა, მყე-
 დი თუ არა, იმ წუთას დალილავებულ თვალზე შემომხედეს. იქვე დავჯექი,
 ხელმარცხნივ.

სახათლე უკვე ენთო ტრამვაიში და სანამ ხეივანს ნოჰყვებოდა იგი, ვე-
 ლარაფერს ვხედავდი, ჩემი სახელა მოჩანდა შინაში და ერთი ქალიც, რომელ-
 საც თავზე ფრთაწატეხილი ქუდი დაეკოსებინა. მაგრამ ხეივანს რომ გამოს-
 ცდა ტრამვაი, ისევ ის ბინდბუნდი — რაღაც უცვალელებელი მრქალი ნათელი
 დავინახე, თითქოს თავად დროება გაირინდაო, მცირეოდნავ გადაქანებულიყო
 მზე ჰორიზონტიდან. მერე კი გამოჩნდა ის საყუდარი, სადაც ერთი მოხუცი
 პარკიდან რაღაცას ჭამდა ამ დილით. გზა დანთქმულიყო მწუხრში, იქით კი
 წყალი შეიგრძნობა უშფოთვარე და მყუდრო. მერე დაიპრა ტრამვაი და ღია
 კარებში ქარი შემოიჭრა, შემოაფრქვია ზაფხული და სიბნელის სურნელება,
 ცხრატყავას სუნი კი არ მიგრძენია. ცხრატყავას სურნელი ყველაზე უფრო
 თუხდაც გლიციხიისა. წვიმიან დღეებში, როცა დედა ცოტათი მოიკეთებდა
 და სარკმელთან მოსვლას შეძლებდა, ჩვენ გლიციხეებში ეთამაშობდით. თუ
 იწვა და წამოდვონის თავი არ ჰქონდა, დიღზი ძველძანებს ჩაგვაცმევდა და
 იქით, უზონი ვაგვიშვებდა, ბავშვებს არ აწყენსო წვინა. მაგრამ თუკი დედა
 კარგად იყო და ევრანდაზე ერთ ამბავს აეტეხდით, მომშორდით, გლიციხეებ-
 თან ჩადით და იქ ეთამაშეთო, დაგვიძახებდა.

ახლა იმ ადგილს მივატანე, სადაც მდინარე დავინახე ამ დილას. წყლის
 სურხელება შერთვია ბინდს. გაზაფხულობით იცის ასე, როცა ცხრატყავა
 ჰყვავის. მხოლოდ გაწვიმებისას შეიგრძნობოდა მისი სურნელი. სხვა დროს
 არ იცის ასე, წვიმაღა შემოიტანდა მას შებინდებისას თუ წვიმაზე მეტად ამ
 სურნელს ბინდი შემოაწვიმებდა, ანდა სულაც მწუხრის უღონო ნათელს შე-
 ეძლო გამრავლება ამ სურნელისა. ერთი კი იყო ცხადი, ბინდში ისე მოიკავ-
 და იგი ყველაფერს, რომ ხანდახან წევხარ და ფიქრობ, როდის, როდისღა გა-
 ილევო. ტრამვაის ღია კარებში ისევ შემოიფრქვა სიგრილე წყლისა. რო-
 დისღა... იმეორებ და იმეორებ ასე დაძინებანდე და მერე მოატანს და გამს-
 ჭვალავს ყოველივეს ცხრატყავას სუნი და ჩაიწმასნება შფოთსა და ღამეში.
 ძილღვიბილში მყოფი ხედავ გრძელ-გრძელ, მიმქრქალელებული ნათლით შეფე-
 რილ ტალანს, სადაც გველაფერი რაღაც უფერული ჩრდილიღა გამხდარა,
 ყოველივე ის, რაც განმიცდია, ასეთსავე უფერულ ჩრდილად ქცეულა. ყოვე-
 ლივე ჩემი ხატანჯი სასაცილო და სამასხარაო რაღაც ზმანებაღა ყოფიღა
 თურმე და არცაა იმედი, რომ თავისი ნანდვილი სახე და მნიშვნელობა მიიღოს
 როდისმე, ხოდა, წევხარ და ამბობ გულში — ვიყავი მე, არ ვიყავი, ვინ ვიყა-
 ვი, ვინ არ ვიყავი.

ბინდი მოსძალეზია არეძიღამოს და მდინარის განტოტებათა სიგრილეს
 ვგრძნობ. ბოლო წანები დღისა ჩამსხვრეულ სარკისნაირად ელავს გუბტრებ-
 ში და ამ ნათლის მიღმა, შორს, გამჭვირვალე ჰაერს პაწაწინა სინათლეები
 წარმოუჩენია ძორიღლე პებლების მსგავსად. შეილო, ბენჯამინ... როგორ იჭდა
 ხოლმე ამ სარკის წინ. მყუდრო თავშესაფარი იყო აქ და ყოველივე საჩხუბარ-

სადღეიდარაბო გაღეულა, ჩაწყნარებულა. ბენჯამინ, შვილო ჩემი სიბერისა, ეგვიპტეს მძევლად წყოფო. ჰოი, ბენჯამინ. დიღხიმ თქვა, სიამაყემ ველარ აატახიხა, მისი შვილობა რცხვენიათ დედას. სწორედ ამ მართალი სიტყვების მოულოდნელი, მწველი ხაკადი შავად გასერავს თეთრ ცხოვრებას. ვინაა მისი მიკროსკოპში, და იმ წუთას თეთრ ამბებს შეუვალ ჭეშმარიტებას. ჩვენს, ხანდახანაა ასე, საერთოდ კი, ჩვენი ფიქრით, ისინი მაშინ იცინიან, როცა არაფერი აქვთ სასაცილო და მაშინ ტირიან, როცა არაფერი აქვთ სატირალი. ასევე ვინმეს დაკრძალვა იმათთვის მხოლოდ საბაბია ნაძლევის დასადგობად — ლუწი თუ კენტი რაოდენობა ხალხისა აცილებსო მიცვალებულს. ერთხელ ნემფასის მთელი საროსკაბო ტიტლიკანა გამოეფინა გარეთ, რელიგიური ექსტაზი ვერ დაეოკებინათ თურმე და თვითთულს სამი პოლიციელი დასჭირდა. ჰოი, იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო მწყალობელო. კაცო კაცურო.

ტრამპაი გახერდა. გამოვედი და ყველამ თვალზე შემომხედა. მერე ქალაქის ტრამპაი მოვიდა ხალხით სავსე. უკანა ბაქანზე ავედი.

— წინ წამობრძანდით, — მითხრა კონდუქტორმა. მოგათვალე რე აქაურობა. ხელმარცხნივ ვერც ერთი დასაჯდომი ვერ დავინახე.

— მალე უნდა ჩავიდე, — ასე მივუგე, — აქ ვიდგები.

მდინარეს მივუახლოვდით. ჩვენ წინ ხიდი გადაიჭიმა. მალლა, სიერცენი ში წელიხელს მიეფინება მისი თაღები, გარშემო კი მყუდროება, მდუმარებაა და მხოლოდ სინათლეები მოჩანს — ყვითელი, წითელი და მწვანე, გამჭვირვალე პაერში ციბციმი გააქვს, ერთიმეორეში გადადის ეს ფერები.

— წინ გამოდით და დაბრძანდით, — დამიძახა კონდუქტორმა.

— მალე უნდა ჩავიდე, — გავუძეორე, — ორი გახერებალა დამჩა.

ფოსტასთან არ ვიყავით მისული, რომ ჩავედი, თუმცა ისინი ახლა სადღაც საღაობოდ იქნებიან წასულები. და უცებ კვლავ ჩამესმა ჩემი საათის წიკწიკი და ყური მივუგდე, ქალაქის საათი ხომ არ დაჰკრავს-მეთქი. შრივი-სადმი მიწერილი ბარათი მოვსინჯე ჯიბეში. ჩამომფენია ხელზე თელის ფოთლების პატარა ჩრდილები. გადავუხვიე და იმ წუთას ქალაქის საათმა მეოთხედი დაჰკრა. წყალში წრეები რომ გაიშლება, ისე გაიშალა და გამისწრო ამ ხმამ. ნეოთხედიო? აგრე იყოს. რომელიმე მეოთხედი იქნება.

ხაბხელებულია ჩვენი ფანჯრები. სადარბაზოშიაც ვერავინ დავინახე, ხელმარცხნივ გამოვყევი კედელს, შევედი, აქაც არავინაა. კიბელა უერთდება მალლა ჩრდილებს და ისე შერთვია საფეხურებს ნახმევი მწუხარე თაობათა ნაბიჯებისა, როგორც მტვერი ამ ჩრდილებს. შეაღვიძეს ისინი ჩემმა ნაბიჯებმა, მტვერისხაირადვე წამოშალეს და იმავე წამს დაუშვეს ისევ მსუბუქად.

ჯერ კიდევ ბნელში დავლანდე მაგიდა, წერილი წიგნის ყუაზე ისე მიედოთ, რომ აღვილად შემეძახნია. სინათლე ავანთე. ქმარი არისო შენი შრივი, სპოუდმა ხომ თქვა, კიდევ სადღაც უნდა შევიართოთ და გვიან დავბრუნდებით. ქალბატონ ბლენდს შრივი უნდაო კავალრად. მაგრამ მე მაინც დავინახავდი, რაკი ექვს საათზე მეტი იქნებოდა და მომდევნო ტრამპაისთვის ერთი საათი მოუხდებოდა ლოდინი. საათი ამოვიღე და მის წიკწიკს ყური მივუგდე, ისიც კი არ იცის, რომ ახლა ტყუილსაც ველარ გვამცნობს. მაგიდაზე პირქვე დავდე და ქალბატონ ბლენდის წერილი დავხიე, ნაგლეჯები კალათში ჩავყარე, პიჯაკი, ყილეტი და პერანგი გავიხადე და საყულოც მოვიძრე. ჰალსტუხი-

ცაა დასერილი, მაგრამ ზანგს კი გამოადგება — ასე განაცხადებს, ქრისტეს ნაქონია და იმისიან ვს სისხლის ლაქები. ბენზინი ვიბოვე შრივის ოთახში, პრაიალა მაგიდაზე გავშალე ქილეტი და ვავხსენი ბენზინიანი ბოთლი.

პირველ მანქანას ქალაქში გოგო დაატარებს გოგო აი რა ხეობაზე... სონს ვულზე ბენზინის სუნი ცუდად ხდის და მაშინ ხომ სულ... და დაი არა ჰყავს მას ბენჯამინი კი ბენჯამინი შვილია ჩემი გამწარებული დედა რომ მყავდეს ახლა რაღა უნდა მეთქვა მისთვის დედა დედა ბოთლში წვეთი ბენზინიც აღარ დამიტოვებია და არ ვიცი, სისხლის ლაქაა თუ მხოლოდ ბენზინისა. ბენზინმა კი კრილობა ამიწვა და ხელის დასაბანად სააბაზანოში გავედი, ოღონდ ჯერ ქილეტი სავარძელზე გადავადე და ელნათურა მივუჩოჩე, ლაქა უფრო შალე გამოშრება-მეთქი. ხელ-პირი დავიბანე, მაგრამ საპნის ქაფში მაინც გამოატანა ბენზინის სუნმა, სუნთქვა შემიკრა მცირეოდნავ. ჩემოდანი გავხსენი და ახალი ჩასაცმელი ამოვიღე, სისხლით მოთხვრილი კი იმის ადგილას ჩავდე და დავკეტი. ჩავიცვი, თმას რომ ვივარცხნიდი, ნახევარი დაპკრა საათმა. მაგრამ თხუთმეტი წუთი დრო მაინც დამრჩება, თუკი საკუთარ სახეს-და ხედავს მომჭრილავ ბნელში მისი ქუდის წატეხილ ფრთას კი ვერა იქნებ ერთი კი არა ორიც იყოს ზედ ოღონდ არა მგონია ორი ასეთი ქუდიანი მიდიოდეს ერთსა და იმავე საღამოს ბოსტონს ერთდროულად გაიეღვეს იმისმა და ჩემმა სახემ გრუხუნნი გააქვს სიბნელეს მოეღვარე სარკმლებში დაბოლოს ამ გრუხუნში დაინთქა ის სახე და ჩემიღა დავინახე თუ არ დავინახე დაუმშვიდობებლად მთლად გამოცარიელებულა ის საყუდარი ქალაქის პარკიდან მჭამელიც აღარავინაა იქ მხოლოდ სიბნელეს მოუცავს სიჩუმე და ამ ბნელ სიჩუმეში ხიდის თადები ნელინელ მიიფინება ზეცაზე წყალი აქ მუუდრო და წეუშფოთველია დაუმშვიდობებლად

სინათლე ჩავაქრე, ჩემს საძინებელ ოთახში გავედი, მაგრამ ბენზინის სუნს მაინც ვერ გამოვექეცი. სარკმელთან მდგომს სახეზე წყვედიადს შერთული ღარდა მელამუნება, თითქოს ვიღაც მძინარე სუნთქავსო, ამოსუნთქვისას კი ისევ ძილტვის ღამეში და მიტოვებს შეხების განცდას. კიბეს რომ მალლა აუყვნენ, დედა სავარძელზე გადაესვენა, პირზე მიიღო ქაფურნასხურები ცხვირსახოცი. ხელი ხელზე წაუვლია მისთვის იქვზ გაუნძრევლად მჯდომ მამას, თითქოს ველარ დაიტიაო სიჩუმემ, ისე გაისმის ხაფი ღრიალი პატარაობაში ნახატებიანი წიგნი გვექონდა. კარგად მახსოვს ერთი სურათი: მცირეოდნავ განათებულ დილეგში სუსტი შუქი ჩამოფენოდა ბნელიდან გამომშვირალ ორ სახეს. მეფე რომ ვყოფილიყავი, იცი, რას ვიზამდიო? დედოფლობა, ფერიობა კი არ უნდოდა იმ გოგოს, სურდა მეფე ან გოლიათი, ან გენერალი ყოფილიყო რასა და ციხეს გავტებდიო, იმათ გარეთ გამოვართრევი და ერთი მაგრად გავწკებლავდიო ის სურათი მერე ვიღაცამ ამოხია და მე გამიბარდა. თორემ თვალს არ მოვაცილებდი ამ სურათს, სანამ თავად დედა არ გახლებოდა ის დილეგი. და აი, ხელიხელგაყრილი დედ-მამა მიელტვის იმ უღონო შუქს, ჩვენ კი სულ უსინათლოდ ვართ სადღაც ქვემოთ ზაქარგულები. მერე ცხრატყავას სუნი მოიცავდა ყოველივეს. ჩავაქრობდი თუ არა სინათლეს და დაძინებას დავაპირებდი, იმ წუთას ტალღებად წვნიოგრაგნებოდა ოთახში და სულ უფრო და უფრო შემახუთავდა სულს, ვინემ არ წანთვდგებოდი და ბალდივით ხელია ცეცებით კარს არ მივაშურებდი. ხელებს შეუძლია გონებაში უჩინარი კარის შეგრძნება და მისი წარმოსახვა კიდევ. ახლა კი აღარაფერი ძალუძთ ხელებს

ჩემი ცხვირი გრძნობს ბენზინის სუნს, მაგიდაზე დაგდებულ ქილეტსა და კარს. წყლის ძაძიებელთა ძწუხარე თაობების ფეხის ხმა აღარ ისრის, ისევ განოცარებულა დერეფანი. კრიკაშეკრულივით შეწებებულა ქუთუთოები სტერა კი არა ეჭვიც არ ეპარება ტკივილი რომ არაა მუხლი მერე წვივი კოჭი ჩაგრძელებულა უჩინარი საფეხურები სადაც ფეხს წაიკრავ ძილნასვამ სიბნელეში დედა მამა კედი ჭეისონი მორი კარი შიში აღარაფრისა მაქვს რაკადა დედა მამა კედი ჭეისონი მორი ჩემ შემდგომ დაიძინებენ ძალზე დიდი ხნის მერე მე კი სულ მალე დავიძინებ როდესაც კარი კარი კარი იქაც არავინაა, მიღები, ქაშახური, გათითხნილი ჩემი კედლები და ტახტა ფიქრისა. ჭიქა დამაფიწყდა, მაგრამ ხელმა იგრძნო მისი ცივი უჩინარი გედისნაირი ყელი მოხეს კვერთხს რას ვაქნევთ იოლად გავალთ უიმისოდაც აგერ ჭიქაც ხელს ფრთხილად ვავლებ ჩუხჩუხით ჩადის მალაღ ცივ ყელში ლითონი ცივდება პირთამდე ივსება ჭიქა თითებს აცივებს ძილი ჩაწმენდს და ხანგრძლივად დადუმებულ ყელში დამიტოვებს გემოს წყალნაპკურებ ძილისას დერეფანში გავბრუნდი, გავაღვიძე იგი და ამ მღუმარებაში შარიშური გაიღო მიწად ქცეული ასეულის ნაბიჯებმა, იქიდან კი ბენზინის სუნსა და საათს მივატანე, ბნელ მაგიდაზე აგრე მრისხანედ რომ სტყუის, ფარდასაც მივეახლე, ფშვინვასავით რომ ძელამუნება სიბნელიდან სახეზე და ლაციცის შეგრძნებას მიტოვებს. თხუთმეტი წუთილა კიდევ. მერე მე აღარ ვიქნები. დიდი სიმშვიდის მომგვრელია ეს სიტყვები. დიდი სიმშვიდისა. Non fui. Sum. Fui. Non Sum *. სადღაც გამიგონია ზარების ასეთი რეკვა. მისისიპსა თუ მასაჩუსეტში. შრივს ჩემოდანში ბოთლი აქვს. შენ არც კი მოხვალ და არც კი გახსნი ბ-ნი და ქალბ-ნი ჭეისონ რიჩმონდ კომპსონები გთხოვთ, რომ სამკერ. ამ დღეებში. შენ არც კი მოხვალ და არც კი გახსნი გვეწვიოთ ჩვენი ასულის კენდეისის ქორწილში მიზანი და შედეგი ერთი დომხალია ორივე, აი ამას გვასწავლის ეს სასმელი. მე ვარ. ხოდა, დალიე. აღარ ვარ. მოდიო, ბენჯის მიწა გავციდოთ და სასწავლებლად გავაგზავნოთ კვენტინი პარვარდს. რათა ერთმანეთში ტაკატუკი დაიწყონ ჩემმა ძელებმა. მე იქ მოგვედები. თუნდაც ერთი წელით, მითხრა კედიმ. შრივს ბოთლი აქვს ჩემოდანში. შრივს რამე მე რად მინდა, ნამავ ბატონო. მე ბენჯის მიწა გავციდე და აღვესრულები პარვარდს კედიმ თქვა სიმყუდროვეა მღვიძვებსა და ქვაბოვანებში სადაც წყნარი ჩქაფუნი გააქვს ზღვის დინებასო მართლაცდა რა საამურად ეღერს — პარვარდი ძვირი არ უნდა იყოს ორმოცი აკრი მიწა ამ ლამაზად მელერი სიტყვის სასმენად. ლამაზად მელერი მკვდარი სიტყვა ბენჯის მიწა გავცვალოთ ამ ლამაზად მელერ სიტყვაში. დიდხანს ექნება ამ სიტყვის ეღერა-ნმაური ყურში — იგი ხომ ყრუა და გუმანით თუ იგრძნობს ზღურბლზე შემოდგა თუ არა ფეხს ატირდა იმ წუთას სულ ასე ვფიქრობდი ვიღაც ქალაქელი ვიგინდარაა-მეთქი ეს უმაწვილი და მამას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ხოლმე ეს ამბები ვინემ. პირველ ხანებში არც კი ვამჩნევდი, ერთი კომპიოთავერი იქნება სამხედრო პერანგების გასაყიდად ჩამოსული-მეთქი, მაგრამ მერე უცებ მივხვდი, იმ ბიჭს ჩემი შიში კი არ ჰქონდა, კედი აგონებოდა ჩემს დანახვაზე და თურმე ამიტომ მაკვირდებოდა. თითქოსდა ეღერად მინაშით. მე მიყურებდა და იმას კი ხედავდა შენ ჩემს ამბავში ნუ ერევიო შენ ვერაფერს გახლები და დედასა და ჭეისონს მიანდგო ეს საქმე

* მე არ ვიყავი ვარ. ვიყავი. აღარ ვარ (ლათ.).

ნუთუ დედამ გამოაგზავნა-მეთქი ჭეისონი შენს სათვალთვალოდ მე არას-
დროს

პატიოსნებას სხვისი თვალთა და ყურით უფრო სჯიან ქალები ეუფლის
სიყვარულით მოიქცაო დედა ასე ავად რომ იყო მაშინაც არ აღიოცა თავის
ოთახში ვაითუ ჭეისონთან მამამ რამე თქვას მორი ბიძიაზეო მაშინ განაგებდა
მორი ბიძია კარგად არ იცნობს ანტიკურ ლიტერატურას და ამიტომ ვერ ბე-
დავს უშუალოდ მოიშველიოსო უკვდავი ბრმა ჭაბუკი ჭეისონისთვის უნდა გა-
ეტანებინათო ბარათი მორი ბიძიასავით ესეც თუ შეცდებოდაო ამას
თვალის დალილავება არ მოპყვებოდაო ჭეისონზე უფრო პატარა იყო პე-
ტერსონის ბიჭი ქალაქის ფრანგებს რომ აკეთებდნენ და ყიდდნენ ხუთ ცენ-
ტად შერე შახაგარი ველარ გაიყვეს და ჭეისონმაც სხვა ამხანაგი გამოძებნა
იმანვე კიდევ უფრო ჯაბანი რათა ისევ ჭეისონი ყოფილიყო ხაზინადარად —
ასე აგვიხსნა ტ. პ.—იმ მაგრამ ნამან თქვა მორი ბიძიას მიუშაობა რად უნდა თუ-
კი ხუთი თუ ექვსი ბუზიყლაბია ზანგის შენახვა შემოდლია რალა თქმა უნდა
ხანდახან არც მორი ბიძიას გამასპინძლება და ღამის გათეინება გამიჭირდება
ცოტა ფულითაც ზღუს გავუშართავო რამეთუ რწმენას მიძტკიცებს ჩვენი გვა-
რის ზეციური წარმოშობის შესახებ და მაშინ ცრემლები წასკდებოდა დედა-
ჩემს ვიციო მე მამას თავისი გვარი ჩვენზე უკეთესი პგონიოო საცინოდ აუგ-
დია მორი ბიძია და ბავშვებსაც ამას ასწავლისო ის კი არ ესმოდა დედას რომ
მამა ჩვენ ამასლა ზაგვაგონებდა ყოველი კაცი ტიკინა არისო სანაგვედან მოხ-
ვეტილი ხახერხით დატენილიო ხოლო ეს ხახერხი ამ სანაგვეში წინარე მოხ-
ვედრილ სხვა ტიკინებს გამოსცვენიათო ვის ჭრილობიდან ვის ფერდიდანო
ოლონდ ჩემი ცოდვებისთვის არც ერთი უწამებიათო. ბავშვობაში სიკვდილი
ბაბუაჩემის მსგავს მოხუცად მყავდა წარმოდგენილი მისი მეგობარი ან ძა-
ლიან ახლობელი და გამორჩეული ვინმე მეგობა სწორედ ამგვარი გრძნობით
შევყურებდით მის მაგიდას თითოც ვერ დაგვეკარებინა და არც ხმამაღლი და-
გვილაპარაკებია იმ ოთახში მარადღე ასე ეფიქრობდი დღენიადაც სხედან ისა
და ბაბუაჩემი სადღაც მოაზე და ბებერ პოლკოვნიკ სარტორიას ელოდებიან-
მეთქი ბებერი სარტორისი კი ნაძვებს იქით შეორე უფრო მაღალ მთაზე დვას
და რაღაცას უთვალთვალებს შორეთში ესენი კი მაინც უცდიან აი მოჩრება
თავის საწმეს ზამოვა შალე და მზარს დაგვიმშვენებსო ბაბუას თავისი გენერ-
ლის საძოისი აცვია და ნაძვებიდან მათი ჩურჩული გვესმის გაუთავებლად სულ
ბაასობენ რაღაცაზე და ყველაფერში ბაბუაა მართალი.

მეოთხედი დაჰკრა საათმა, გამოზომილი, შეუშფოთველი და უდრტვინველი
მბრძანებლური ბგერა გაისმა პირველად — შენდგეი ბგერისთვის გამოაცარი-
ელა წელი სიჩუმე. რა იქნებოდა სულმუდამ ასე შენაცვლებოდნენ ერთმა-
ნეთს აღამიანები, ცად ავარდნილი წამიერა ცეცხლისამებრ მიქცეულიყვნენ
სპეტაკ ნათელად და შერთვოდნენ ბნელით მოცულ ცივ მარადისობას, ნაცვ-
ლად იმისა, რომ შინ მწოლარეთ პამაკზე ეფიქრათ, ვიდრე იმ ნაძვებს მთლი-
ანად არ მოიცავდა მძაფრი და მკვდარი სუნამოს სუნი, ბენჯის აგრე რომ
ეზიზღებოდა. იმ ნაძვნარს წარმოვიდგენ და მეჩვენება მაშინვე — იღუმალი
ჩურჩული და ხენეშა, განძარცვულ სხეულში მზურვალე სისხლის შხუილი,
წამოწითლებულ ქუთუთოებზე აისახვის ზღვისკენ გაჭრილი გზადაგზა შეწყვი-
ლებული ღორების კოლტი. მამამ — ამდენი ბოროტების შემხედვარენი ჩვენ
სულ ცოტა ხნითღა უნდა ვიყოთ ფხიზლად წუთისოფლის შვილები ვართო

მე — ვაუკაცს აღარც ეს ცოტა ხანი სჭირდება-მეთქი იმან — განა ეს ვაუკაცობააო მე — მამაც ბატონო მე ასე მგონია და თქვენი არ ვიცი-მეთქი მან — ყოველი თავადაა თავისი ღირსების შემფასებელი და თუ ეს ამბავი ვაუკაცობა გგონია უფრო მნიშვნელოვანი სწორედ ესაა სხვანაირად არ გქვიათ-გულწრფელი მე — თქვენ ჩუნი არ გჯერათ გულით გეუბნები-მეთქი — ახაც ძვერა გულისგარეთ არაფერს იტყვი და ამიტომ ვერც ვხედავ რამე საგანგაშოს სხვაგვარად რომ იყოს მაშინ სისხლის აღრევის ამბავი არც კი მოგაფიქრდებაო მე — ტყუილი არ მითქვამს ტყუილი არა-მეთქი მან — ჩვეულებრივი ადამიანური სასულელე აღამილლე შემხარავად მიიჩნიე და მერე მისი განწმენდა მოინდომე სანართლითო მე — კედის განრიდება მიწოდდა ამ ძყვირალა სამყაროდან მაშინ ჩვენ ვეღარ მოგვწვდებოდა ბედისწერა და თითქოს არც ვყოფილვართ ამ ქვეყანაზე ვეღარაფერს დაგვაკლებდა-მეთქი მისი ხმაური იმან — კედის დაყოლიებას თუ ცდილობდიო მე — მეშინოდა მეშინოდა ვაითუ დამყვეს მაშინ არც ეს იქნებოდა ხსნა მაგრამ თუ გეტყვით ამას კი ვინამთ-მეთქი მაშინ აღარც ის სხვები ვაახსენდება და სამყარო გრგვინვაგრილით გვერდით ჩაგვივლის-მეთქი მამამ — აბა შენა სხვა ზრახვას შეგახსენებ ახლა ტყუილს არ იტყობი ვიცი მაგრამ ჯერ კიდევ ბეცი ხარ რაკი საყოველთაო კანონის ის ნაწილი არ გესმის ჩვეულებრივ შემთხვევასა და მის გამოძწევე მძებს რომ გვიხსნის და რომლის ჩრდილი დაჰფენია ყველას თვით ბენჯისაც კი და არ გიფიქრია რომ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული რაღაც აბოთუოხში გადაგიყვანია შენი წარმავალი სულიერი განწყობილება და გგონია შენი ასეთი ყოფა სულ-გულში ჩაგეწმასნება და სულმუდამ გექნება ასე ჩაწმასნილი სამარეშიაც კი ვერ მოიცილებ გგონიაო მე — მაშ წარმავალი-მეთქი იმან — გულში გავლებაც კი გიმძიმს რომ დადგება დღე და შენი ასეთი განწყობილება აგრე აღარ გაგტანჯავს მაგრამ მთავარი ისაა რომ სიკვდილი შენ რაღაც უბრალო განსაცდელი გგონია იმის მაგვარი კაცი ერთ ღამეში რომ გაქალარავდება სახის შეუცვლელად სასოწარკვეთილებას მისცემიხარ და ეგ გათამაშებს თავის ნებაზე მაგრამ ყველა თამაშს თავისი წესები აქვს იცოდე გასაოცარი ის არის — ხომ შემთხვევათა ჯამია ადამიანი ხომ ხაყალბევი კამათლების გაგორებაა მისი ყოველი ამოსუნთქვა ხომ მთელი სიცოცხლე ვერ ჩამხვდარა და შერიგებია ბოლო ხელის გარდუვალობას და რას არ მიმართავს ბავშვიც რომ მიუხვდება ისეთ წვრილმან თაღლითობასაც არ თაკილობს ვინემ უდიდესი ზიზლით მოცული სასწორზე არ შეაგდებს თავს გახრისხებული სინდისის ქენჯნით ატანილი და სასოებაშიხდილი პირველადვე კი არ დაყრის თარ-ხნალს არამედ მაშინ წახდება როცა მიხვდება მრისხანება სინდისის ქენჯნა სასოწარკვეთილება არც ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი ყოფილა იმ კამათლებმომარჯვებული შავბნელი მოთამაშისთვისო მე — მაშ წარმავალი-მეთქი იმან — მართლაც აუტანელია ის აზრი რომ სიყვარული ან მწუხარება ალაღბედზე შეტენილი ბონებია რომელსაც თავის დროზე ყავლი გაუვა და შენდა დაუკითხავად გააუქმებენ ან ღვთაებრივი სესხის სხვა რამე ახალი ქალადლით შეგიცვლიან შენ არ იქმ ამას რაკი მანამდე მიხვდები რომ იმ გოგოსაც კი შენი სასოწარკვეთილება სულაც არ დაუმსახურებიაო მე — ეგ არასოდეს მოხდება და რაც მე ვიცი ის არავინ იცის-მეთქი მამამ — მგონია რომ სჯობს კემბრიჯს დაბრუნდე ანდა მეინს ეწვიო ერთი თვით მაინცდამაინც ზელგაშლილი ნუ იქნები და შეიძლება იაფმა დროსტარებამ იესუ ქრისტეზე

უფრო გიშველოსო მე — ვთქვით და ყურად ვიღო თქვენი რჩევა და კვირა ან
 ოვე იქ დავრჩე-მეთქი მან — ხოდა მაშინ გაგახსენდება პარვარდში სასწავ-
 ლებლად შენი გაგზავნა რომ დედაშენის ოცნება იყო მას შემდეგ რაც გაჩნ-
 დი და კომპსონი არ იქნები თუ ქალს იმედს გაუცრუებო მე — რაკილა წარ-
 მავალი ყოფილა ყველასთვის, ჩემთვისაც ასე აჯობებს-მეთქი მამს მსუბუქი
 აღაძრიახი თავადაა თავისი ღირსების შემფასებელი მაგრამ სხვებს უნდა სწავ-
 სენბს თუ რა სჯობია მისთვისო მე — მამ წარმავალი-მეთქი მამამ — მაგაზე
 უფრო სამწუხარო სიტყვა არ არის ყოველივე წარმავალია ამქვეყნად სა-
 სოწარკვეთილებაც წარმავალია და დროებითი თავად დროც მხოლოდ ნამ-
 ყოშიაო

უკახასკხელმა საათმა დაჰკრა. ზრიალი გაიღო მისმა ექომ და კვლავ მი-
 ჩუძდა სიბხელე. ჩვენს საერთო ოთახში შევედი და სინათლე ავანთე, ეილე-
 ტი გადავიცვი. ბენზინის სუსტი სუნილა ადრის და ძლივსლა ვგრძნობ, სარ-
 კეში აღარც ის ლაქა ჩანს, ასეა თუ ისე, ჩემი თვალი უფროა მუსანჩნევი. პი-
 ჯაკაც ჩავიცვი, შრივის წერილმა გამიტკაცუნა ჯიბეში, ამოვიღე, მისამართს
 დავხედე და გვერდის ჯიბეში ჩავიღე. მერე საათი გავიტანე იმის ოთახში და
 მისსავე უჯრაში შევიხაზე. ჩემს ოთახში გამოსულმა სუფთა ცხვირსახოცი ავი-
 ლე, კართან მივედი, სინათლე უნდა ჩამეჭრო და უცებ გამახსენდა, კბილები
 არ გამომიწმენდია-მეთქი. ისევ გავხსენი ჩანთა. კბილის ჯაგრისს პასტა წაფ-
 ცხე და კბილების გამოსაწმენდად სააბაზანოში გავედი. ჯაგრისი გამოვწურე,
 რაც კი შეიძლებოდა, და ისევ ჩანთაში ჩავდე, დავხურე და კართან გავედი.
 სახამ სიხათლეს ჩავაქრობდი, მიმოვიხედე, კიდევ რამე ხომ არ დამრჩა-მეთქი.
 ქუდი დამრჩენოდა თურმე. ფოსტასთან უნდა ჩამეველო, ნამდვილად შევხვედ-
 ბოდი ჩვენებიდან ვინმეს და ისე იფიქრებდა, მართლმორწმუნე პარვარდელთ-
 ბაზე თავს სდებსო ეს ბიჭი. ქუდის გაწმენდაც დამვიწყებოდა, მაგრამ იქვე
 იღო შრივის ჯაგრისი და ჩანთა ხელმეორედ აღარ გამიხსნია.

1928 წლის 6 აპრილი

კახპა მუდამ კახპაა. მისი ვაკვეთილების გაცდენის მეტი თუ არაფერი
 იცით და ამის მეტი თუ არაფერი გაწუხებთ, ბედნიერი ქალი ყოფილხართ-
 მეთქი. საძნარეულოში უნდა ტრიალებდეს ახლა და არა მაღლა, თავის ოთახ-
 ში იჭდეს და ითხუპნებოდეს. ექვსი ზანგი თუ არ მოეშასახურა, ისე არ იქნე-
 ბა, ეს თხრები კი, განა არ ვიცი, ვიდრე მუცელს პურითა და ხორციით არ
 ამოიყორავენ, თითსაც არ გაანძრევენ-მეთქი. დედამ თქვა:

— მაგრამ სკოლაში რომ არ იფიქრონ, ბავშვს ველარ იპორჩილებსო, მე
 უნდა...

— კარგით ერთი, — ასე მივუგე, — ანა რა შეგიძლიათ? არც არასდროს
 ვიციდით მაგ გოგოს ნოთოკვა, ხოდა, ახლა ჩვიდმეტი წლისას რას მოუხერ-
 ნებთ?

დედა ერთხანს ფიქრებს მიეცა.

— რას წარმოვიდგენდი... დღიური თუ პქონდა, არც ის ვიციოდი. ასე
 მითხრა, წელს დღიურები აღარ გეჭირდებო. ახლა კი მისი დამრიგებელი,

ჯენკინი შირეკავს და მეუბნება, თუ კიდევ ერთხელ გაუცდენია, სკოლას დატოვენსო. მაინც რას შვრება? სად დადის? მთელი დღე ქალაქში ხარ, სადმე როგორ არ შეხვდებოდი ქუჩაში.

— დიახ, ბატონო, — ვთქვი მე, — ქუჩაში კი შეხვდებოდა, მაგრამ ეგ გოგო ქუჩაში სასეირნოდ ხომ არ აცდენს გაკვეთილებს.

— რაო, რას ამბობ? — მომამახა მან.

— არაფერს, — ასე ვუთხარი, — მკითხეთ და მეც გითხარით. — დედა ატირდა, თავს ნჭრისო ჩემი სისხლი და ხორცი.

— ხომ თქვენვე მკითხეთ, — მე ვუთხარი.

— შენ რა შუაში ხარ, — მითხრა დედამ, — მხოლოდ შენ ერთს არ მოგიკლავს ჩემთვის გული, შვილო.

— დიახ, — ვუთხარი დედას, — დროც არ მქონდა სამაგისო. კვენტინისხაირად შარვარდს წასასვლელად ან მამაჩემისნაირად ლოთობით თავის მოსაკლავად არ მეცალა. მე უნდა მემუშავა. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, თუ გნებავთ, რომ ძაგ გოგოს კუღში ვსდიო, მაღაზიაში აღარ გავჩერდები და ღამის რამე სასუშაოს ვიშოვნო. ხოდა, ასე, დღე მე ვუთვალთვალე, ღამე კი ბენი დაუღეეს დარაჯად.

— ვიცი, ბევრი სადარდებელი და საზრუნავი გაგიჩინე, შვილო, — დედამ ბალიშში თავი ჩარგო და ატირდა.

— მეც ვიცი, — მივუგე მე, — ოცდაათი წელია სულ ამას მეუბნებით. ბენშაც კი იცის, მგონი, უკვე ეს ამბავი. რა ვქნა, ველაპარაკო თუ არა იმ გოგოს?

— შერედა, გამოვა შავით რამე? — თქვა დედამ.

— თუ ისეც დაწყებდითანავე ჩაგვერიეთ, მაშინ არაფერი, — ასე ვუთხარი, — თუ გიხდათ მე მომანდოთ ეგ ამბავი, მითხარით და შერე თავი დამანებეთ: ყოველთვის, როცა კი რამეს მოვიწოდებ, თქვენსას არ იშლით, მაშინვე ჩაგვერევით, და ის შერე ორივეს დაგვცინის.

— ნუ გავიწყდება, რომ შენი სისხლი და ხორცია, — მითხრა დედამ.

— დიახ, ბატონო, — მე ვთქვი, — ოღონდ ეგ ხორცი მოსავლელია. და იმ სისხლსაც ცოტას გამოვადენდი ცხვირიდან, ჩემი ნება რომ იყოს. ვინცაა, სულ ერთია. ზანგის გოგოსავით თუ იქცევა, ზანგის გოგოსავით უნდა მოექცე.

— ვაითუ მოთმინების ძაფი გავიწყდეს, — თქვა დედამ.

— მაგრამ თქვენმა ბერხმაც რომ არ გაჭრა. რამე რომ ვიღონო, მაძლევთ ამის ნებას თუ არა? ან ერთი ირჩიეთ, ან ნუთარე. ჩჭარა, სამსახურში მაგვიასდება.

— ვიცი, ჩვენი გულისთვის ქანცი გაქვს გაწყვეტილი, — მითხრა დედამ, — ხეტავი შენეძლოს და ახლა საკუთარი კანტორის პატრონი იქნებოდი. შენს ხებაზე ივლიდი იქ, როგორც ეს ბესკომებსა შეეფერება. რასაც არ უნდა გეძახდნენ, შენ მაინც ბესკომი ხარ. ვიცი, მამაშენს რომ ეფიქრა...

— რა გაეწყობა, — მე ვუთხარი, — ვიდაც სმითისა და ჯონსისნაირად ზანდახან ანგარიში მამაჩემსაც ვშლებოდა ხოლმე. — დედა ისევ ატირდა.

— ეს რა მესმის, გარდაცვლილ მამას ავად როგორ ახსენებ, — თქვა მან.

— კარგი, — მივუგე მე, — დაე აგრე იყოს; მაგრამ საკუთარი კანტორა

რაკილა არა მაქვს, იქ უნდა წავიდღ, სადაც ვარ. ვუთხრა თუ არა იმ გოგოს რამე?

— ვაითუ მოთბინების ძაფი გაგიწყდეს, — თქვა დედამ.

— კარგი, — მე ვუთხარი, — მაშინ აღარაფერს ვერცხვი.

— მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვილონოთ, — მომიგო, — ხალხი რაღაც უნდა იცის, თითქოს გაკვეთილების გაცდენისა და ქუჩა-ქუჩა ხეტიალის ნებისმიერ შემთხვევაში ან მისთვის ველარ მომივლია... თქ. ჯეისონ, ჯეისონ, * — ასე დასძინა, — როგორ მიმატოვე, როგორ მიმატოვე ასეთ სატანჯველში.

— კარგი, კარგი, — ვთქვი მე, — აგრე უარესად შეიქნებით. ერთი დღით მაინც დაამწყვდიეთ შინ, ანდა ეგ ამბავი მე მომანდეთ და მაშინ აღარც მაგდენი სადარდებელი გექნებათ.

— ჩემმა სისხლმა და ხორცმა, — ასე თქვა ატირებულმა. მაშინ მე მივუბე:

— კარგი. მე მოვუვლი მაგ გოგოს. ნულარ ტირით. კმარა.

— მოთბინების ძაფი რომ გაგიწყდეს, — თქვა დედამ, — ის ხომ ჯერ ბავშვია, არ დაივიწყო.

— არა, — ვუპასუხე მე, — არ დავივიწყებ. — გამოვედი და კარი მრვიხურე.

— ჯეისონ, — დაიძახა დედამ. პასუხი არ გამიცია. დერეფანს გამოვეყვი. — ჯეისონ, — ისევ მომესმა კარს მიღმა. მერე კიბეზე ჩამოვედი. სასადილო ოთახში არავიხაა. სამზარეულოდან მესმის, კვენტინა დილზის სთხოვს, მეორე ფინჯანი ყავა დაძისხიო. შევედი.

— აგრე გამოწყობილი უნდა წახვიდე სკოლაში, — ვეკითხები, — თუ დღეს ისვენებ?

— ნახევარი ფინჯანი იყოს, დილზი, ჭირიმე, — იხვეწება.

— არა-მეთქი, — თქვა დილზიმ, — ვის გაუგონია, ჩვიდმეტი წლის გოგომ ერთ ჭიქაზე მეტი ყავა დალიოს, მასს კალაინი რას იტყვის. წადი და ჩაიცივი, სკოლისთვის მოემზადე, თორემ ჯეისონი უშენოდ წავა ქალაქში. კიდევ ვინდა დააგვიანო?

— აღარ დააგვიანებს, — მე ვუთხარი, — მორჩა, გათავდა. — შემომხედა, ხელში კი ფინჯანი უკავია, სახეზე ჩამოშლილი თმა გადაიწია, კიბონო ჩამოუცურდა მხრიდან, — ეგ ფინჯანი დადგი მანდ და გამომყევი, — ასე დავსძინე.

— რისთვის უნდა წამოვიდე? — მკითხა კვენტინამ.

— წამოდი-მეთქი, — გავუწეორე, — აი, ეგ ფინჯანი ონკანის ქვეშ ჩადგი და წამოდი.

— ახლა რაღა ვინდა, ჯეისონ? — მითხრა დილზიმ.

— ბებიაშენი და სხვები კი აგიგდია აბუჩად, მაგრამ ჩემთან ვერაფერს გახდები, ნურას უკაცრავად, — ასე ვუთხარი, — ვერ მოგართვი. ათ წამს გაძლევ, დადგი-მეთქი ეგ ფინჯანი, შენ გეუბნები!

ჯერ მე შემომხედა, მერე დილზის. — აბა ახლა რა დროა, დილზი? — თქვა მახ, — დაძისტვინე ათი წამის მერე. ნახევარი ფინჯანი მაინც, ნა...

ხელი წავატანე მკლავზე. ფინჯანი გაუვარდა, დაიმსხვრა, უკან დაიხია და მიყურებს, მაგრამ მისი მკლავისთვის ხელი არ გამიშვია. დილზი წამოდგა.

* ქალბატონი კომპსონი თავის ქმარს — ჯეისონ კომპსონს (მამას) ველისხმობს.

— რა მოგივიდა, ჯეისონ? — მეკითხება.

— ხელი განიშვით, — დაიძაბა კვენტინამ, — თორემ სახეში გავარტყამო.

— რაო, რაო? — ვუთხარი, — რაებს ბედავ? — ხელი შემომკრა. დავუჭირე ის ხელიც და კატასავით გაცოფდა. — რაებს მიბუდავ? — ასე ხომ?

— ჯეისონ-მეთქი! — მომადახა დილზიმ. სასადილო ოთახში მივათრევ კვენტინას. კიმონი გადაეხსნა და მოათრიალებს, ლანის დედიშობილას მივათრევ ამ ეშმაკის ფეხს. დილზი ჩვენ უკან მოკელანობს. მივტრიალდი და ცხვირწინ მივუკეტე კარი.

მანდ იყავი-მეთქი, გავძახე.

კვენტინა მაგიდას მიეყრდნო და კიმონი შემოიხვია. შევცქერო.

— აბა, ერთი მითხარი, — ვეუბნები, — გაკვეთილებს როგორ აცდენ, ბებიაშენს წაშდაუწუმ როგორ ატყუებ, მის მაგიერ როგორ აწერ ხელს დღიურში? მოკალი ვეჭალი და ესაა. აბა ჩქარა თქვი-მეთქი.

ხმას არ იღებს. ყელთან შეიკრა კიმონი და შეისწორა, მიყურებს. ველარაფრის წათხიპნა მოუსწრია ჯერ კიდევ და თითქოს საგულდაგულოდ დაეხანოს, ისე უპრიალება სახე. მივედი, მაჯაზე წავეტანე, აბა ჩქარა თქვი-მეთქი.

— თქვენ ვინ გკითხავთ, — ასე მითხრა, — თავი დამანებეთ!

დილზიმ შემოაღო კარი. — ჯეისონ! — მომადახა.

— აქედან გადი-მეთქი, ხომ ვითხარი, — ისე დავუყვირე, არც კი მივბრუნებულვარ. — აბა ერთი მითხარი, გაკვეთილებს რომ აცდენ, სად დადიხარ? — ვეკითხები კვენტინას. — ქურჩა-ქურჩა რომ ხეტიალობდე, დაგინახავდი. ვისთან დაძვრები? ვილაც ქოჩრიან ვიგინდარასთან ხომ არა ტყე-ღრე? მითხარი, სად დადიხარ?

— თქვენ... თქვენ ბებერი ქალაჩუნა ხართ! — ასე თქვა და გასხლტომა მოიხდომა, მაგრამ არ გავუშვი. — წყეული ბებერი ქალაჩუნა! — გაიმეორა.

— მე შენ გიხვეწებ, — ვეუბნები, — მოხუც ქალს წამოაჭექი თავზე, მაგრამ მე კი მოგივლი, იცოდე! — ცალი ხელით მიკავია ახლა, გაჩერდა და შემომცქერის გაფართოებული თვალებით.

— რა გინდათ ჩემგან? — ასე თქვა.

— აი, ახლა ამ ქამარს რომ მოვიხსნი, მერე ნახავ, რაც მინდა. — ქამარს ვიხსნი, დილზი მომვარდა.

— ჯეისონ, — მითხრა მან, — ჯეისონ, როგორ არა გრცხვენიათ?

— დილზი, — იძახის კვენტინა, — დილზი!

— არ დავანებებ, — ამბობს დილზი, — ნუ გეშინია, გენაცვალე. — ხელებს არ მიშვებს. ქამარი შემოვიძრე, ხელი ვკარი და იქით მივაგდე დილზი. მაგიდას გადააწყდა. ისე დაჩაჩანაკდა, ფეხზეც ძლივსლა დგას. მაგრამ ჩვენს სამზარეულოში ვილაცა ხომ უნდა გამოძღეს იმით, რაც ზანგის ბიჭებს გადაურჩებათ. კოჭლობით მოვიდა და შუაში ჩაგვიდგა, ხელებს მიჭერს. — მე შემოძვარით, — მეუბნება, — თუ ასე ვეჭავებათ ხელები, მე შემომკარით, — გაიმეორა მან.

— გგონია, არ შემოგკრავ? — ვეუბნები მე.

— თქვენგან სხვას არც მოველი, — ასე თქვა. კიბეზე ჩამომავალი დედა-

ჩემის ფეხის ხმა გავიგონე. გული როგორ მოუთმენს, არ ჩაგვერიოს. ხელი გავუშვი კვენტინას, კედელს მიეჯახა, კიბონო შეიკრა.

— კარგი, — ვთქვი მე, — მერე იყოს. ჩემთან ვერაფერს ვახდები, იცოდე. გადაყრუებული დედაკაცი არ გეგონო, ნურც ეგ დავარდნილი ზანგის ბებრუხუნა გგონივარ, შე ტურტლიანო გომბიოვი! — მივაძახე.

— დილზი, — დაიყვირა, — ჩემი დედა შინდა მე, დილზი!

დილზი ბიუახლოვდა. — დაწყნარდი, — ასე უთხრა, — თითსაც ვერ დაგაკარებს, ვიდრე აქა ვარ.

— ჯეისონ, — დედა იძახის, — დილზი!

— დაწყნარდი-მეთქი, — თქვა დილზიმ, — აღარ მოვუშვებ შენთან. —

ხელი მოკიდა კვენტინას, მაგრამ მან მოიშორა.

— თაიდან მომწყდი, ბებრო ზანგო! — მიაძახა და კარისკენ გაიქრა.

— დილზი, — კიბიდან ჩამოსტახა დედამ. კვენტინამ კიბეზე აირბინა და გვერდით ჩაუქროლა. — კვენტინა, — დაუძახა დედამ, — კვენტინა-მეთქი. — კვენტინამ ყურიც არ ათხოვა, მერე ოთახში შევარდა, კარი მიიჯახუნა.

დედა იქვე შედგა. მერე ისევ კიბეზე დაეშვა. დილზიო, დაუძახა.

— ახლავე ამოვალ, — უპასუხა დილზიმ, — თქვენ, ჯეისონ, მანქანა გამოიყვანეთ და დაელოდეთ, — მომიბრუნდა მე დილზი, — სკოლაში ხომ უნდა მიიყვანოთ.

— დარდი ნუ გაქვს, — ვუთხარი მე, — კიდევ მივაყვან და კიდევ დავტოვებ იქ. რაზან ხელი მოვკიდე ამ საქმეს, ჩემსას გავიტან.

— ჯეისონ, — ჩამომძახა დედამ კიბიდან.

— აბა წადი ახლა, — შითხრა კარისკენ მიმავალმა დილზიმ, — გულს ნუღარ გაუხეოქავ ამ ქალს. მოვდივარ, მისს კალან.

გამოვედი, შესძის, დილზი ადის კიბეზე. — ახლავე დაწვექით. — ეუბნება დედას. — ჯერ კიდევ არა ხართ კარგად და არ უნდა ამდგარიყავით. დაწვექით და მე იმ გოგოს მივხედავ, დროზე გავუშვებ სკოლაში.

სახლის უკახა მზარეს გავედი და მანქანას დაეხედე, შემდეგ მთელი ცხოველმოდარე, ვიდრე ის ბიჭი ვნახე.

— მე ხომ ვითხარი, მანქანას საბურავი გამოუცვალე-მეთქი, — ვუთხარი.

— ვეღარ მოვიცვალე. — მიპასუხა ლასტერმა, — სანამ დიდედა სამზარეულოშია, ამისი პატრონი არაეინაა.

— ასეა, — ვთქვი მე, — მთელი დღე სამზარეულო სავსეა იმ წყველი ზანგებით. მანქანას კი საბურავი ისევ მე უნდა გამოვუცვალო.

— ვისთვისღა დაშეტოვებინა, — შითხრა მან. მაშინვე ღმუილი გავიგონე და დუქმორეული პირისახეც დავინახე.

— გა, გაათრიე აქედან, — დავუყვირე, — აქ რას ვაგვიჩერებია ქვეყნის სასეიროდ? — გავყარე ისინი და იმან დროელს ფერტო უმატა. თითქოს კვირადღე არ მეყოფა, როცა ამ დაწყველილ შინდორზე აუარება ხალხი ირევა. ეტყობა, შინ არაფერი სანახაობა აქვთ და არც ექვსი ზანგის ჭმევა სჭირდებათ, კუხვისოდენა რაღაც ბურთი აქვთ და იმით ერთობიან ვითომ. ეს ჭკუაზე მწყრალი კი დარბის შინ და უკან ღობის გასწვრივ და, როგორც კი ვინმე გაპოხნდება, აღრიადდება. მგონია, მალე ფულსაც მომთხოვენ, გოლფის თამაშს რომ აფურებიანონ. მერე დედაჩემსა და დილზისაც მოუხდებათ ყავარჯნებით აქ ჩამოსვლა, თღონდ ბურთის მაგივრად ფაიფურის სახელურები უნდა ჩამო-

იტანონ, მე კი თვარანმომარჯვებულნი დავუდგები ამათ მთელი ღამე. ხოდა, მაშინ მოგვიდებენ ხელს და სუყველას წაგვასხამენ ჯეკსონში, ღმერთმანი, ჩვენს ნეზობლებს აღდგომა დღე გაუთენდებათ მაშინ.

გარაყთან დავბრუნდი. საბურავი იქვე, კედელზეა მიყუდებული, კაცო, თუ მე იმას ხელი მოგვიდო. მანქანა მოვატრიალე და გარეთ გამოვიყვანე. კვენტინა მელოდება აქვე, მე, ვუთხარი:

— სახელმძღვანელოები რომ არა გაქვს, ვიცი. ახლა ესლა მინდა გავიგო, რა უყავი. კი არის, მგონი, ჩემი საქმე. ოღონდ შეკითხვის უფლება არ მოუნიჭებიათ ჩემთვის, — ასე ვთქვი, — მე მხოლოდ ფულის გადახდა შევალე — შენი წიგნები თერთმეტი დოლარი დაშიჯდა სექტემბერში.

— სახელმძღვანელოები დედამ მიყიდა, — მითხრა მან, — თქვენ გროშიც არ დაგინარჩავთ ჩემთვის. მშიერი რომ მოეკვდე, ის მირჩევნია.

— რას ნეუბნები, — მე ვუთხარი, — აბა ერთი ბებიაშენს ჰკითხე და ის გეტყვის ყველაფერს. კიდევ გაცვია და კიდევ გახურავს, მგონი, — ვუბნები, — თუმცა ყველაზე უფრო სახე კი დაგიფარავს, იმდენი რალაც-რალაცები წაგიცხია.

— ამ რალაც-რალაცებში გროშიც არ დახარჯულა თქვენი, — ასე მიპასუხა მან.

— ბებიაშენს ჰკითხე-მეთქი, ხომ გუბნები, — ვუთხარი მე, — ჰკითხე-მეთქი. იმ ჩეკებს რა მოუვიდა, ხომ გახსოვს. ერთი შენ თვალწინ დაწვა, მგონია, — ყურსაც არ მიგდებს, მთლად მოუთხიპნავს რალაციით სახე და დგას გააღმასებული.

— შერედა იცით, რას ვიზამდა, ამის საყიდლად თქვენი ან ბებიას ერთი გროშიც რომ იყოს დახარჯული? — მითხრა და ხელი კაბაზე მიიღო.

— მაინც რას იზამდი? — ვკითხე, — კასრს ხომ არ ჩამოიცვამდი მაგის მაგივრად?

— ახლავე შემოვიხვევდი ტანზე და აქვე, ქუჩაში დავყრიდი, — ასე თქვა, — რათ, არ გჯერათ?

— არ გაშაკვირეო, — მივუგე მე, — განა ერთი და ორი გადაგიგდია მასე.

— ხოდა, აბა ნახეთ ახლა, — მომამახა. ორივე ხელი იტაცა საყულოზე. თითქოს მართლაც უნდოდა კაბა შემოეხია.

— განუე და, მე ვუთხარი, — ისე ავაჭრელებ აქვე, მთელი სიცოცხლე არ დავავიწყდეს.

— აბა ნახეთ, — თქვა და ვხედავ, მართლაც უნდა შემოიხიოს კაბა. მანქანა გაგაჭურვ, ხელებში ვწვდი. ამასობაში დაახლოებით თორმეტობდე უსაქმური მიგროვდა. ისე ავენთე და დავენთე, ღამის თვალთ დამიბნელდა.

— აბა ჭკუით იყავი ახლა, თორემ ნეტავი ცოცხალი არ ვიყო, იმას ნატრობდეს! — მივამაბე.

— ვნატრობ კიდევაც. — ასე მითხრა. წყნარად ზის ახლა, თვალეებში ჩაეხედე და გაეფიქრე, აქ, ჩემს მანქანაში, ასე საქვეყნოდ რომ ატვირდეს, მართალია ნაბეჭდილად ავაჭრელებ, სულს ამოვბდი-მეთქი. საბედნიეროდ, თავი შეიკავა და ხელი შეუშვი. მანქანა დავძარი, კიდევ კარგი, გადასახვევია აქვე, სხვა ქუჩით წავალ და მოედანზე გავლა აღარ მომიხდება. ბირდის ნაკვეთზე უკვე კარავს დგამენ წარმოდგენისთვის. ერლმა ორი მოსაწვევი მომტა, რაკილა ჩვენს ვიტრინაში აფიშა გამოვაკვრევინეთ. ეს გოგო აქეთ აღარც იხედება,

ტუჩებს იკვნეტს. — კიდევაც ვნატრობ, — თქვა მან, — ნეტავი რად გამაჩინე, დედოკო.

— მე კიდევ ერთი აღაწიანიც ვიცი, ვისაც ყველაფერი არ ენახა ამ/ან-ბისა, — მე ვუთხარი. სკოლასთან გავჩერდით. ზარმა დარეკა და ვიკვნივთ. ჩენილი ორიოდე მოწაფეც შევიდა წახვალში. — ერთხელ ხომ მოხვდები, — ვეუბნები, — შენით წახვალ და დარჩება იქ, თუ თავად მოგიყვანო და დაგსვა? — ჩავიდა და კარი მოაჯახუნა. — რაც ვითხარი, არ დაივიწყო. — გავძახე, — მეტს აღარ მოგიტმენ, იცოდე, აღარ გავიგონო, გაკვეთილები გააცდინა და იმ ვილაც ვიგინდარასთან დაძვრებო.

მოძირილდა და ასე მოძიგო, — დასამალავი რა მაქვს, ყველას შეუძლია იცოდეს, რასაც ვაკეთებ.

— კიდევაც იციახ, — ვთქვი მე, — ამ ქალაქში ყველამ იცის, რაცა ხარ. მაგრამ მე მეტს აღარ მოგიტმენ-მეთქი, ხომ ვითხარი, შენ რასაც ვაკეთებ, დარდი არა მაქვს, — ვეუბნები, — მაგრამ აქ მე პატივს მცემენ და ჩემი ოჯახის წევრს ნებას არ მივცემ ზანგის გოგოსავით მოიქცეს, ხომ გაიგონე.

— ჩემთვის სულ ერთია, — მიპასუხა მან, — დაე ცული ვიყო და ჯოჯოხეთში მოვხვდე, სულაც არ მაღარდებს. თქვენთან ყოფნას ჯოჯოხეთი მირჩევნია.

— აი, თუ ერთხელაც გავიგე, გაკვეთილიდან გაიპარაო, ჯოჯოხეთს მართლა მოგანატრებ, იცოდე, — მე ვუთხარი. ნატრილდა და ეზო გადაირბინა. — ერთხელაც თუ გავიგე-მეთქი, — მივამახე, მაგრამ არც კი მოუჩედავს.

ფოსტაში გამთვარიე. წერილები წამოვიღე, მოვედი მაღაზიასთან და მანქანა გავაჩერე. შევედი თუ არა, ერლმა შემომხედა. ხმა არ ამომიღია. ხო, დავაგვიანე და რაც გინდა ასა თქვი-მეთქი, გავიფიქრე, მან მითხრა:

— კულტივატორები ჩამოიტანეს. მიღი და ბიძია ჯობს მიეხმარე მათ დადგმაში.

უკან გამოვედი. გადაყრუებული ჯობი ჩახირობს, ერთი საათი უნდება სამი ჭანჭიკის მოხსნას.

— ხეტავ შენც ჩემთან იყო, — მე ვუთხარი, — მაშინ მთელი ქალაქის ზანგები ჩემს საწინარეულოში მოიყრიან თავს.

— იმათთვისლა ვმუშაობ მე, ვინც შაბათ საღამოსთვის მაძლევს ფულს, — ასე მოძიგო, — მეტი დრო აღარ მრჩება და ვერც ვერავის გამოვადგები. — ქახჩი მოხსნა, — ყველაზე კარგი მუშა ამ არემიდამოში აი, ისაა, ხორთუმა ხოჭო, — დასძინა.

— ბედი გქონია, არა ხარ ხორთუმიანი და ეგ კულტივატორები სულ ფეხებზე გკიდია, — ვუთხარი, — თორემ თავს მოიკლავდი მუშაობით და აღარც მშველელი დაგჭირდებოდა.

— შართალს ბრძანებთ, — მითხრა მან, — კი უჭირს ხორთუმიანს. გინდ მზე იყოს და გინდა წვიმა, მთელი კვირა უნდა იმუშაოს, დღესაც ვერ გააცდენს, კიბეზეც ვერ ჩამოჯდება და საზამთროს დამწიფებას ვერ დაუცდის, შაბათსაც არას აქნევს.

— ფულს მე რომ გიხდიდე, — ასე ვუთხარი, — შაბათ დღეს შენც არას აქნევდი. ახლა კი მიღი ერთი, ეგ ფიცრები მოაცილე და შიგ შეათრიე.

პირველად მისი წერილი გავხსენი და ჩეკი ამოვიღე. ქალისგან აბა რას უნდა მოვლოდე. ექვსი დღე დამიგვიანა. კიდევაც რომ გიმტკიცებენ, კაცებ-

ზე ნაკლებად არ მოვეუვლითო საქმეს, ნეტავი რა დახლი დაუდგება იმას, ვინც ექვსი დღის დაგვიანებით შეიტყობს თვის დამდევს. ხოდა, დედაჩემს ბანკი ექვსი დღით გვიან რომ გაუგზავნის შეტყობინებას, ეს ქალი ჩემზე იფიქრებს, ყოველთვის ექვს რიცხვში რად შეაქვსო ფული ანგარიშზე. *ფერადულები*
ამას ქალი ვერ ჩაჩვენება.

კვინტინაა სადღესასწაულო ტანისამოსზე ხომ გწერდი, პასუხი რად არ მომწერე. ნუთუ არ მიგიღია? ჩემს ორ ბარათზე არც მაგ ვოგოს უპასუხნია, თუმცა ზეოტე წერილით გამოგზავნილი ის ჩეკი კი იყო წარდგენილი ვასახლდებლად სსკებთან ერთად. ავად ხომ არაა? ახლავე შემატყობინე, თუ არაა, თავად ჩამოვალ და ვნახავ. ავი დამპირდი, რანე თუ დასჭირდა, გაცნობებო. შენგან 10-სთვის ველი პასუხს. არა, სჯობს ახლავე დებეშა გამომიგზავნო. ნამდვილად შენ ხსხი ჩემს წერილებს და ის ვოგო რაღას მიიღებს. თითქოს ცხადლიც ვხედავდე; დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მასეა. სჯობს ახლავე გამოგზავნო დებეშა აი, ამ ნისამართზე.

ამ დროს ერლმა დაუყვირა ჯობს, იჩქარეთო. წერილები შევინახე და გარეთ გავედი, იქნებ რამე ვუშველო-მეთქი ამ ბუზიყლაპიას. ჩვენს მხარეს ნამდვილად სჭირდება მუშა თეთრი ხალხი. ამ ჯოჯოხეთის მაშხალა ზანგებს ორიოდე წელიწადი შიმშილით რომ კუჭი აეწვებათ, მაშინლა მიხვდებიან, აქამდე სამთხეში ვიჯავითო თურმე.

ვერ კიდევ ათი საათი არ იქნებოდა, ეზოდან რომ შევბრუნდი. ვილაც კომივოაჯერი ზის ჩვენსა. რამდენიმე წუთი აკლდა ათს და კოკა-კოლაზე გადავიბატივე ის კაცი. მოსავალზე ჩამოვავდეთ ლაპარაკი.

— ვერ არის კარგი ამბავი, — ასე ვუთხარი, — ბამბის მოსავალი გადამყიდველებსლა რჩებათ. ყურებს გამოუჭედავენ იმ საწყალ ფერმერებს. კარგი მოსავალია წელს და ალება არ დაგავვიანდეთო. მერე ბაზარზე იაფად გამოატანინებენ და ავრე თავზარს დასცემენ წერილფეხობას. თავად ფერმერებს კი ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამოსდით, დღე არ ატვო და ღამე. დარჩებათ კი იმდენი, რომ კუჭი მაინც გაიძლონ? — ვეუბნები, — დიდი მოსავალი იქნება და გროშებად შეუფასებენ, პატარას მოიწვევენ და არყის ფულსაც ვერ იშოვნებენ. მერედა, რისი გულისთვის? ჩრდილოეთში მოკალათებულმა ერთმა მუჭაებრაელებმა რომ — იელოვას მიმდევრებზე არ ვამბობ, მათ შორის კარგი მოქალაქეებიც მანახავს მე, — ვეუბნები, — თქვენც ხომ იშათთავანი არ ბრძანდებით? — დავსძინე მერე.

— არა, — მიპასუხა მან, — ამერიკელი გახლავარ.

— არ გეწყინოთ, — მე ვუთხარი, — სჯულისა და სხვა ამდაგვარების მიუხედავად კაი კაცს ყოველთვის ვცემ პატივს. პირადად ებრაელებს არაფერს ვერხი. — ვეუბნები, — მე იშათ ჯიშზე მოგახსენებთ მხოლოდ. კი დამეთანხმებით მგონია, საქონელს არ ქმნის ეს ხალხი, დაივლიან ხოლმე ახალმოსახლეებს და ტანსაცმლით ვაჭრობენ.

— შეძველძახე სომხებს ხომ არ გულისხმობთ? — მკითხა მან, — ახალ ტანისამოსს არ დაგიდევენ ახალმოსახლეები.

— საწყენი აქ რა არის, — ასე ვთქვი, — წესად არა მაქვს სჯულის მიხედვით ვიმსჯელო ხალხზე.

— დიახ, — ასე მომიგო, — შე ამერიკელი გახლავარ. ფრანგული სისხლი გვირგვია ჩვენ. ხოდა, ამიტომაც მაქვს ასეთი ცხვირი. წმინდა ამერიკელი გახლავარ.

— მეც აგრე, — ვუთხარი. — ცოტანილა დაერჩით. ხო, ნიუ-იორკში კალათებულ იმ მაკლერებზე მოვახსენებთ, ტყავს რომ აძრობენ წმინდას.

— მართალს ბრძანებთ, — შიპასუხა, — საწყალი კაცი ბარუაზე ვერაფერს გახდება. კანონი თუ უშველის რამეს.

— ხომ მართალს ვამბობ? — მივუგე მე.

— დიახ, — ასე შიოხრა, — მართალი უნდა იყოთ. ფერმერის ზურგზე გადადის ყველაფერი.

— მართალი რომელია, — მე ვუთხარი, — კაცი თუ არ გყავს და სწორ ცნობებს თუ არ გაწვდის, სულსაც ამოგხდიან. ვილაც-ვილაცებს იქაურთაგან კი ვიცნობ. მათი მრჩეველი ერთი დიდი კაცია ნიუ-იორკში. წესად მაქვს, — ვუბნები, — დიდ ფულზე არ ვითამაშო. ვიცი, რაღაცები მეც შემიშლება. ლაწირაკებს კი არ დავემგვანები, ვისაც სამ დოლარად უნდა ერთბაშად გამდიდრება. ისინი კი სწორედ ასეთ ხალხს ეძებენ.

საათმა ათი დაჰკრა. ტელეგრაფში წაედო. მათი წინასწარმეტყველები-სამებრ მოხდა — ცოტა მოიმატა კურსმა. კუთხეში მივდექი და კვლავ გადავლე თვალი დებეშას, გული შევაჯერე. ამ დროს ახალი ცნობები მოვიდა. ორი ხაზით აიწია აქციებმა. ყველა მოაწყდა საყიდლად. იმას გეუბნებით, რაც გავიგონე მათი ლაპარაკიდან. აბა ვინ ვის მოასწრებს, თითქოს არ იციან, ბოლოს რა იქნება. თითქოს კანონია ასეთი და გაიძულებს, რომ იყიდო. კაცი არ ვიყო, თუ ვტყუოდე. რა თხერი დროება დადგა, ღმერთმანი, ეს წყვეული უცხოელები, ლუკმა ბური რომ ენატრებოდათ თავიანთ ქვეყანაში, ჩამოვიდნენ აქ და ყელამდე აივსენ ამერიკელთა ფულით. კიდევ ორი ხაზით აიწია აქციებმა. სულ ოთხით. დასწყევლოს ღმერთმა, ისინი იქ არიან და კარგადაც იციან, რაც მოხდება. ყურს თუ აღარ დავუგდებ იმათ რჩევას, მაშ რაღატომ ვაძლევ თვეში ათ დოლარს. გასვლა მიხდოდა და უცებ გამახსენდა, მივტროი-ალდი და დებეშა გავუგზავნე იმ ქალს. „კარგად ვართ. კ. დღესვე გამოვიგზავნის წერილს“.

— კ. გააგზავნის? — იკითხა დებეშის მიმღებმა.

— დიახ, კ., — მივუგე. — განა პირველად გესმით ეს ასო?

— სწორად თუ ამოვიკითხე-ნეტო, — შიოხრა.

— თქვენც კიდევ ისე გააგზავნეთ, როგორც მანდ წერია, არაფერი შეშვდება მე, — ვუბნები, — ფულს იქ გადაიხდიან.

— დებეშებს აგზავნი, ჯეისონ? — იკითხა დოკ რაიტმა, ჩემი მხრებიდან გადმოყო თავი, — რაღაც შიფრია მაკლერისთვის — იყიდეთო, ხომ?

— რაც არის, ის არის, — მე ვუთხარი, — თქვენ ხომ საკუთარი ჭკუა გაქვთ, ბიჭებო. თქვენ უფრო მეტი იცით, ვიდრე ნიუ-იორკელმა საქმოსნებმა.

— საკუთარი ჭკუა რომ შექონდეს, — შიპასუხა დოკმა, — გავითვალისწინებდი კურსის აწევას და ფუნტში ორ ცენტს მოვიგებდი.

კიდევაც ცნობა. ჩამოიწია ერთი ხაზით.

— ჯეისონი ყიდის, — დაიძახა ჰოპკინსმა, — აბა ერთი შეხედეთ მის სახეს.

— რასაც ვაკეთებ, ეს მე ვიცი, — მივუგე, — ისე მოიქეცით, როგორც ჭკუა გაგიჭრით, ბიჭებო. ჯიბესქელ ნიუ-იორკელ ებრაელებსაც ხომ უნდათ ცხოვრება, — ასე დავსძინე.

მაღაზიაში დავბრუნდი. დახლთან ერლი ტრიალებს. შევედით უკანა კოახში, მაგიდას მივუჯექი და ლორეინის წერილი ვავშალე. „მამიკო ძვირფასო, მენატრები. შაშიკოს რომ ვერ ვხედავ ქალაქში, ვერ ვარ კარგად. შენი ნახვა მსურს, ჩემო ტკბილო მამიკო“. ვიცი, რაცა სურს. ორმოცი დოლარი ვაჩუქე ამ ბოლოს. დიახ, ვაჩუქე. ქალს არც არასდროს დავბირდები რამეს და იმანაც არ იცის, რამდენს მივცემ. სხვანაირად იმათ ვერ მოუვლი. ხოდა, იჯდეს და იმარჩიელოს. დააცის გასაკვირვებლად სხვა ვერაფერს თუ ვერ მოიფიქრებ, ებაში უნდა გაულაწუნო.

წერილი გადავხიე და სახაგვე ყუთის თავზე დავწვი. წესი მაქვს ასეთი. ქალაღდის ხაგლეჯსაც არ შევიხანავე ქალის ხელით ნაწერს და მათთვისაც არასდროს მიმიწერია, სულ მეხვეწება ლორეინი, ერთი რომ მომწერო, რა იქნებაო. მე კი ვეუბნები, რისი თქმაც ახლა დამავიწყდება, მემფისს რომ ჩამოვალ, მაშინ გეტყვი-მეთქი. შენ კი შეგიძლია მომწერო ხანდახან, ოღონდ კონვერტზე შენი მისამართი არ წააწერო და ვაი შენი ბრალი, ტელეფონზე რომ დამირეკო-მეთქი. ასე დავემუქრე, მემფისიდან გულა-ნაბადს აგიკრავ-მეთქი. ისიც კი ვუთხარი, შენთან რომ ვარ ხოლმე, მეც ერთი ბიჭთაგანი გახლავარ, ქალმა კი ტელეფონზე არ უნდა დამირეკოს-მეთქი. აი, ეს ორმოცი დოლარი აიღე. ხოლო ნასვაშმა თუ მაინც მოინდომო დარეკვა, გახსოვდეს, ჯერ ათამდე დაითვაღე-მეთქი.

როდისღაო, მითხრა მაშინ.

რა როდისღა-მეთქი?

კიდევ როდის მოხვალო, მკითხა მან.

ვხახოთ-მეთქი. შერე უნდოდა ლუღის ფული თვითონ გადაეხადა, მაგრამ არ დაეანებე. „ეგ ფული შენთვის შეინახე, — მივუგე, — კაბა იყიდე“. მოსამსახურე გოგოსაც მივეცი ხუთიანი. ჩემი აზრით, ფასი არა აქვს თავისთავად ფულს, მთავარია, როგორ მოიხმარ. ფული არც არავის საკუთრებაა და რალატომ უნდა დაკანკალებდე ზედ. ხელს ეინც სტაცებს, იმისია. ჯეფერსონში ერთი კაცი ვიცი, ხარახურა საქონლით ამარაგებდა ზანგებს და აუარება ფული მოიხვეჭა. მაღაზიის ქვემოთ ერთი ოთახი ეკავა, საღორისნაირი, და საჭმელსაც თავად იშხადებდა. ოთხი თუ ხუთი წლის უკან ავად გახდა, დიდი შიში ჭამა და რომ მოიკეთა, ეკლესია გაიხსენა და წელიწადში ხუთი ათას დოლარად მისიონერსაც არჩენდა ჩინეთში. ხშირად მიფიქრია, ჭკუაზე შეიშლება-მეთქი, როცა მოკვდება და ნახავს, არავითარი სამოთხე არ არის და წყალში გადაყარა ამდენი ფული. განა არ სჯობდა მომკვდარიყო ზვეულეებრივად და ასე გადაერჩინა ის ფული.

დაიწვა ის წერილი და სხვები კი პიჯაკის ჯიბეში უნდა ჩამეჩურთა, რომ თავში გამიეღვა, მოდი და შინ წასვლამდე კვენტინას წერილს გავხსნი-მეთქი. მაგრამ ამ დროს ერლმა დამიძახა, გამოდი აქ და დახლში დადექიო. შევიხანებე წერილები, ვავედი და მთელ თხუთმეტ წუთს ველოდებოდი, ვერ იქნა და ვერ გადაწვიტა ამ ჯოჯოხეთის მუგუზალმა ცალუღლის თავსა ოცკენტიანი ეყიდა თუ ოცდაათხუთმეტკენტიანი.

— კარგის მყიდველი ყოველთვის მოგებულა, — ვეუბნები, — იატაკ სა-
ქონლით იმუშავებ და რა დახლი დაგიდგება, კაცო?

— კარგი თუ არაა ეს, — მომიგო მან, — აქ რაღატომ გამოგიტანიოთ?

— ძე ხომ არ მითქვამს შენთვის, უფარგისია-მეთქი, — მუკუთხარა —
ესა სჯობს-მეთქი, ასე ვითხარი.

— შენ საიდანა იცო, — ასე მიპასუხა, — თუ ვინმარია რომელიმე?

— ეს ოცდათხუთმეტი ცენტრი ღირს, ის კი ნაკლები, — ავეხსენი, — აი, სა-
იდან ვიცი ეს ამბავი.

ოცცხტიანი თასმა თითებს შორის გაატარ-გამოატარა. — სჯობს ეს ავი-
ლო. — თქვა მან, მაშ შეგიხვევთ-მეთქი, ვეუბნები, მაგრამ დაგორგლა თასმა
და გიბეში ჩაიღო. შემდეგ ქისა ამოიღო, გახსნა რის ვაი-ვაგლანით, ფულები
ხელისგულზე გადმოიყარა და დოლარის მეოთხედი გადმომაწოდა. — აი, ის
თხუთმეტი ცენტად კი რამეს შევჭამ სადილზე, — დასძინა.

— კი, ბატონო, — მივუგე, — თქვენი ნებაა. მაგრამ მომავალ წელს ახ-
ლის საყიდლად რომ მოხვალთ, აღარ დაიჩვილოთ.

— ბევრი წყალი ჩაივლის ახალ წლამდე, — მითხრა მან. დაბოლოს,
როგორც იქნა, თავიდან მოვიშორე. მაგრამ რამდენჯერ წერილის ამოღება და-
ვაპირე, იმდენჯერ ვიღაცა შემოვიდა. ყველა ქალაქს ჩამოსულიყო წარმოდგე-
ნაზე, ფულის გადასაყრელად ჩამობრძანებულიყვნენ, ვიღაც შარახვეტიების
გულის გასახარებლად, ქალაქს რომ არასდროს წაადგებიან. თუმცა ქალაქის
სამმართველოში ბევრი სინდიაგარეცხილი კი მოითბობს ხელს. ერთი კი ათა-
სად იქრება — „დიახ, ქალბატონო, ბ-ნი კომპსონი ახლავე მოვა. ჯეისონ, კა-
რაქის სადღეებელი აჩვენე ამ ქალბატონს“ ან „ნიკელის რგოლები მთართვი
ფარდებისთვის“.

დიახ, ჯეისონს ნუშაობა არ ეზარება. მითქვამს კიდევ დედანქანისთვის,
უნივერსიტეტი მე არ დამიძთავრებია, პარვარდში არ მისწავლია, როგორ უნ-
და წახვიდე ღამე საცურაოდ, როცა ცურვისა არაფერი გესმის, სიივონში კი
საერთოდ არ სწავლობენ, რა არის წყალი. ესეც ვუთხარი, შტატის უნი-
ვერსიტეტში წავალ სასწავლებლად; შესაძლოა იქ ჩვენი საათის გაჩერება
ვისწავლო პიპეტით ბენის მაგივრად და მერე იქნებ გემზე გააგზავნოთ ბენი
სამუშაოდ, ანდა სულაც კავალერიაში გაუშვათ, იქ ხომ ლაფსა ცხენები სჭირ-
დებათ-მეთქი. მერე კუენტინა საჩჩენად რომ მე მომიგდეს, ანუ განვაცხადე, ავრე
სჯობს, სამუშაო შინ გამომიგზავნეს იმის მაგივრად, რომ ჩრდილოეთში იმათ-
თან შენუშავეა-მეთქი. დედას ცრემლები წასკდა და მაშინ მე ვუთხარი — რა
მოხდა მერე, იცხოვროს აქ, თუ ასე ვიჩვენიათ, თღონდ მე სამუშაოს თავს
გავანებებ, ამ გოგოს გადიად თავად დავუდგები. სამხარეულოსთვის ფქვილს
ნუ გამოიღევთ, თქვენ და დილზის გოზოვთ ამას, ან ბენი შეიძლება ცირკს
მივაქირავოთ, ვიღაც-ვიღაცები ან გასართობში ათ ცენტს გადაიხდიან-მეთქი.
დედას ისევე მოადგა ცრემლები, ვაი შე საწყალო, გატანჯულო ბავშვო. გა-
ვაწყვეტინე იმ წუთას, ცოტა კიდევ წამოიხარდოს. ჯერ ერთნახევრით მჯობ-
ნის სიმალლეში და მერე აღარაფერი გიჭირთ-მეთქი. ესღა მითხრა, სულ მალე
მოქელება ბოლო და ყველანი კარგად იქნებითო. მე მივუგე, კარგი, კარგი,
დაე ავრე იყოს, კი, ბატონო, ნამდვილადაა ის თქვენი შვილიშვილი, მაგრამ
საკითხავი ისაა, შეორე ბებია ვინ ბრძანდება. მტყუანი და მართალი მერე გა-
მოჩნდება, მაგრამ რაღა ღროს. თუ გგონიათ, აქაოდა, დამპირდა ის გოგო და

შვილის სახანავად აღარ ჩამოვარ, თავს ისულელებთ-მეთქი. მართლაც დაკრძალვის დღე იყო, პირველად მაშინ ჩამობრძანდა — მოთქვამს დედა, მადლობა ღმერთს, კი ხარ კომპსონების გვარისა, მაგრამ იმათი არაფერი გცხნია, შენლა დასრბი, შენ და შორიო. მე მივუგე, ბიძია შორის როგორმე უნდა შეხვედნებინებ-მეთქი. ამ დროს შემოვიდნენ და გვითხრეს, უკვე დროაო. დედამ ცრემლები შეიმშრალა. პირბადე ჩამოიფარა და კიბეზე ჩავედით. ბიძია შორი სწორედ ახლახან გამოსულიყო სასადილო ოთახიდან და პირზე მიეფარებინა ცხვირსახოცი. გზა გვიტია სუყველამ და გარეთ გავედით. თვალი შევასწარი, დიღშიმ ხელი ჰკრა ორივეს — ბენსა და ტ. პ.-ის, და სახლის უკან გაყარა ისინი. ჩამოვედით და ეტლში ჩავსხედით. შორი ბიძია სულ ეუბნება დედას, ვაი შენ ჩემო საცოდავო, საცოდავო დაოო, თან ხელზე ეფერება, ძლივსღა გამოთქვამს ამ სიტყვებს, ეტყობა, პირში რაღაცა აქვს, ჯერ კიდევ ვერ გადაუყლაპავს.

მკლავზე სამგლოვიარო არშია ვაკეთება ხომ არ დაგავიწყდა? — ჰკითხა დედამ, — რაღას უცდიან, ბენჯამინი რომ შოვიდეს ქვეყნის სასეიროდ? ვაიმე, შვილო, არც არაფერი იცის, ვერაფერის ზედება.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, — ეუბნება შორი ბიძია, პირის გაღებისა ეს ისევ ეშინია, ისევ ეფერება ხელზე, — ასე სჯობს. სანამ შეუელია, თავის თბლობას ხუ ჩახედება.

— სხვა დედებს თავიანთი შვილები ასეთ დროს მხარში უდგანან ხოლმე, — თქვა დედამ.

— ჯვისონი და მე აქ არა ვართ, — მიუგო შორი ბიძიამ.

— ცეცხლი მინთია გულში, — მოთქვამს დედა, — ეს რა ამბავი ვაღამადა ორჯერ ამ წელიწადნახევარში.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, — ეუბნება შორი ბიძია. ცოტა ხნის მერე კი თვალის ცეცებით მიიტანა პირთან ხელი და უცებ რაღაცა მოისროლა სარკმელში. მაშინ მივხვდი, რაც იყო. მიხაკის კაკლებს ღეჭავდა. როგორც ჩანს, გადაეხუხა მამაჩემის დაკრძალვამდე, ანდა სამზარეულო კარაღს მამა ეგონა ეს კაცი და უპატივცემლოდ აღარ გამოაჭარა. მე თუ მკითხავთ, მამა რაღაც უზედურებად კვენტინის პარვარდს გაგზავნა რომ მოსავიჭრდა, ერჩია ეს კარაღა გაეყიდა და იმ ფულიდან თავიათვის გიყის პერანგი შეეკერიხებინა. დედაჩემის თქმისა არ იყოს, კომპსონებისა იმიტომ არაფერი მცხნია, რომ ჩემი გაჩენისას ეს კაცი უკვე ყოველივესგან გამოერეცხა არაყს. ზოდა, ერთბელაც არ წამოცდენია მამაჩემს, მოდიო, რამე გავცილოთ და ჯვისონი პარვარდში მოვაწყუოთ.

ზის ბიძაჩემი, დედას ხელზე ეფერება და სულ იმას იმეორებს, ვაი ჩემო საბრალო დაოო. სწორედ ის ხელთათმანი აცვია, რომლის ქვითარი ოთხი დღის შემდეგ, ოცდაექვსში მოგვივიდა. უკვე ერთი თვე გასულიყო მას შემდეგ, რაც მამა იმათთან გახლდათ ჩასული და ჩვილი შინ ჩამოიყვანა. ოღონდ იმ გოგოზე დედაჩემისთვის არაფერი უთქვამს. დედას ცრემლები მოადგა თვალზე და შიამბა, ნუთუ ის ბიჭი არც კი გინახავს, ნუთუ სულ უპატრონოდ დააგდო ეს ბავშვიო? მამამ მიუგო, კაპიციც არ გვინდაო მისი. დედამ უთხრა, მაშინ კანონის ძალით მოვთხოვთ, ველარაფერს გახდებო, თუ შენ... ჯვისონ კონპსონ, შეიცხადა უცებ დედამ, ნუთუ ისე დაკარგე ჰკუა, რომ...

— იუუჩე, კეროლაინ, — თქვა მამამ. მერე ადგა და დიღშის დასახმა-

რებლად გამიშვა, სხვენიდან ძველი აკვანი უნდა ჩამოგვეტანა. ასეც ვუთხარი დილზის:

— სამუშაო პირდაპირ შინ გამომიგზავნეს ამაღამ. აქამდე რაღაც ამედი გვექობდა. გვეგონა, ყველაფერი მოგვარდებოდა და ის ბიჭი კედის არ გამოგადებდა. დედა ხომ სულ ასე ამბობდა, რომ მას შემდეგ, რაც ამდენი წაუყუქუქეს ამ გოგოს და კვენტინს, ჩემი მომავალი არ უნდა გაცუდებულყო.

— იმ გოგომაც რა ქნას, სად წავიდეს? — მითხრა დილზიმ, — ჩემ ვარდა მისი ბავშვის ძიძა ვინ იქნება? განა ყველანი ჩემს ხელში არ გაიზარდეთ?

— მშვენიერი ხალხი კი გამოზარდე, ღმერთმანი, — მივუგე მე, დედაჩემის გულის ხეთქვა ახლა ნახე. — ჩამოვიტანეთ აკვანი სხვენიდან და დილზიმ ის კედის ძველ ოთახში დადგა. ესლა უნდოდა დედაჩემს.

— ჩუმაღ, მისს კალაინ, — თქვა დილზიმ, — გოგოს სძინავს და გააღვიძებთ.

— სწორედ აქ?! — მიამახა დედამ, — ამ მოწამლულ ოთახში დადგით? დედამისის შვილი უამისოდაც სულს ამომხდის!

— ჩუმაღ, — გაუწყრა მამა, — სისულელეებს თავი გაანებე.

— ჩვილი აქ რაღატომ არ უნდა დავაძინოთ, — თქვა დილზიმ, — სწორედ ამ ოთახში არ ვაწვევდი დედამისს ყოველდამ, ვიდრე არ წამოიზარდა და თავისით არ მიეჩვია დაძინებას?

— შენ რა იცი, — მიუგო დედამ, — ჩემი სისხლი და ხორცი ქმარმა გამოაგდო. ჩემო საბრალო უმანკო ბავშვო, — თქვა ასე და კვენტინას შესცქერის, — კი გამტანჯე, მაგრამ ამას ვერასდროს გაიგებ.

— ჩუმაღ-მეთქი, კეროლაინ, — თქვა მამამ.

— ჯვისონთან ამას რად ამბობთ? — თქვა დილზიმ.

— მე ამ ბიჭის დაცვას ვცდილობდი, — უპასუხა დედამ, — ცუდი ზეგავლენისგან მის დაცვას სულმუდამ ვცდილობდი. საკუთარი მკერდით გადავეფარები ამ გოგოსაც.

— ნეტავი ვიცოდე, ბავშვს ამ ოთახში ძილი რას შეამთხვევს, — ჩაილაპარაკა დილზიმ.

— რაღა ვქნა მე, — თქვა დედამ, — მთლად გაწამებულმა მოხუცმა ქალმა. მაგრამ ისიც ვიცი, ღვთის კანონის აბუჩად აგდება არავის შერჩება.

— სისულელეა-მეთქი, — უთხრა მამამ, — მაშინ ეს აკვანი ქალბატონ კეროლაინის ოთახში დადგი, დილზი.

— სისულელეაო, კი ამბობ, — მიუგო დედამ, — მაგრამ ამ ბავშვმა არაფერი არ უნდა იცოდეს. მისი სახელიც არ უნდა უხსენოს ვინმემ. დილზი, ბავშვთან მისი სახელის ხსენება არ გაბედო. დედა თუ პყავდა როდისმე, ამას თუ არ გაიგებს და ისე გაიზრდება, ღმერთს მადლობას შევწირავ.

— სისულელეებს თავი გაანებე, — უთხრა მამამ.

— ბავშვებს შენ ზრდიდი და მე არ ჩაგრევივარ, — უპასუხა დედამ, მაგრამ მეტს უკვე ვეღარ მოვითმენ. ყველაფერი ახლავე, ამაღამ უნდა გადაწყდეს. ან ბავშვს იმის სახელს ერთხელაც არ უხსენებთ, ან სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთ, ანდა მე წავალ აქედან, რომელი გინდათ, აირჩიეთ.

— გაჩუმდი, — თქვა მამამ, — ძარღვები ავწლია ახლა უბრალოდ, აკვანი აქ დატოვე, დილზი.

— თქვენ თავად ავიდ გახდებით, — უთხრა დილზიმ მამას, — საიქიოდან

დაბრუებულს ჰგავხართ. სჯობს დაწვეთ, ერთი გადაკართ და დაიჩენეთ. ახლავე მოგართმევთ. ვიცი, გზაში ალბათ ერთი ლამეც არ გიძინიათ ხერხიანად.

— რაო? — შიამხა დედამ, — გადაკარო, რომ ეუბნები, შენ იცი, რა თქვა ექიმმა? სწორედ ეს გადაკვრა ღუბავს ამ კაცს. აბა ერთხელ შემიხედე, გაწამებული მეც ვარ, მაგრამ ძალა მყოფნის და ვისკის თავს მარჯვენა კისრებზე.

— აბდაუბდა გადასკუბდა, — თქვა მამამ, — ექიმებს რა ესმით? თავს ამითლა ირჩენენ ეგენი, კაცს იმის გაკეთებას ურჩევენ, რასაც ის იმ წუთს არ აკეთებს. მხოლოდ ეს იციან გადაჯიშებული მაიმუნის შესახებ. მალე მღვდელსაც მოშიყვან, მგონია. — დედას ტირილი აუვარდა. მამა კი გავიდა. კიბე ჩაიარა, ბუფეტის კარმა გაიხმაურა. ლამე გამონეღვიძა და ისევ გავიგონე ეს ხმა. დედას დაეძინა, როგორც ჩანს, რახან სიწყნარეა სახლში. მამა სულ ჩუმიად შევიდა იქ, ბუფეტთან მივიდა, სალამური პერანგის კალთებსა და ტიტველ ფეხებსლა მოვკარი თვალი.

დიღზიმ აკვანი გააწყო. გახადა ბავშვს და ჩააწვინა. მამამ რომ შემოიყვანა შინ, მას შემდეგ არ გაუღვიძია.

— სულ მალე იძხელა იქნება, აღარც ჩაეტევა. — თქვა დიღზიმ, — ესეც ასე. მეც ჩემთვის აქვე დავიგებ, გვერდით ოთახში, და თქვენ ლამე აღარ შეწუხდებით.

— მაინც არ დამეძინება, — უთხრა დედამ, — შინ წადი. მე მოვუვლი. სანანდის კი შევძლებ, მთელ ჩემს სიცოცხლეს ამ ბავშვს ვანაცვალე, ბედნიერებაა ეს ჩემთვის. ოღონდ კი დავიცვა...

— ჩუმიად იყავით ახლა, — მიუგო დიღზიმ, — ჩვენც არაფერს მოვაკლებთ ამ გოგოს. შენც წადი და დაიძინე, — მომიბრუნდა დიღზი, — ხვალ სკოლაში უნდა წახვიდე.

წამოვედი, და დედამ დამიძახა, თავზე დამატირა:

— ჩემო ერთადერთო იმედო. ყოველდამ ღმერთს მადლობას ვწირავ, შენ რომ მყავხარ ქვეყანაზე.

ვსხედვართ და ველოდებით, ვინემ გვეტყვიან, უკვე დროაო. დედამ ჩამჩურჩულა, ქმარი დავკარგე, მაგრამ შენ რომ დამრჩი და არა კვენტინი, ღვთის მადლობელი ვარო. მადლობა ღმერთს, კომპსონი არა ხარ, კიდეც კარგი, შენ დამრჩი და მორიო. მაშინ ვუთხარი, ნუ თუ მკითხავთ, ბიძიას როგორმე არ შევეაწუხებდი-მეთქი. ხოდა, ეს კაცი წავ ხელთათმანიან ხელს უსვამს დედას ზელზე, რადაცას ბუტბუტებს. ხელთათმანი მაშინდა წაიძრო, როცა მიწის მისაყრელად ნიჩაბი მისცეს. თითქმის ყველაზე წინ იდგა საფლავთან, ყველა აქ მყოფის თავზე ქოლგები ეჭირათ, ესენი კი დროდადრო ფეხს დააბაკუნებდნენ, ლაფის მოცილებას ცდილობდნენ, ძლივს შორდებოდა ტალახი ნიჩბებს და ყრუდ ცვიოდა კუბოს საბურავზე. ეტლთან რომ გამოვბრუნდი, თვალი მოვკარი, რომელიღაც საფლავის ქვას ამოფარებულ ბიძაჩემს. ბოთლი მარცხენა პირზე. მგონია, ეს კაცი ამ ბოთლს აღარ მოწყდება-მეთქი, ასე გავიფიქრე. ახალი კოსტიუმი მეცვა და, კიდეც კარგი, ბევრი ტალახი არ აეკრა ბორბლებს. დამინახა დედამ და შიამხა, კიდეც როდისღა ეღირსებოო ახალ კოსტიუმს, შეილო. შორი ბიძიამ კი დაამშვიდა, კარგი, კარგი. მაგისი დარდი ნუ გექნება, სულმუდამ გახსოვდეს, მე შენთან ვარო.

შართლაც, სულ ჩვენთანაა. სწორედ მისია ეს მეოთხე წერილი. გახსნაც არა ღირს, ისედაც ვიცი, რაც წერია და მის წერილებს თავდაც დაეწერდი

წაუკითხავად, ანდა სულაც სიტყვასიტყვით ვეტყვოდი დედაჩემს ზებირად, ათ დოლარსაც დავუძაბებდი და ეჭვიც აღარ შეეპარებოდა. მაგრამ აი, ეს მესამე მე წერილი კი რაღაც არ მომდის თვალში. გული შეუბნება, ნამდვილად კიდევ რაღაც თინს მიწყობს ეს ქალი. ჭკუაზე კი მოვიყვანე იმთავითვე, მივახვედრე, მაძამისს კი არ ჰგავს ესო, სულ სხვა ჯიშისააო. საფლავი რომ ვეძებო, და ზედ მიწაც მოაჭურეს, დედას ისევ წასკდა ცრემლი, რაღა თქმა უნდა. მორი ბიძიამ ხელი მოკიდა, ეტლში ჩასვა და წაიყვანა. ასე მითხრა, შენ ვინმეს გამოყვები, ახლა ყველა წამოგიყვანს, შე დედაშენი უნდა მივაცილოთ შენ. კინალამ ვუთხარი, შეცდით ნამდვილად; ერთი კი არა, ორი ბოთლი უნდა წამოგველოძეთქი. მაგრამ დროზე გამახსენდა, სადაც ვიყავი, და ისე წავიდნენ, აღარაფერი მოთქვამს. იმისი დარდი არა აქვთ, წვინა მხრებზე რომ გადამდის, სამაგიეროდ დედაჩემი გულს მოიოხებს წუწუნით, გაითუ ჩემს ჯეისონს ფილტვების ანთება დაემართოსო.

გავიფიქრე ეს და გავიხედე იქით; ტალახიან მიწას ყრიან, წუწუბე წურწურით ზოდის, გეგონება, რაღაცის დუღაბს აყვებენ ან თითქოს ყორე ამოტყავთო. ცოტა კი ამეშფერა გუნება და გავიფიქრე. მორი, გავავლი-მეთქი მაგრამ ქალაქის გზას თუ დავადგები, წამომეწევიან, აღარ მომეშვებიან და ვინმეს გამაყოლებენ, ანიტომ უკან, ზანკების სასაფლაოსკენ გავსწიე. კედრებს შევაფარე თავი. იქ ისე აღარ იტანდა წვიმა და კიდევაც დავინახავდი, როდის მორჩებოდნენ და წავიდოდნენ. მალე აღარავინ დარჩა, წუთი შევიცადე და მეც გამოვედი.

ბილიკს ვაყუევდი. ირგვლივ სველია ბალახი და ყიდრე საფლავს არ მივატანე, არც დამინახავს იგი. დგას, შავი საწვიმარი მოუსნამს, ჩაბურებს ქვა-ვალებს. იმ წუთის ვიცანი, ვინც მთვრილადებოდა, შემომხედავდა და პირბადეს აიწვევდა.

— გამარჯობა, ჯეისონ. — მითხრა და ხელი გამომიწოდა. მეც მივესალმე.

— შენ აქ რა გინდა? — ასე ვკითხე. — პირობა ხომ არ დავგიწყებია, აღარ დაებრუნდებიო, ხომ თქვი. აგრე თუ დაკარგავდი ჭკუას, არ მეგონა.

— ჰო? — თქვა და ყვავილებს დააცქერდა კვლავ. თრმოცდიათი დოლარისა მაიხც იქნებოდა დაყრილი. ვილაცას კვენტინის საფლავზეც დაედო თაიგული. — რათ, რა თქვი? — ჩამეკითხა.

— თუბცა შენ რას გამოიკვირებ. — მივუგე მე. — ყველაფერი სულ ერთია შენთვის. არავინაც არ გადარდებს. თუნდაც ჯანდაბანიაც წავსულუარო, არა?

— ჰოო, — ასე მიიძრა. — შენს სამსახურზე ამბობ. — საფლავს დახედა. — თავადაც მწყინს ეს ამბავი, ჯეისონ.

— გეტყობა კიდევაც. — ვუთხარი, — რაღაც ძალიან ენამოჭარგული გახდი. მაგრამ ახლ ტაუილად შეწუხდი და ჩამოხვედი. გასაყოფი აღარაფერი დარჩა. ჩემი თუ არ გჯერა, ბიძია მორის ჰკიობზე, აუ გინდა.

— მე არც არაფერი მინდა, — მიპასუხა. საფლავს დახედა. — რად არ შემატყობინეთ? — ძისაყუედურა, — შემთხვევით ვნახე გაზეთში, სულ ბოლო გვერდზე. სრულიად შემთხვევით.

აღარაფერი ნითქვამს. ვდგავართ და საფლავს დავყურებთ. გამახსენდა მერე, პატარები რომ ვიყავით და კიდევ სხვა ამბები წამომავიწყდა. ისევ ამემ-

ღვრა გუნება, ბოლმა თუ რაღაც ამდაგვარი მომაწვა ყელში, მორი ბიძია ახლა სულ ჩვენთან იქნება და იმას გააკეთებს, რასაც მოისურვებს, როგორც ამ წყობაში დაძაგლო და შინ მარტოკა უნდა წავიდე-მეთქი. ვეუბნები.

— ჩვენზე დარდით აღარა ხარ, ხომ იცი. მოკვდა თუ არა, იმ წუთის აქ ვაჩნდი. მაგრამ ველარაფერს გამოგვრჩები. გგონია, ესაო და ახლა ამ ამბის შესდეგ შინ დაბრუნება შეძლიაო, არ გინდოდა ცხენითაო, მაშ იარე ფეხითაო. ეს თუ იცი, რომ შენს სახელს ვერავინ ახსენებს ჩვენს ოჯახში?—ვეუბნები, — თუ იცი-მეთქი? შენ, ის და კვენტინი ვინ იყავით, ჩვენ არც კი უნდა ვიცოდეთ, — ვეუბნები, — თუ იცი-მეთქი?

— ვიცი, — მიპასუხა, — ჯეისონ, — საფლავს ჩასცქერის, — თუ მომიხერხებ და ჩემს გოგოს ერთი წუთით მაინც მაჩვენებ, ორმოცდაათ დოლარს მოგცემ.

— მერედა, სადა გაქვს ორმოცდაათი დოლარი, — მივუგე მე.

— თუ მომიხერხებ-მეთქი, — არც კი მიყურებს.

— აბა ჯერ მაჩვენე, — მე ვუთხარი, — შენ ორმოცდაათი დოლარი არ ვექნება.

საწვიმარში შეაცურა ხელი და მერე აუარება ფული დავუნახე, ყვითელიც ერთი ორი თუ სამი.

— ფულს ისევ გიგზავნის? — ვკითხე, — მაინც რამდენი იქნება?

— ასსაც მოგცემ, — მითხრა მან, — ოღონდ მომიხერხე.

— ერთი წუთით მხოლოდ, — მე ნივუგე, — და თან ისე, როგორც მე ვეტყვი, არადა ათას დოლარადაც ვერ გაჩვენებ, ვაითუ დედამ გაიგოს.

— კო, — დამეთანხმა, — როგორც შენ მეტყვი, ისე ვიზამ. ერთი წამით შეეხედავ. მეტს აღარაფერს გთხოვ და ხმასაც არ ამოვიღებ. ვნახავ და წავალ მაშინვე.

— აბა ფული მომეცი, — მე ვუთხარი.

— ფულს მერე მოგცემ, — ასე მითხრა.

— რაო, არ ნენდობი? — ჩავეკითხე.

— არა, — მომიგო მან, — კარგად გიცნობ, მეც შენთან ერთად გავიზარდე.

— ერთი უყურე, ნდობაზე ვინ შელაპარაკება, — ვაქვი მე, — აბა ნახვამდის, ისედაც სველი ვარ, — ვითომ და წასვლა დავაპირე.

— ჯეისონ, — მომაძახა. შევჩერდი.

— დიახ, ბატონო? აბა ჩქარა, ისედაც სველი ვარ-მეთქი.

— კარგი, აგრე იყოს, — მითხრა, — გამოშარავი. — ირგვლივ არავინ ჩანდა. მივედი და ფულს ხელი ვტაცე, ის კი არ უშვებს. — ხომ მომიხერხებ? — პირბადიდან შემომცქერის, — არ მომატყუებ?

— ხელი გაუშვი, — მე ვუთხარი, — ვიდრე ვინმე არ მოსულა და არ დავუნახივართ.

გაუშვა ხელი და ფული ჩიბეში ჩავიდე. — ხომ მომიხერხებ, ჯეისონ? — შემეხვეწა, — შენ იმიტომ გთხოვ, რომ სხვა გზა არა მაქვს.

— შართალს ამბობ, მეტი გზა არც გაქვს, — მივუგე მე, — არ მოგატყუებ. გითხარი და კიდევაც აგისრულებ. მაგრამ როგორც მე ვეტყვი, ისე უნდა მოიქცე, იცოდე.

— პო, კარგი, — მითხრა მან, — აგრე ვიზამ. — დავარიგე, სადაც უნდა მოვცა და ქალაქის საჯინიბოებისკენ გამოვსწიე. მივირბინე და ვხედავ, ცხენი ეტლიდან ეს-ესაა უნდა გამოხსნან. გადახდილია-მეთქი? ასე მივაძახე იმათ. არაო, მიპასუხეს. მაშინ მე ვუთხარი, ქალბატონ კომპსონს რაღაც დავერწმუნო და ეტლი ცოტა ხნით კიდევ სჭირდება-მეთქი. წამოვიყვანე. მინკი ზის კოფოზე. სიგარა ვუყიდე და დალამებამდე ბნელ და უკაცურ ქუჩებში ვიარეთ, ველარავინ დაგვიხახავდა. მერე მინკმა მითხრა, ახლა უნდა დავბრუნდეთ. კიდევ ერთ სიგარას გიყიდი-მეთქი, შეეპირდი. ჩვენს სახლს უკანა მხრიდან მოვუარეთ, ჩამოვხტი და ეზოში შევედი. კარი გავაღე და მაღლიდან ჩამომესმა დედაჩემისა და შორი ბიძიას საუბარი. გამოვტრიალდი, ბავშვი სამზარეულოში იყო დიღზისა და ბენტან ერთად. გამოვართვი ჩვილი დიღზის, დედაჩემს უნდა ნახოს-მეთქი, და ისევ შევედი სახლში. ბიძია შორის საწვიმარი ეკიდა იქვე, ბავშვი გავახვიე და იმ წუთას ეტლით გამოვედი. აბა ჩქარა სადგურზე-მეთქი, გავძახე მინკს. საჯინიბოებთან ახლა ვერ ჩავივლიო, შეეშინდა, ასე რომ სხვა გზით უნდა მივსულიყავით იქ. მივედით და ვხედავ, დგას იქვე, ფარნის ახლოს ატუხული ქუჩის კუთხეში. მინკი ასე დავარიგე, იქით მიუბვიე, და როცა გეტყვი — გარეკე, რაც შეგიძლია გარეკე-მეთქი. საწვიმარი შემოვსენი ბავშვს და სარკმელში გავახვედი. კედიმ მოჰკრა თუ არა თვალი, ჩვენკენ გამოფრინდა-მეთქი, ასე მეგონა.

— აბა გარეკე, მინკ! — გავძახე. მინკმა გადაჰკრა მათრახი და კარგ სახანროს მახჭახასავით ჩავუქროლეთ კედის. — აბა ახლა პირობა არ დავაფიწყდეს და მატარებელში დაჯექი, იცოდე, — დავუხვირე. ვხედავ უკანა სარკმელში, მოგვადევს. — გარეკე, გარეკე-მეთქი, — ვეუბნები მინკს, — შინ უნდა მივიდეთ. — მოსახვევში გავედით და ის მაინც მოგვდევს.

საღამოს ისევ გადავითვალე ფული და შევიინახე, ცოტა მოვედი გუნებაზე. გულში ვამბობ, ხომ გიჩვენე-მეთქი სეირი, კარგია, ჭკუას ისწავლი. დამაკარგვისა სამუშაო და ვითომც არაფერიო. რას ვიფიქრებდი, სიტყვას გატეხდა და მატარებელს არ გაჰყვებოდა. ქალების ამბავი მაშინ არ ვიცოდი; იმათი სიტყვა და საქმე ერთი მეგონა. მეორე დილას, ღმერთმა დასწყევლოს, პირდაპირ მაღაზიაში მომადგა. კიდევ კარგი, ჭკუა ეყო, პირბადე ჩამოეშვა და ხმაც არავისთვის გაუცია. შაბათი დილა იყო, მარტოკა ვხივარ უკანა ოთახში მაგიდასთან და იქ შემოვიდა.

ტყუილების, ტყუილების გუდაო, მომადახა.

— ხომ არ გაგიყდი, — მე ვუთხარი. — გულში რა ჩავიდვია? აქ რამ მოგიყვანა? — რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა ჩავაწყვეტინე. ვეუბნები, — ერთხელ ხომ უკვე დამაკარგვინე სამუშაო, გინდა აქვდანაც გამავლონ? თუ რამე სათქმელი გაქვს, საღამოს შემხვდი სადმე. ან კი რა უნდა მითხრა? — ვეუბნები, — რაც დავპირდი, ხომ აგისრულე? წამით გაჩვენებ-მეთქი, ხომ გითხარი? მეტა რა ვინდა? — დგას და მომჩერებია, კანკალს აუტანია ცხროიანით, მომუჭული ხელები უცახცახებს. — სიტყვის კაცი ვარ მე. ვუთხარი, — მატყუარა შენ ხარ. მატარებელი უშენოდ წავიდა, ხომ დამპირდი, დამპირდი თუ არა? ხომ არ გგონია, ფულს დაიბრუნებ, ვერ მოგართვი, — ვეუბნები, — ათასი დოლარიც რომ მოგეცა, მაინც ვალში დამრჩებოდი. სასწორზე შევაგდე თავი შენი გულისთვის. მე-17 ნომერი მატარებლის მერე ამ ქალაქში თუ დავინახე ან თუ გავიგონე, აქ არისო, — ვეუბნები, — მაშინ დედასაც ვეტყვი.

მორი ბიძიასაც და იმ ბავშვს შენს დღეში ვერ ნახავ. — დგას და შემომცქერის, ხელები ერთიმეორეზე გადაუჭდვია.

წყევლო, წყევლო, იახნია.

— ჭკუით იყავი, — გავუმეორე, — მართალს გეუბნები, მე¹⁷ მატარებელი არ დაგავიწყდეს, თორემ ხომ იცი!

წავაღა და გუნება გამომიკეთდა. გულში ვაჩნობ, ახლა მაინც მოხვალ ჭკუაზე და კაცს არ დააკარგვინებ-მეთქი შეპირებულ სამუშაოს. მაშინ ხომ მთლად გამოუცდელი ვიყავი. მათი სიტყვა და საქმე ერთი მეგონა. მერე კი ვისწავლე ჭკუა. დაუბმარებლადაც გავალ ფონს, ახალი ამბავი არ არის ეს ჩემთვის. მერე უცებ დიღზი და მორი ბიძია მომაგონდა. დიღზის სულ იოლად გადარიბირებს ეს გოგო და ბიძია მორი ათი დოლარისთვის რას არ გააკეთებს. მე კი იმ მაღაზიიდან ფეხი ვერ გამომიდგამს და საკუთარ დედას რას დავიცავ. ხომ სითხრა კიდევაც, შვილის დაკარგვა თუ მეწერა შუბლზე, მადლობა ღმერთს, შენ რომ დამჩხი, ჩემო იმედოო. მე კი მივუგე მაშინ, მართლაც შორს სად წავალ, თქვენს ახლოს, იმ მაღაზიაში უნდა დავჩრჩე, ვილაცამ ხომ უნდა უპატრონოს იმ მცირეოდენს, რაც კიდევ ოჯახში მოიპოვება-მეთქი.

ხოდა, შინ მივედი თუ არა, იმ წუთას დიღზის მივდექი. ვუთხარი, კეთროვანია-მეთქი ის ქალი, ბიბლია ავიღე და ერთი ამბავი წავუტკითხე, ცოცხლად როგორ დააღპო ერთი კაცი კეთრმა. თუნდაც რომ შემოგხედოს შენ ან ბენს, ან კვენტინას, თქვენც ასეთი შავი დღე დაგადგებათ-მეთქი. დამში მოყვანილი მეგონა ეს საქმე. მაგრამ ერთხელ დავბრუნდი შინ და ვხედავ — ბენი ღრიალებს, ჯოჯოხეთის ტრიალი იყო და ვერავის ჩაეჩუმებინა იგი. დედამ დაიძახა, წადი და ის ქოში მოუტანეო. დიღზის ვითომ არც გაუგონია. დედამ ისევ გასძახა და მე ვუთხარი, წავალ და მე მოვიტან, ოღონდ ეს სოდომ-გომორი მორჩეს-მეთქი. სწორედ ასე ვუთხარი, მოთმინება, იცოცხლე, კარგი ნაჭვს, ბევრს ამათგან არც მოველი. მაგრამ მთელი დღე იმ დაწყევლილ მაღაზიაში რომ ვაგდივარ, შინ მისულს ცოტა სიმყუდროვე მწყურია, სულდა-თქმულად მჩხდა ვისადილო. მე მოვიტან-მეთქი, ვუთხარი და უცებ დიღზიმ მოძაძახა — ჯეისონ!

ჟველაფერს მივხვდი იმ წუთას, მაგრამ გული უნდა შემეჭვრებინა და მაინც წავედი. მოვიტანე ქოში. მართალი ვიყავი, დაინახა თუ არა ქოში ამ ბიჭმა, თითქოს დანა გაუყარესო ყელში, ისე იჭყვირა. მოვდექი დიღზის და ჟველაფერი ვათქმევინე, მერე დედაჩემსაც ვუთხარი. ცუდად გაჩნდა, თავის ოთახში აეიყვანეთ და დავაწვინეთ. ცოტა ხნის მერე ჩაწყნარდა ეს ორომტრიალი და შავი დღე ვაყარე დიღზის, ღმერთის ვეშინოდეს-მეთქი. კი დაეცა თავზარი, რასდენსაც შეიძლება თავზარი დაეცეს ზანჯს. თავიდათავი ისაა, დიდხანს თუ იმსახურე ზანჯი, მეტიანეტად გაყოყოჩდება ხოლმე და მერე კაპიკია მისი ფასი. მთელ ოჯახში მე ვარ, რაც ვარო, ასე ფიქრობს.

— ნეტავი ვიცოდე, იმ გოგომ რომ თავისი შვილი ნახოს, ამით ვის რა დაუშავდება, — თქვა დიღზამ, — ბ-ნი ჯეისონი ცოცხალი რომ იყოს, ეს არ მოხდებოდა.

— ცოცხალი რომ იყოს, ეა — მე მივუგე, — ჩემს სიტყვას ვუროს რომ არ დაუგდებ, ეს კარგად ვიცი. მაგრამ დედაჩემის ნათქვამს ვერ გადახვალ, მგონია. მართლვებს თუ ასე აუშლი, იმასაც სული ამოხდება მალე და მერე ნაძირა-

ლებისა და მათხოვრების ბუნაგად გახდი ამ სახლს. შენ ერთი მითხარი, ეს წყვეული შერეკილი იმ გოგოსთან რად მიიყვანე?

— გულქვა კაცი ხართ, ჯეისონ, კაცი თუ გეტქმით საერთოდ. ასე მითხრა, — თუშცა შავკანიანი გავჩენილვარ, მადლობა ღმერთს, თქვენნაირი/გული არა მაქვს.

— მე ის კაცი ვარ, შენ რომ პურს გაჭმევს, — მივუგე, — მამაჩემი/მეცხელ იზამ არას და ულუკმაპუროდ დარჩები, იცოდე.

შემდეგ რომ ვნახე კელი, ასე ვუთხარი, დილზის დაიხმარ კიდეც და დედაჩემი კინწისკვრით გამოაგდებს ამ ქალს, ბენს ჯეკსონში გაგზავნის, თავად კვებტიხას წაიყვანს და აქედან გადაიკარგება-მეთქი. შემომცქერის ცოტა ხანს. კარგა მოშორებითაა ქუჩის ფარანი და ძლივსღა ვხედავ მის სახეს. მაგრამ კი ვგრძნობ, რა თვალეზი ექნება ახლა. პატარაობისას რომ მოვრეოდა ბრაზი და ველარაფერს გააწყობდა, ზედა ტუჩი აუკანკალდებოდა. ველარ დაიოკებდა ამ კანკალს და გამოუჩნდებოდა ზედა კბილები; თავად კი იდგა მთლად სახეგაქვავებული და ის ზედა ტუჩი სულ ზევით და ზევით მიიწევდა, ვინემ პთელი კბილები არ გამოუჩნდებოდა. მხოლოდ ეს მითხრა ამჯერად:

— კარგი, რამდენი მოგცე?

³⁰ ე. ი. ღნ ჰეთუეიმ, შექსპირის მეუღლემ.
³¹ „დეკამერონის“ გრიზელდა და „ოჯისეას“ პენელოპე მომთმენი, ერთგული, პატიოსა-
ნი ქალის სიმბოლოდ არიან ქცეული.
³² ე. ი. დედოფალ ელიზაბეთ პირველი.
³³ ეს ერთადერთი ანეგდოტია შექსპირის შესახებ, რომელიც მის სიცოცხლეშივე შე-
ითხზა. დიკ (რიჩარდ) ბერბიჯი — შექსპირის გმარების ცნობილი შემსრულებელი, თეატრ
„გლობუსის“ მსახიობი.
³⁴ პერიფრაზა შექსპირის „ციმბელინიდან“.
³⁵ შექსპირის სონეტების გმირის „შავგვრემანი ქალბატონის“ პროტოტიპის ერთ-ერთი
„კანდიდატურა“ მე-19 ს. შექსპიროლოგიაში.
³⁶ სენის მარჯვენა სანაპიროს ერთ-ერთი ქუჩა პარიზში.
³⁷ მეძავთან გამოლაპარაკების ფრაგმენტული ფრაზები: „კიდევ ოცი სუ“, „კა-
ტაჩა სასიძავლებით დაეტყებებით“, „ფისუნო?“, „გინდა?“ (ფრ.).
³⁸ გადმოცემის თანახმად, შექსპირს ოქსფორდელი მეფუნდულის ცოლთან შეეძინა დევი,
რომელიც შემდგომ გახდა ცნობილი დრამატურგი სერ უილიამ დავენენტი (1606—1668).
მინიმუმებულია აგრეთვე სერ ტობი ბელჩის რეპლიკა — „კანარის ღვინით სავსე კათხა“ — კო-
მედიიდან „ნეთორმეტე დამე“.

ბაკ მალიგანმა ღვთისმოსავნი თვალნი აღაპყრნა და ლოცვას მოხედა:

— ნეტარო მარგარეტ, მარიამ იადონელო!!³⁹

— და შვიდცოლიანი ჰარის ქალიშვილი⁴⁰ და სხვა მეგობარი ქალები მეზობელი ადგილებიდან, როგორც ლონ ტენისონი,⁴¹ ჯენტლმენის სფეროში, იტყოდან. მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რას აკეთებდა მთელი ამ ოცი წლის მანძილზე ფანჯრის კუბოკრულ მინას მოფარებული საბრალო პენელოპე? სტრეტფორდში?

დავტრიალდები და გავფრინდები⁴². დატრიალებულ ამბებთან დაკავშირებით. ჯერარდის⁴³, ბოტანიკოსის, ფეტერ ლენის ვარდნარში დასეირნობს, ჭაღარწითურთმიახი. მისი ძარღვებით ლაქვარდი ქარცხვი⁴⁴. იუნონას ქუთლთოები, იეპი⁴⁵. მისეირნობს. ერთხელ ვცხოვრობთ. ერთი სხეულია გვაქვს. ჰქენი. მამ ჰქენი. შორს სადღაც ენებისა და სიღუბჭირის სიშმორეში ხელები სიქათქათეს ეტანებიან.

ბაკ მალიგანმა ჯონ ეგლინტონის მაგიდაზე ხელი დაჰკრა.

— ვისზე გაქვთ ეჭვი?⁴⁶ გამომწვევად უკითხა მან.

— დავუშვათ, ის სონეტების უარყოფილი სატრფოა. ერთხელ უარყოფილი მეორედ უარყოფილი. მაგრამ სამეფო კარის ამაღლარამ ლორდზე გასცვალა, მისი გულის მურაზზე.

სიყვარული, სახელის გამხელას რომ ვერ ბედავს⁴⁷.

— თქვენ ვარაუდობთ, რომ როგორც ყოველ ინგლისელს, სიტყვა ჩართო ჯონ შეუბოვარმა ეგლინტონმა, მას უყვარდა ლორდი.

ძველი კედელი უეცარი ხვლიკები რომ გაიელვებენ. ჩარენტონში მინახავს.

— როგორც ჩანს ასეა, თქვა სტივენმა, რაკი უნდა რომ გაისარჯოს მისთვის, და ყველა დანარჩენი ყამირი საშოსათვის⁴⁸, წმინდა წესი. მეჯინიბე ულაყს რომ აუგებს. შესაძლოა, სოკრატესი არ იყოს, დედა ბებიაქალი ჰყავდა და ცოლი კი ჭირვეული⁴⁹. მაგრამ იმ ქარაფშუტა ქალს ცოლ-ქმრული აღთქმა არ გაუტეხია⁵⁰. ორი რამ აწუხებს აჩრდილის გონებას: გატეხილი აღთქმა და

³⁹ მალიგანის პართლიული ლოცვა მიმართულია ნეტარ მარგარეტ მერი აღასოგისადმი, რომელიც მოხსენებელია „ღუბლინელებში“ (მოთხრობა აკელინი“).

⁴⁰ „შვიდცოლიანი ჰარი“ მეფე ჰენრი მერვე, რომლის ასული იყო დედოფალი ელიზაბეთი.

⁴¹ ელფრიდ ტენისონს ჯონისი ხშირად მოხსენიებს როგორც ლონ ტენისონს, ბალახის ტენისონს („ლონ ტენის“) ანალოგიით.

⁴² ეტლიანის რეპლიკა „მაკბუტიდან“ (1, 3).

⁴³ ჯონ ჯერარდი (1545-1612) ინგლისელი ბოტანიკოსი, დედოფალ ელიზაბეთის ბაღების ზედამხედველი. არ არის გამოირიცხული, რომ მას შექსპირი პირადად იცნობდა.

⁴⁴ „კომპლინი“ ფრაზეოლოგია (4, 2).

⁴⁵ „ჩანთის ზღაპრის“ რეპინისცენცია (4, 4).

⁴⁶ ფრანგი ძველი ანეგლოტიდან: მოხუცი ოქსფორდელი მეგობარს უჩიარებს სიიარულს. იემი აბალგაზრდა ცოლი შეუბნება, ორსულად ვართ, რაზეც მეგობარი მიუგება: „ღმერთო დიდებულო, ვისზე გაქვთ ეჭვი?“

⁴⁷ ისეარ უაილდის გამოთქმა.

⁴⁸ შექსპირის მე-3 სონეტის ფრაზეოლოგია.

⁴⁹ შექსპირის ირავლიე არსებულ ლიტერატურაში არ არის ცნობა იმის შესახებ, რომ სოკრატეს დედის მსგავსად მერი არღენიც (შექსპირის დედა) ბებიაქალი ყოფილიყო.

⁵⁰ „ჰენრი მეფეკეთს“ (ნაწ. 1, 4, 7) და 157-ე სონეტის ფრაზეოლოგია.

გოხებაჩლუხგი ტეტია, ქალმა თანაგრძნობით რომ გააბედნიერა. გარდაცვლილი ქმრის ძმა, ტურფა ენს, ვფიქრობ, მხურვალე სისხლი ჰქონდა. ერთხელ ვინც აცდუნებს, მეორედაც აცდუნებს.

სტივენი უზრუნველად შემოტრიალდა სკამზე.

— ფაქტები ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს, თქვა მან და კოპები შეიკრა. თუ თქვენ უარყოფთ, რომ „ჰამლეტის“ მეხუთე სურათში მან ენი სამარცხვინო ბოძზე გააკრა⁵¹, მითხარით რატომ არც ერთხელ არ ახსენა იგი ოცდაათოთხმეტი წლის მანძილზე, მას შემდეგ რაც ენმა ქმარი შეირთო და იმ დღემდე, როცა იგი დაასაფლავა. ქალებმა ყველამ თავიანთი კაცები საფლავში გააცილეს. მერიმ თავისი ოჯახის ბურჯი ჯონი, ენმა თავისი საბრალო ძვირფასი უილი, ზედ რომ დააკვდა, თან გულზე სკდებოდა, იმაზე ადრე რომ მიდიოდა, ჯოანმა⁵² თავისი ოთხი ძმა, ჯუდიომა⁵³ თავისი ქმარი და ყველა ვაჟიშვილი, სუზენმაც თავისი ქმარი, იმ დროს, როდესაც სუზენის ქალიშვილი ელიზაბეთი, პაპამისის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორეს მითხოვდა, მას შემდეგ რაც პირველი მოკლა⁵⁴.

თუმცა, როგორ არა, ნახსენებია. იმ წლებში, როცა მდიდრულად ცხოვრობდა სატახტო ლონდონში, ენმა ვალის გასასტუმრებლად მამამისის მწყემსისაგან ორმოცი შილინგი ისესხა. მამ ამიხსენით, მისი გედის სიმღერაც ამიხსენით, რომელშიც მან იგი უკვდავყო.

მათ დუმალს თვალი გაუხსწორა.

რაზეც ეგლინტონმა:

გულისხმობთ ანდერძს.

ვგონებ იურისტებმა ყველაფერი კარგად განმარტეს. უფლება ჰქონდა მას მიეღო ქერივის ულუფა კანონის ძალით. უილი კანონს კარგად იცნობდა, გვეუბნებიან მოსამართლენი.

ღვარძლიანად ეტყვის სატანა,
გამკილაგი:

გამოსტოვა ამიტომ ცოლია

საბელი თავდაპირველ ვარიანტიდან, თუმცა კი არ გამოჩნებოდა საჩუქრები შვილიშვილიათვის, ქალიშვილთათვის, დისათვის, ძმაკაცებისათვის სტრეტფორდიდან და ლონდონიდან. და როცა იგი აიძულეს, ასე მგონია, ცოლი მაინც მოეხსენებინა, მან დაუტოვა მას ნაკლებხარისხოვანი საწოლი

⁵¹ იგულისხმება „ჰამლეტი“ (1, 5), სადაც აჩრდილის სიტყვებიდან ნათელი არ არის გერტრუდი და კლავდიუსის კავშირი მეფის მოკვლაზე.

⁵² ჯოან პარტი—შენსპირის და გარდაიცვალა 1646 წ.

⁵³ ჯუდიომა, შექსპირის უმცროსმა ასულმა, „თავის ქმარზე: ვაჟიშვილებზე და დაზე დიდხანს იცოცხლა“ (სიდაჰ ლი).

⁵⁴ მსახიობი-დედოფლის სიტყვების პარაფრაზი („ჰამლეტი“, 3, 2. ქართულ თარგმანში განსხვავებული ფრაზეოლოგია).

Punkt 56

უანდერძათავისი
ნაკლებხარისხოვანი
თავისნაკლებსაწოლი
ხარისხსაკლებთვანი
უანდერძასაწოლი 56.



ტრრრ!

— სოფლებს ძაშინ ცოტა მოძრავი ქონება ჰქონდათ, შენიშნა ჯონ ეგლინტონმა, კაცმა რომ თქვას, როგორც ახლა, თუ ჩვენს გლეხურ პიესებს დაეჭვრება.

— მდიდარი შემამუღე იყო, თქვა სტივენმა, საგვარეულო გერბითა და მამულით სტრეტფორდში და სახლით აირლენდ იარდში, კაპიტალისტი აქციონერი, საზოგადო მოღვაწე, ფერმერი. რატომ არ დაუტოვა ცოლს საუკეთესო: საწოლი თუ სურდა დარჩენილი ღამეები მშვიდად ჩაეხვირინა?

— სრულიად აშკარაა, რომ იყო ორი საწოლი, საუკეთესო და ნაკლებ ხარისხიანი, დაასვენა ბატონმა ნაკლებხარისხოვანმა ბესტმა.

— Separatio a mensa eta thalamo 57, შეასწორა ბაკ მალიგანმა და ღიმილიც დაიმსახურა.

— ანტიკურობა მოიხსენიებს ცნობილ საწოლებს, დაიძინა ხარისხნაკლებთვანი ეგლინტონი, თან ნაკლებიღიმებოდა. მოიცათ, მოვიგონო.

— ანტიკურობა მოიხსენიებს იმ სტაგირელ მოწაფეს და ქაჩალ წარმართ ბრძენს, თქვა სტივენმა, რომელიც გადასახლებაში სიკვდილის წინ ათავისუფლებს და ასაჩუქრებს თავის მოწიებს, საკადრისს მიუზღავს თავის მოხუცებს, მოიხურვებს გარდაცვლილი ცოლის ძვლებს მიუწვეს მიწაში და მეგობრებს დაუბარებს კარგად მოექცნენ მია ძველ სატრფოს (ნუ დავივიწყებთ ნელ გვინ ჰერპილისს) და ნება დართონ მის ვილაში იცხოვროს 58.

— თქვენ გიხდათ თქვათ, რომ ასე მოკვდა? იკითხა ბატონმა ბესტმა ოდნავი შემფოთებით. მე უნდა მეთქვა...

— გაღმოსილი მთვრალი მოკვდა 59, დააგვირგვინა ბაკ მალიგანმა. ერთი კვალიც ლუღი მეფის ულუფაა. ო, უნდა გითხრაო რას ამბობს დაუდენი 60.

— რას? იკითხა ბესტეგლინტონმა.

56 „წერტილი“ (გერ.).

57 შექსპირის ანდერძის ირგვლივ ქოხის დროს ღიმი ცამათა იყო. ვარაუდობდნენ, რომ ჩვენამდე შემორჩენილი ვარიანტია გარდა, არსებობდა კიდევ პირველი რედაქციაც რომელიც ცოლი საერთოდ არ იყო მოხსენებული.

58 „მავიდასთან და საწოლ თაბთან განშორება“ (ლათ.).

59 არისტოტელეს ანდერძის ამ პაროდულულ გადმოცემაში ჯონის ცურდნობა დიოდონე ლაერტიუსის თხზულებას „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებანი“. ჩართული წინადადება „ნუ დავივიწყებთ ნელ გვინ ჰერპილისს“ რთული პაროდული ნაწილია: ნელ გვინი იყო მსახიობი და მეფე ჩარლზ მეორის საყვარელი. ამბობენ, სიკვდილის წინ მეფემ თავის ძმას დაუბარა: „საბრალო ნელის ულუკმაპუროდ ნუ დატოვებთ“. არისტოტელეს ხასია ჰერპილესაც (ან ჰერპილისს), ანდერძის თანახმად, უფლება ეძლეოდა თავისი პატრონის ერთ-ერთი სახლი აერჩია.

60 გადმოცემის მიხედვით, შექსპირი აყად ვახდა და გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ლონდონიდან ჩამოსულ მეგობარ დრამატურგებთან დრეიტონთან და ბენ ჯონსონთან ერთად იჯდოდა.

61 ედუარდ დაუდენი (1843 - 1913) — დუბლინის სამეცნიერო კოლეჯის ინგლისური ლიტერატურის პროფესორი, ცნობილი შექსპიროლოგი.



უილიამ შექსპირი და კომპანია⁶¹. სახალხო შექსპირი⁶². ცნობებისათვის მიმართეთ: ე. დაუდენი, ჰაიფილდ ჰაუზ...

— შესანიშნავია! ვნებიანად ამოიოხრა ბაკ მალიგანმა. შექსპირის რას ფიქრობდა პედერასტობის ბრალდებაზე, მგოსანს რომ წაუყენეს მისი სტუდენტი ასწია და თქვა: მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების დონე მეტად მაღალი იყო იმ დროს. შესანიშნავია!

თუქსუსი.

— სილამაზის შეგრძნება გზა-კვალს გვირევს⁶³, უთხრა სევდით დამშვენებულმა ბესტმა უგვან ეგლინტონს.

უდრეკმა ჯონმა მკაცრად მიუგო:

— ეჭიშს შეუძლია აგვიხსნას თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები⁶⁴. არ შეიძლება თან ფლანგო შენი სიჭაბუკე და თან ჭაბუკი დარჩე.

ასე ამბობ? წაგვგლეჯავენ ჩვენ, მე პირველობას სილამაზეში?⁶⁵

— და საკუთრების შეგრძნობა თქვა სტივენმა. მან შაილოკი თავისი დიდი ჯიბიდან ამოაძვრინა. ალაოთი მოვაჭრისა და მევახშის შვილი თავად იყო ხორბლით მოვაჭრე და მევახშე⁶⁶, სამას გირვანქამდე ხორბალი რომ ჰქონდა გადასალული შიმშილობის დროს. მისი მოვალეები უთუოდ ის წარჩინებული ადაბიანები არიან, ჩეტლ ფოლსტაფი რომ ახსენებს⁶⁷, როცა მის პატიოსნებაზე ლაპარაკობს. მან სასამართლოში უჩივლა ამხანაგ მსახიობს რამდენიმე ტომარა ალაოს გულისთვის და ყოველ გასესხებულ თანხაზე თავის პროცენტს, გირვანქა ხორცს⁶⁸, იღებდა. აბა მაშ როგორ გამდიდრდებოდა ასე უცებ ობრის მეჭინბე და მოკარნახის თანამემწე⁶⁹ ყველაფერი მის წისქვილს ასხამდა წყალს. შაილოკის ამბავი ეხშიანება ებრაელთა დევნას, რაც დედოფლის აქიძის ლოპეზის ჩამოხრჩობასა და თავ-ფეხის მოკვეთას მოჰყვა, როცა მას ებ-

⁶¹ ჯონის „ულისე“ პირველად გამოაქვეყნა ბუკინისტმა სილვია ბიჩმა თავისი წიგნის ძალაში სახელით: „შექსპირი და კომპანია, ოდონის ქუჩა, 12, პარიზი“.

⁶² დაუდენს ერთ-ერთი ძირითადი თემაა „შექსპირის ხალხურობა“.

⁶³ ოსკარ უაილდის ცნობილი აზრი შექსპირის შესახებ („ის სილამაზის შონა იყო“).

⁶⁴ იგულისხმება ზიგმუნდ ფროიდი.

⁶⁵ ე. ი. ანტონიონს მკაცრად, რომელმაც პირველობა სილამაზეში წაართვა ელდინს და შენელოპეს გადასცა, ფროიდი და ფსიქოანალიტიკოსები ხელოვანს წაართმევენ სილამაზეს და მორალისტს გადასცემენ.

⁶⁶ ჯონის დროინდელ შექსპიროლოგიაში მსჯელობდნენ შექსპირის მევახშეობის თაობაზე. ევრდნობოდნენ პროცენტებით ფულის გასესხების ფაქტებს, მაგრამ მსგედველობაში არ იღებდნენ იმას, რომ ეს ფულის სესხების სრულიად ბენეზირი და ერთადერთი წესი იყო შექსპირის დროს.

⁶⁷ სტივენსი „ჩეტლ ფოლსტაფს“ ბენი ჩეტლს უწოდებს, რომელმაც გამოაქვეყნა რიბერტ გრინის სარკასტული გამოთქვაში შექსპირის შესახებ („ერთადერთი სცენის მრჩეველი“) და სამხ თვის შემდეგ კი ბოდიში მოიხატა ამის გამო.

⁶⁸ შაილოკი სასამართლოზე ამტკიცებს („გენეციელი ვაჭარი“), რომ ანტონიოს თავისი სხეულიდან ერთი გირვანქა ხორცი მართებს მისი, რადგან ასეთი იყო პირობა, თუკი ანტონიო დროზე ვერ გადაუხდიდა ვალს. „გირვანქა ხორცი“ უსულგულო მევახშეობის გამომწამდ იქცა.

⁶⁹ ჯონ ობრი (1626—1697) ანეგდოტების კრებულში იძლევა ზოგიერთ ცნობას შექსპირის შესახებ, რომელიც უნდა იყოს შემთხვევაში არ დასტურდება ფაქტებით. ობრის ცნობით, მაგალითად, შექსპირის მამა ყალბი იყო, თვითონ უილიამი თეატრში ჯერ მეჭინბედი მოეწყო. ხოლო შემდეგ მოკარნახის თანამემწედ შეშობდა და სხვა.

რაული გული ამოგლიჯეს, თუმცა კი ურია ჯერ ეოცხალი იყო⁷⁰; „ჰამლეტი“ და „მაკბეტი“ შოტლანდიელი ვაი-ფილოსოფოსის გამეფებას მოჰყვა, რომელსაც კუდიანების შებრაწვის უინი ჰქონდა⁷¹. „სიყვარულის სამარცხებში“ დაძარცხებულ არმადას დასცინის⁷². მისი ისტორიული დრამების მსოფლიო ხომალდები ექსპანსიონისტური შოვინიზმის აზვირთებულ ტალღებზე მისცურავენ⁷³. უორიკშირელ იეზუიტებს ასამართლებენ და აი მეკარის თრ-აზროვნების თეორია⁷⁴. „ზღვაოსანი“ ბერმუდიდან შინ ბრუნდება და იწვრება პიესა, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა რენანი და რომელშიც გამოყვანილია ირლანდიელი იმიგრანტი კალიბანი, ჩვენი ამერიკელი ბიძაშვილი⁷⁵. დაშავებული სონეტები სიდნის სონეტებს მისდევს⁷⁶. რაც შეეხება ფერია ელიზაბეთს⁷⁷, ანდა სხვანაირად წითურ ბესს, უხამს ჭალწულს, რომელმაც შთა-აგონა დაეწერა „უინძორელი მხიარული ქალები“, დე რომელიმე მაინჰერი გერძახიდან მთელი სიცოცხლე იქექებოდეს ჭუჭყიანი საცვლების კალათაში ღრმად ჩამალული მნიშვნელობის მოსაძებნად⁷⁸.

სე მგონი კარგად გამოგდის. ახლა თეოლოლოგიკოფილოსოფიური მიქსტურა შეურიე. *mingo, minxi, mictum, mingere*⁷⁹.

— დაძიბტკიცეთ, რომ ებრაელი იყო, გამომწვევად თქვა ჯონ ეგლინტონ—

⁷⁰ ელიზაბეთის ვარის ექიმი ებრაელი რომანოვო ლოპეზი ლელატისათვის ჩამოაბრჩეს, რასაც ლონდონში ანტისემიტების ახალი ტალღა მოჰყვა. „გულის ამოგლიჯვა“ არც ერთ წყაროში არ მოხსენიება.

⁷¹ დედოფალ ელიზაბეთის მემკვიდრე, მის შვირ სიკვდილით დასჯილი შერი სტიუარტის ელიზაბეთი ჯეიმზ პირველი გატაცებული იყო ჯადოქრობისა და ყოველნაირი სასწაულმოქმედების შეაწაულით. არსებობს ვარაუდი, თითქოს „მაკბეტი“ კუდიანებისა და მათი წინასწარმეტყველების სურათები დრამატურგმა შოტლანდიელი ჯეიმზის საამებლად შეეთხზას.

⁷² იგულისხმება კომედიური პერსონაჟის დონ აურიანო დე არმადოა სახე ამ კომედიაში.

⁷³ ექსპანსიონისტული არმადის დამარცხების შემდეგ ინგლისში ეროვნული თვითშეგნება კიდევ უფრო ამაღლდა და განმტკიცდა.

⁷⁴ უორიკშირელი იეზუიტი პენრა ვარნეტი ტახტის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის გაასამართლეს. საასამართლო პროცესზე იგი ფიცის გატეხას ანართლებდა (ივანდა ე. წ. „თრ-აზროვნების დოქტრინას“), თუკი ეს „ღმერთის განდიდებისათვის იყო ააჭირო“. „მაკბეტში“ მეკარე ამბობს: „უთუოდ ეს სიტყვების ოსტატაა, რომელიც ფიცით სასწოროს საითაც უხდა, იქით გადასწევს. ეს სულ ღვთის სახელით ავსაცობდა, მაგრამ ღმერთთან მათსაც არ მიუშვეს“ (2, 3, თარგ. ი. მანაბლას).

⁷⁵ შექსპირის „კალიბანო“ საფუძვლად დაედო ბერმუდის ენციკლოპედია 1609 წ. დაკარგული ხომალდის „ზღვაოსანი“ ეკიპაჟის თავგადასავალი. პიესის პერსონაჟი ეგლერი კალიბანო შედარებულია მე-19 ს.-ში გაგრცელებულ ირლანდიელი იმიგრანტის კარიკატურასთან. „ამერიკელი ბიძაშვილი“ ინგლისელი დრამატურგია და ჟურნალისტი ტომ ტვილორის პიესაა.

⁷⁶ შექსპირის სონეტებს „დაშავებული სონეტები“ გამომცემელმა ფრანსის მიერესმა უწოდა.

⁷⁷ მინიშნებულია ედმუნდ სპენსერის ალეგორიული პოემა „ფერიონა დედოფალი“.

⁷⁸ გადმოცემის თანახმად, შექსპირმა „უინძორელი მხიარული ქალები“ დედოფალ ელიზაბეთის დაკვეთით დაწერა. „მაინჰერი“ („მაინ ჰერ“—ბატონო ჩემო, გერმ.) გერმანულენოვან პედანტ მკვლევარს გულისხმობს, რომელმაც უნდა გაარკვიოს ფოლსტაფის ხელმეორედ გამოჩენის საიდუმლოება (პირველად იგი „ჰენრი მეოთხეში“ გამოყვანილი). „უინძორელი მხიარულ ქალებში“ ფოლსტაფს ჭუჭყიანი საცვლების კალათაში სვამენ და ტემზაში გადაისვრიან.

⁷⁹ ზმნა „მომარდევს“ უფლილება (ლათ.).

მა, თან სმენად იქცა. თქვენი ღეკანი ამტკიცებს მართლმორწმუნე კათოლიკე იყო ⁸⁰.

Sufflaminaudus sum ⁸¹.

— გერმანიაში, უპასუხა სტივენსა, იგი იტალიური აყალმაყალების ს. ს. ხელოვან ფრანგ შემლამაზებლად იქცა ⁸².

— მირიადგონიანი კაცი, გონი მოიკრიფა ბატონმა ბეჭეჭვიცხუცხუმა უწოდა მირიადგონიანი.

Amplius. In societate humana hoc est maxime necessarium ut sit amicitia inter multos. ⁸³

— წმიდა თომა, დაიწყო სტივენმა...

— Ora pro nobis ⁸⁴, დაიგმინა ბერმა მალიგანმა და სავარძელში ჩაიძირა.

იქიდან საზარელი ხნით მოჰყვა მოთქმას.

— Pogue mahone! Acushla machree! ⁸⁵ ახლა კი დავიღუბეთ! ნამდვილად დავიღუბეთ! ⁸⁶

ყველამ თავისი ღიმილით გაიღიმა.

— წმიდა თომა, სტივენმა, მოშლიძარმა, თქვა, რომლის სქელ-სქელ შრომებს სიამოვნებით ვკითხულობ დედანში, წერს სისხლის აღრევის თაობაზე ანალი ვენური სკოლისაგან განსხვავებული თვალსაზრისით ⁸⁷, რაზეც ბატონი მეგი ლაპარაკობდა, მისთვის ჩვეული სიბრძნითა და ორიგინალურობით, მას გრძობათა სიხარბესთან აიგივებს. ამით იმისი თქმა სურს, რომ სისხლით ახლობელისადმი ამგვარი სიყვარული შუტრით გაძარცვავ ვიდაცის, რომელსაც შესაძლოა სწყურია იგი. ებრაელებს, რომელთაც ქრისტიანები ფულისადმი სიხარბეს სწამებენ, ყველა ერთან შედარებით ყველაზე მეტად აჩასიათებთ ნათესავეებს შორის ქორწინება. ასეთ ბრალდებებს რისხვის უამს წამოუყენებენ ხოლმე. ქრისტიანული კანონები, რომელნიც ებრაელებს (მათთვის, ლოლარდებისა არ იყოს, ქარიშხალი თუ იყო თავშესაფარი), სიმდიდრის დაგროვებაში უწყობდნენ ხელს, ამავე დროს, ფოლადის ჯაჭვით ბორკავდნენ მათ გრძობებს ⁸⁸. ეს ვნებახია თუ სათნოებანი ამოიჩვენო ⁸⁹ გვაჩვენებს საშინელ

⁸⁰ შექსპირის რელიგიური მსჯამსის ირგვლივ არსებული კამათის გამოძახილი. იგულისხმება ნანაო ჟოზეფ დარლინგტონის წერილი „შექსპირის პიესების კათოლიკურობა“ (1897-1898).

⁸¹ „ესა შემაბერონ“ (ლათ.). შექსპირის შესახებ ბენ ჯონსონის ნათქვამის რემინისცენცია: „ის ისე თავისუფლად (ლადად) მიედიხებოდა, რომ ზოგჯერ საჭირო იყო მისი შეჩერება“.

⁸² შექსპირმა მიერ სხვადასხვა წყაროებით სარგებლობის პაროდული შეფასება. რომელშიც გამოსტკვივის აგრეთვე ირონიული მიმართება გერმანელი შექსპიროლოგების პროტესტის მიმართ, რომელნიც სშირად ხმარობდნენ გამოთქმას „ჩვენი შექსპირი“.

⁸³ „შემდგომ. აღნიანთა საზოგადოებაში სრულიად აუცალბებელია რაც შეიძლება ბევრი მეგობრობდნენ ერთმანეთთან“. (ლათ.). თომა აქვინდლის ღებულება.

⁸⁴ „ილოცე ჩვენთვის“ (ლათ.).

⁸⁵ „მაკოცე საჭადონზე, ბემო ვულიკო!“ (ირლანდ.).

⁸⁶ რეპლიკა სინგის ერთ-ერთი პიესიდან.

⁸⁷ „ვენური სკოლა“ — იგულისხმება ფსიქოანალიტიკოსთა (პირველ რიგში ფროიდის) სკოლა.

⁸⁸ იხ. პოლანიუსის ცნობილი დარიგება (კეინც კი მეგობრად მიგახხია, გამოფიცლია ფოლადის ჯაჭვით ნიიჭედე“).

⁸⁹ დედანში ნახმარია ბლეიკის ლექსიდან აღებული სიტყვა, რომელიც დაბლოკილ „არავესმამიკო“-ს ნიშნავს.

სამსჯავროზე. მაგრამ კაცი, რომელიც ასე ჩაბლაუჭებია იმას, რასაც საკუთარ უფლებად მიიჩნევს მასზე, რასაც თავის ვალს ეძახის, იმასაც მაგრად ჩაებლაუჭება, რასაც საკუთარ უფლებად ჩათვლის მასზე, ვისაც თავის ცოლის ეძახის. არა უთქმიდეს გული ბატონ სახემლიმარ მოყვასს არცა სცხოვრისა მისისა, არცა ცოლისათვის მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხეჭარისა მისისა, არცა უღაჯი დიდყურისა მისისა⁹⁰.

ბიზანტიური

— არცა ფაშატისა, განოეძრაბა ბაკ მალიგანი.

— კეთილშობილ უილს⁹¹ უხეშად ექცევთან, დიდსულოვნად თქვა კეთილშობილმა ბატონმა ბესტმა.

— უილი თუ სურვილი? რბილად ჩაურთო ბაკ მალიგანმა. რალაც აგვერია.

— სიცოცხლის სურვილი, წაიფილოსოფოსა ჯონ ეგლინტონმა, რადგან ები, უილია ქვრივი, სიკვდილის სურვილია⁹².

— Requiescat!⁹³ ვედრების კილოთი თქვა სტივენმა.

დიდი ხანია გაუფლავო ყავლი სურვილებს⁹⁴.

— გაშეშებული გამოტილა იმ ნაკლებხარისხოვან საწოლში, მკერდგაღვილი დედოფალი⁹⁵, თუხდაც დაამტკიცოთ, რომ საწოლი იმხანად ისეთივე იშვიითობა იყო, როგორც ავტომანქანა ახლა და რომ მისი ჩუქურთმები შვიდი საპრეველოს საოცრებას წარმოადგენდა. ხანში რომ შევიდა მქადაგებლებს მიეძალა (ერთ-ერთი მათგანი ნიუ პლეისში ჩერდებოდა და ერთ კვარტ ესპანურ ღვინოს სვაძდა ქალაქის ბარჯზე, მაგრამ საკითხავია თუ რომელ საწოლში ეძინა) და გაიგო, რომ სული ჰქონია. მან წაიკითხა, ან წაუკითხეს იაფფაქიანი წიგნები, რომლებიც „უინძორელ ქალებს“ ერჩია და როცა ღამის ჭოთანზე წაძოსკუბდებოდა, ფიქრობდა მორწმუნეთა შარვლის დუგმებსა და ღილის კილოებზე და უსულიერეს საბურნუთეზე, უღვთისმოსავეს სულებს ცხვირს რომ დააცემინებინებ⁹⁶. ეენერამ ტუჩები მოპრუწა ლოცვაში. სანდისის ქენჯხა. ეს ის ასაკია, როცა ჭანცვაწყვეტილი ბოზანკალობა თავის ღმერთს დაუეძებს.

— ისტორია ადაბტურებს ამას, inquit Eglintonus Chronologos⁹⁷. აააკი აააკს ენაცვლება: მაგრამ მაღალავტორიტეტული წყაროებიდან ვიცით, რომ ადამიანის ყველაზე დიდი მტერი მის საკუთარ სახლში და ოჯახშია საძიებელი⁹⁸. ვგონებ რასელი შართალია. რა გვესაქმება მის ცოლთან და მშას-

⁹⁰ მათე 23-ე მარადიარებული ვარიანტი (მეორე შეჯულისა 5.21 და სავ.).
⁹¹ ბენ ჯონსონის მიერ შექსპირის მიხარო სახანო ეპილოტის რემინისცენაცია.
⁹² ეგლინტონი შესაძლოა ვულისხმობს ფროიდიისტულ თეზას იმის შესახებ, რომ არცნობიურის ორ ძირეულ და ურთიერთდაპირისპირებულ ძალას სიცოცხლისაკენ და სიკვდილისაკენ სწრაფვა წარმოადგენს.
⁹³ „განისვენე“ (ლათ.).
⁹⁴ ჯორჯ რასელის ლექსიდან.
⁹⁵ პარველი მსაჯობის მიერ ჰეკუბას აღწერა („კამლეტი“, 2.2). ეს ადგილი მაჩაბელს სუსტად არა აქვს თარგმნილი, მაგრამ ქართული ნკითხველისათვის შექსპირული აღუზის შესანარჩუნებლად ნივთიერულ დავტოვე მაჩაბლისეულ გამოთქმა „მეტრადღადღილი დედოფალი“.
⁹⁶ პერიტანელია პაპფლეტების პაროდირებული სთაურები.
⁹⁷ „წარმოსთქვა ეგლინტონმა, მემატიანეში“ (ლათ.).
⁹⁸ „და მტერ იღვეენ კაცისა საღუფუნნი თვისნი“ (მათე 19, 36).

თან? მე ვიტყვოდი, მხოლოდ საოჯახო პოეტებს გააჩნიათ ოჯახური ცხოვრება. ფოლსტაფი ოჯახის კაცი არ იყო. ჩემი აზრით მსუქანი რაინდი მისი საუკეთესო ქმნილებაა.

გამხდარი, სკამის ზურგს მიეყრდნო. მორცხვი, მამა უარპყავ, დავმე გვარი⁹⁹, მდიდრული, მორცხვი, ურწმუნოებთან ერთად რომ შექმნის უკმაყოფილოებს, ოლსტერელმა მამამ მცხებად დაუდო¹⁰⁰. წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოაკითხავს ხოლმე. ბატონო მეგი, სერ, ჯენტლმენს სურს თქვენი ნახვა. ჩემი? ამბობს, თქვენი მამაა, სერ. მომეცით ჩემი უორდსუორთი. ვენოდის მეგი დიდი ძეგალი¹⁰¹, ზორზოხა, თბავაჩეჩილი კერნი, ადვილად შესახსნელი ზვანჯრიანი ხიფხიფით, ათქვევამოვლილი ტალახიანი წინდებით, ველური ვაშლის ბის კვერთხით სელნი¹⁰².

შენი საკუთარი? ის იცნობს მინაშენს. ქვრივი.

დედის რატაც სასიკვდილო სარეცელისაკენ მივიჩქაროდი. მხიარული პარიზიდან, ნავმისადგომში მის ხელს შევეხე. ხმა, აქამდე უცნობი სიტბო. ლაპარაკობს. ექიმი ბობ კენი მკურნალობს. თვალები სიკეთეს რომ მისურვებენ. არცე მიცხობენ.

— მამა, თქვა სტივენმა და თან საკუთარ სასოწარკვეთას ებრძოდა, ვარდაუვალი ჭირია. მან თავისი პიესა მამამისის სიკვდილის რამდენიმე თვის შემდეგ დაწერა¹⁰³. თუ თქვენ ამტკიცებთ, რომ ჭალარაწერული მამაკაცი თრი გასათხოვარი ქალიშვილის პატრონი, ოცდათხუთმეტი წლის სიცოცხლით დამძიმებული, nel mezzo del cammin di nostra vita¹⁰⁴, სამოცდაათი წლის ცხოვრებისეული გამოცდილებით, თითქოს უწვერ-ულვაშო უიტენბერგელი სტუდენტია, მაშინ თქვენ ისიც უნდა ამტკიცოთ, რომ მისი სამოცდაათი წლის მოხუცი დედა ავხორცი დედოფალია. არა. ჯონ შექსპირის გვამი ხანსა რასმე ღამე არ დადის¹⁰⁵. სულ იბრწინება და იბრწინება¹⁰⁶. იგი განისვენებს, მამობისაგან განიარაღებული, თავის შვილს რომ გადასცა ეს მისტიკური სტატუსი. ბოკაჩოს კალანდრინოს პირველი და უკანასკნელი მამაკაცი იყო, მუცელში შვილი რომ იგრძნო¹⁰⁷. მამობა, როგორც შექსპირის ცნობიერი აქტი, უცნობია მამაკაცისათვის. ეს მისტიკური მდგომარეობაა, მოციქულებრივი მემკვიდრეობა. ერთადერთი შემქმნელისაგან ერთადერთ შემქმნილისაკენ¹⁰⁸. სწორედ ამ

⁹⁹ „მამა უარპყავ, დავმე გვარი“ — კულოტას სიტყვები (2, 2).

¹⁰⁰ „მინაშენის ეგლოზიკოსის (შეჯ.) მამა ოლსტერელი კი არა, დედოფალია თითო“.

¹⁰¹ მეგს საკუთარი პოეტის უორდსუორთის აღრულ შექმნაში ხმოვან მოთხრობა სკოლის მასწავლებელ-მეგალი.

¹⁰² მინაშენის შექსპირის „ბონად მორცხვი“ (2, 1), „ქმნი მიტუდუტე“ (3, 7), „შენი ნეთახეზე“ (ნაწ. 2, 2, 4) და ბიტის ერთ ერთი პიესის აღრულ ვარიანტზე.

¹⁰³ ჯონ შექსპირი გარდაიცვალა 1601 წელს სუტტემბერში. ბრანდესის ცარაუდით „მამ-დერი“ მალევე დაიწერა.

¹⁰⁴ „ამ ცხოვრებას ნაუგარავზახე“ (იტ. ამ სატყეებით იწყება დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ (თარგ. კ. გამსახურდიასა).

¹⁰⁵ „კამლუტას“ რენინისკენცია (1, 3).

¹⁰⁶ რეპლიკა შექსპირის კომედიიდან „როგორც ვენებოთ“ (2, 7).

¹⁰⁷ ბოკაჩოს „დეკამერონში“ მოთხრობილია ამის შესახებ, თუ როგორ დააჩერებენ მეგობრები კალანდრინოს, რომ ის თრსულად არის და შენდევ გაამბრჯლოს მოსთხოვენ მოსარჩენად.

¹⁰⁸ მინაშენის შექსპირის „ბონეტების“ მიძღვის ტექსტი და პიბლიკა გამოთქმა: „მხოლოდ შობაღმან გემან, რომელი თუა წიაღთა მინისათა“ (იოანე 1, 18).

ღღუმალებამაზა დაფუძნებული ეკლესია და არა მადონაზე, რომელიც ცბიერმა იტალიურმა გონებამ ევროპის ბრბოს მიუგლო, და დაფუძნებულია ურყევად. რადგან სამყაროსათვის, მაკრო და მიკროკოსმოსივით, სიცარიელეზე დაფუძნებული. გაურყვევლობაზე. დაუჭრებლობაზე¹⁰⁹. Amor matris¹¹⁰, სუბსტანციური და თბიქტური ნათესაობითი ბრუნვა, შესაძლოა ერთადერთი მსაჯულთა იყოს ცხოვრებაში. მაძობა შესაძლოა მხოლოდ იეროდულია ფანქარული შვილის რომელი მაძაა, რომელიმე შვილს რომ უყვარდეს ანდა თავად უყვარდეს რომელიმე შვილი?

რა ჯანდაბის თქმა გსურს ამით?

ვიცი. ხმა ჩაიწყვიტე. ჯანდაბას შენი თავი! მაქვს მიზეზები.

Omplius. Adhuc. Iternum. Postea.¹¹¹

ანდა მისჯილი ხომ არა მაქვს?

— მათ ისე რიგად აშორებს ერთმანეთისაგან ხორციელი სირცხვილი, რომ ყოველნაირ სისხლის აღრევითა თუ გარყვნილებით დადაღული მსოფლიო კრიძისალური მატიაზე თითქმის არ შეიცავს ასეთ დარღვევებს. ვაჟიშვილები დედებთან, მამები ქალიშვილებთან, ლესბიანელი დები, სიყვარულნი თავის გამხელას რომ ვერ ბედავენ¹¹², შვილიშვილები ბებიებთან, პატიმრები ჭუჭრუტახებთან, დედოფლები ბულებთან¹¹³. ვაჟიშვილი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, სილაძახის მტერია, დაიბადება და ტყვილი მოაქვს, სიყვარულის მოზიარე ხდება, საზრუნავს აჩენს. ის მამრია: მისი ზრდა მამის დაკნინებაა, მისი სიჭაბუკე — მამის შური, მისი მეგობარი — მამის მტერი.

ამის შესახებ rue Monsieur-le-Prince-ზე¹¹⁴ ვფიქრობდი.

— რა აკავშირებს მათ ბუნებაში? წამიერი ბრმა ხურღში.

მე ნამა ვარ? რომ ვიყო?

შემცბარი გაუბედავი ხელი.

— საბელიუსი, აფრიკელი, უგონიერესი პერესიარქი ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა¹¹⁵, ამტკიცებდა, რომ მამალმერთი თავად იყო მისივე საკუთარი ძე. აქვინელი ბულდოგი¹¹⁶, რომლისთვისაც არაფერი იყო შეუძლებელი,

¹⁰⁹ ე. ი. სტივენი ამტკიცებს, რომ მამალმერთისა და ძელმერთის ერთარსოვნობის რთული თეოლოგიური იდეა — ტალიტრმა დედასმსახურებამ მარიაშს სახია წმინდა გმოციური აღქმით შეცვალა.

¹¹⁰ „დედის სიყვარული“ (ლათ.), ირანზროვანი გამოთქმის ნიშნში: დედის მხრიდან შეიღია სიყვარული ან პირიქით — შეიღეს მხრიდან დედის სიყვარული.

¹¹¹ „ამას გარდა, აქამდე, კვლავაც ამიერიდან“ (ლათ.). — სქოლასტიკურ მსჯელობასთან დაკავშირებული რიტორიკული ტერმინები.

¹¹² კვლავ ოსკარ უაილდის ფრაზის რემინისცენცია.

¹¹³ ბერძნული მითის მიხედვით, კრეტის ნეფეს მინოსის მეუღლეს მასიუაეას შეუყვარდა ზღვის თეთრი ხარი, რომელიც პოსეიდონმა მინოსზე შურისძიებას მიზნით მიუგზავნა. დედოფალი დედალოსსს მიერ გაცემებულ ხელოვნურ ძროხაში შეძვრა და ისე მიიზიდა ხარი. ამ არაბუნებრივი კავშირიდან იშვა ერზხული მინოტაური.

¹¹⁴ „მუსიე-ლე-პრინსის ქუჩა“ (ფრ.). — საუკუნის დასაწყისის პარიზის სარტსკიპოვებით ცნობილი ადგილი.

¹¹⁵ „ხოლო გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა, რომელნი ქმნა უფალმან ღმერთმან“ (დაბადება II, 1).

¹¹⁶ თომა აქვინელი დომინიკანელი იყო, ხოლო მუასაუკუნეებში ხშირად მიმართავდნენ სიტყვას თამაშს — „დომინიკანელი“ და Domini canis ანუ „ღმერთის ძაღლი“.

უარყოფს მას. ამრიგად: თუკი მამა, რომელსაც არ ჰყავს შვილი, არ არის მამა, შეიძლება რომ შვილი, რომელსაც არა ჰყავს მამა, იყოს შვილი? როცა რატ-
 ლენდსეკოსსაუთაქმპტოაშექსპირმა¹¹⁷ ანდა იმავე სახელის მქონე რომელი-
 ლაც სხვა პოეტმა შეცდომათა კომედიამი¹¹⁸ დაწერა „ჰამლეტი“, იგი უზრა-
 ლოდ საკუთარი შვილის მამა კი არ იყო, არამედ, აღარ იყო მამაშვილი, მისი
 იყო და თავს გრძობდა მთელი თავისი მოდგმის მამად, საკუთარი მამის მს-
 მად, თავისი ჯერ არ დაბადებულა შვილიშვილის მამად, რომელიც, იმავე ნიშ-
 ხით, არასოდეს დაბადებული, რადგან, ბუნებას, როგორც ეს ბატონ მეგის ეს-
 მის, სივს არულოფილება¹¹⁹.

ეგლინტონსწერამ, სიამოვნებისაგან გაბრწყინებულმა, ქორცხვათლად აი-
 ხედა, ძნიარულად გამოძიარალი ეგ ლიტონი პურიტახელი.

საამებლად, იშვიათად, მაგრამ საამებლად.

— საკუთარი თავის მამა, უთხრა იემალიგანმა საკუთარ თავს, მოიცაო.
 მე ორსულად ვარ, ტვინში დაუბადავი ბავშვი მიზის, ათენა პალადა!¹²⁰ პიესა!
 პიესაა რაც არის! ეს წარმოგვეჩინა მე ვაძიძხელს მეფის სიბიძისს!¹²¹ ნება მი-
 მოაგო ვიშშობიარო! მუცლოვან შუბლზე ბავშვის მიძღები ხელეზი იტაცა.

— რაც შეეხება მის ოჯახს, თქვა სტივენმა, დედანისის სახელი არდენის
 ტყეში ცოცხლობს, მისმა სიკვდილმა მისგან ვოლუმნია შვი „კორიოლანუს-
 ში“. მისი ვაჟიშვილის სიკვდილი ყნაწვილი ართურის სიკვდილის სურათია
 „მეფე ჯონში“¹²², ჰამლეტი, შაგი უფლისწული¹²³, ჰამნეტ შექსპირია. ჩვენ
 ვიცით თუ ვინ არიან გოგონები „ქარიშხალში“, „პერიკლეში“, „ხამთარის
 ზღაპარში“. ვინ არიან კლეოპატრა, ეგვიპტურ ქოთანში, და კრესიდა და ვენე-
 რა, ჩვენ შეგვიძლია მივხედეთ¹²⁴, მაგრამ მისი ოჯახის კიდევ ერთი წევრი
 მოიხსენიება.

— სიუჟეტი იხლართება, თქვა ჯონ ეგლინტონმა. კვაკერი ბიბლიოთეკარი,
 ხტუნაობით, ცერებზე შემდგარი შემოვიდა, სკუპ, მისი ნილაბი, სკუპ-სკუპ,
 ჩქარა, სკუპ, კვა-კვა.

კარი მიიხურა, საკანი, დღე.

¹¹⁷ გაერთიანებულია სამი „კანდიდატის“ გვარი ე. წ. ანტიშექსპირიატთა მიერ გამოცხა-
 დებულ შექსპირის ბიუსების ავტორობის „ვაკანაოზე“ (რატლენდის გრაფი, დილოსოფოსი
 ბეკონი და შექსპირის მეცნატი საუთთემპტონის გრაფი). საერთოდ „შექსპირის ავტორობის“
 ეს დილტანტური თეორია არც ერთ სერიოზულ მკვლევარს არასოდეს არ გაუზიარებია.

¹¹⁸ მიწიშნებულა შექსპირის „შეცდომათა კომედიის“ ერთნაირი სახელის მქონე გმირე-
 ბი — ტყუპი იშები.

¹¹⁹ იგულისხმება ეგლინტონის ეგვი „ნაკადულის კენჭები“.

¹²⁰ ჰესიოდეს მიერ გადმოცემული მითის მიხედვით, ათენა პალადა ზევსის თავიდან დაი-
 ბადა, იგულისხმება აგრეთვე „ცოდვის“ დაბადება სატანის თეოდან მელტონის „დაკარგულ
 სამოთხეში“.

¹²¹ „ჰამლეტი“, 2, 2.

¹²² ბრანდესი და ჰერისი მიიზნევენ, რომ კორიოლანუსის დედის ვოლუმნიის პროტო-
 ტიპი მერი არდენი იყო, ყნაწვილი ართურისა „მეფე ჯონში“ — ჰამნეტ შექსპირი.

¹²³ „შაგი უფლისწული“, რა თქმა უნდა, მგლოვიაზე ჰამლეტია, მაგრამ მიწიშნებულა
 აგრეთვე „ეგლინის შაგი უფლისწული“ ედუარდი (1333—1376), რომელსაც არ ერგო ტა-
 ტი, რადგან მამაშიზზე აღრე მოკვდა.

¹²⁴ კლეოპატრა, კრესიდა და ვენერა („ანტონიუს და კლეოპატრა“, „ტროილუს და კრე-
 სიდა“, „ვენერა და ადონისი“), სტივენის „თეორიით“, შექსპირის ცოლია ენ ჰეიდუის მი-
 ლდვით შექმნილი ბასიათებია.

ისინი ისმენენ, სამნი, ისინი.
მე შენ ის ისინი.



სტიჰენი

მას სამი ძმა ჰყავდა, გილბერტი, ედმუნდი, რიჩარდი. გილბერტი უყვებოდა ძმაცაცებს როგორ ეშოვნა ერთხელ უფასო სასუფი გალასახადენის, ამკრეფისაგან დალახვროს ეწმაცმა და ნახა თავისი ძამიკო უილი პიესებია მწერალი ლონდონ ქალაქში ჭიდაობის პიესაში გვერდულით რომ გადმოიღო კაცა¹²⁵. თეატრის ძეხვებმა მოხიბლეს გილბერტის სული. ის არსად არ არის: მაგრამ ედმუნდი და რიჩარდი უკვდავქმნილნი არიან ტკბილხმოვან უილის ნაწარმოებებში.

მეგიგლინჯონი

სახელები, აბა რა არის სახელი?

პესტი

ეს ხომ ჩემი სახელია, რიჩარდი, იმედი მაქვს კეთილ სიტყვას შეაწევთ რიჩარდს, ხომ კი, ჩემი ხათრით.

(ს ი ც ი ლ ი.)

ბაკ მალიგანი

(Piano, diminuendo.)

მაშინ მიმართა მედიკმა დიკმა
თავის ამხანაგ შედიე დეივის...

სტიჰენი

ვერაგი სურვილების სამებაში, ვიგინდარები, იაგო, კუზიანი რიჩარდი, ედმუნდი „მეფე ლირიდან“, ორნი ბოროტი ბიძების სახელს ატარებენ. თანაც ეს უკახასკნელი პიესა დაიწერა ან იწერებოდა იმ დროს, როდესაც მისი ძმა ედმუნდი საუთუოკში კვდებოდა.¹²⁷

პესტი

იმედია ძირითადად ედმუნდს შეხვდება, მე არ მინდა, რომ რიჩარდი, ჩემი სახელი...

(ს ი ც ი ლ ი.)

კვაკერლისტერი

(A tempo.) მაგრამ ვინც კი ჩემს კეთილ სახელს გამომასალმებს...¹²⁸

¹²⁵ შექსპირის ძმები, გილბერტი (დ. 1566), როგორც ჩანს, უილიამზე დიდხანს ცხოვრობდა; ედმუნდი (1580—1607); რიჩარდი (1574—1613).

¹²⁶ შექსპიროლოგი სიდნი ლი ვადმოჯევემს ინგლისელი ანტიკვარია უილიამ თელდენის (1696—1761) ცნობას იმის შესახებ, თითქოს შექსპირის ერთ-ერთ ძმას უნახოს იგი მსახურ ადამის როლში კომედიაში „როგორც გაჩნობთ“. სტიუენის ვერსიაში შექსპირს უფრო მნიშვნელოვანი როლი აქვს მიღებული — თარღანდოსი, რომელიც კომედიაში ექილადება ჩარლზს.

¹²⁷ „მეფე ლირის“ სამოთხეო იქნა წარმოკვეთილი სამეფო კარზე 1606 წ., 1607 წლის 21 დეკემბერს კი საუთუოკში დაკრძალეს ედმუნდ შექსპირი.

¹²⁸ იაგოს ცხოვრულ-სიტყვები („ოტელო“, პ. 3). თარგ. ი. მაქაბლიძე.

ს ტ რ ი მ ე ნ ი

(Stringendo.) საკუთარი სახელი მან დამალა, ჩინებული სახელს¹²⁹, უილიამი, თავია პიესებში, აქ სტატისტი, იქ მასხარა, მსგავსად ძველი ატალიელი მხატვრისა, საკუთარ სახეს სადღაც ტილოს ბნელ კუთხეში რომ მოათავსებს. მან იგი სოხეტებში გამოიყვანა, სადაც უილი ზომიანე შეტყობინებულია. ჯონ ვონტის მსგავსად მასაც ეძვირფასება საკუთარი სახელს¹³⁰, მასვე მასვე სააზნაურთა გერბი, რომლისთვისაც თითლიბაზობა დასჭირდა, დაბრილ შავ ზოლზე მოვერცხლილი ფოთაღია ოროლი, honorificabilitudinitatis¹³¹. უფრო ეძვირფასება ვიდრე დიდება და სახელი ინგლისის უდიდესი სცენის-მრჩეველისა¹³². რაა სახელი? ამას ვეკითხებით საკუთარ თავს ბალბობაში, როცა ეწერათ სახელს, რომელიც ვეითხრეს რომ ჩვენია. ვარსკვლავი. ცისკრის ვარსკვლავი, კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა, როცა ის დაიბადა¹³³. იგი მარტო ანათებდა დღისით ზეცაში, უფრო კამკაშა ვიდრე ვენერა ღამით, და დამე იგი ანათებდა კასიოპიის დელტას. გაწოლილი ზომლის ზემოთ, მისი ინციფილის ხელწერას რომ წარმოადგენს ვარსკვლავთა შორის¹³⁴. მისი თვალებო უმწერდნენ მას, ჰორიზონტისკენ დაღმავალს, დიდი დათვის აღმოსავლეთით, როცა ის 'ხაფხულის მთვლემარე მდელოებით შუალამისას მოტერიდან და სატრფოს მკლავებიდან ბრუნდებოდა¹³⁵.

ორივე კმაყოფილია. მეც.

არ უთხრა, რომ ის ცხრა წლის იყო, როცა კუდიანი ვარსკვლავი გაქრა და სატრფოს მკლავებიდან.

ვლოდები როდის გაგეარშიყებიან და შეგაცდენენ¹³⁶. ე. უსულგულო აღაძიანო. ვინ გაგეარშიყება?

ზეცაში ამოიკითხე. Autontimerumenos.¹³⁶ Bous stephanoumenos.¹³⁷ რომელია შენი ვარსკვლავი, სტივი, სტივი, რადს ჩივი. S. D.: sua donna. Gia: di lui. Gelindo risolve di non amar S. D.¹³⁸

¹²⁹ სახელი უილიამი იშვიათად გვხვდება შექსპირის პიესებში და ისიც მხოლოდ უმნიშვნელო პერსონაჟთა შორის. ამ სახელს, მინარს გამოთქმული შეფასება — „მშვენიერი სახელი“ — სტივენმა (ჯონსმა) აიღო კომედიიდან „როგორც ვახვობთ“ (5, 1).

¹³⁰ ეს გრძელი ხელოვნური ლათინური კომპოზიტი აღებულა კომედიიდან „სოციალულის ამოთ ვარჯა“ და ნიშნავს: „პატივით დახვედბულ მფგომარეობაში“.

¹³¹ რომერტ გრინის ზემოთ ნახსენებო „თავდასხმა“ შექსპირზე: ივარი ცტიმლოლოგიურად იშიდრება როგორც კომპოზიტი „შუბის მრჩეველი“ და გრინიც ამაზე აგებს თავის ირონიას — „სცენის მრჩეველი“.

¹³² კრთმოლოგიურა სიზუსტე დაცული არ არის (რაც თვით ტექსტში გამოჩნდება კუდიანობით): ხსენებული კომეტა ცაზე მოჩანდა 1572 წლის 11 ნოემბრიდან დეკემბრამდე (როცა შექსპირი რვა-ნახევარი წლის იყო).

¹³³ კასიოპიის დელტა, თანეარსკვლავედი, რომლის არეშიც ჩანდა კომეტა, უორშით სახელუილიამის პირველ ასოს წაავავს — W.

¹³⁴ მოტერი — სტრეტფორდის მახლობლად მდებარე კოფელი, სადაც დღესაც დვან პუთუეების კოტეჯი.

¹³⁵ შექსპირის „ქენრი მეფის“ ტექსტის აღწერა (ნაწ 1, 3, 3).

¹³⁶ „თვითმაწაშებელი“ (ლათ)

¹³⁷ „ნიშნდაღებული ხარი“ (ველსკ. ლათ). როგორც ჩანს, იგულისხმება შესაწიბავად დანიშნული ხარი.

¹³⁸ „S. D. მისი ქალი, თ. რა თქმა უნდა, მისი, კუდიანო ვადასწვევტს არ ეუვარდეს S. D.“ (იტ.) S. D. დასაწყიათ იშნავს sua donna-ს (მისი ქალი), ხოლო ბალბოში შეიძლება სტივენის ინიციალეება იაშნავდეს (სტივენ დელაღოსი).

— მაინც რა იყო, ბატონო დედალოს? იკითხა კვაკერმა ბიბლიოთეკარმა, რაიმე ციური მოვლენა?

— ღასით ვარსკვლავი, თქვა სტივენმა, დღისით სვეტი ღრუბლისა¹³⁹.

მეტი რა უნდა ითქვას?

სტივენმა შეხვდა თავის ქუდს, ჯონს, ფეხსაცმელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Stephanos¹⁴⁰, ჩემი გვირგვინი, ჩემი ხმალი, მისი ფეხსაცმელი ჩემს ფეხებს ამახებებს. ახალი ვიყიდი, გაბურღილი წინდები, ცხვირსახოცი.

— სახელს კარგად ათამაშებთ, ალიარა ჯონ ეგლინტონმა, ატყუნი საუკეთაო-რი სახელიც საკმაოდ უცნაურია. ვფიქრობ ეს განსაზღვრავს თქვენა ფცქაურ პუმორს.

მე. მეგი და მალიგანი.

საარაკო ოსტატი¹⁴¹, კორისხსგავსი კაცი, შენ მიფრინავდი. საითკენ? ხიუბეივეს-ღიები¹⁴², მესამე კლასის მგზავრი, პარიზი და უკან. პრანწია, იკაროსი¹⁴³, Pater, ait¹⁴⁴, ზღვისქაფშეფკურებული, ჩამოვარდნილი, ტალღებზე მოტივტივე, პრანწია ხარ შენ, პრანწიაა ის¹⁴⁵.

ბატონმა ზესტმა სულწასულმშვიდად ასწია ბლოკნოტი შემდეგის სათქმელად:

— ეს შეტად საინტერესოა, რადგან ძმის მოტივი, იცით, ძველ ირლანდიურ მითებშიც გვხვდება. ზუსტად რასაც თქვენ ბრძანებთ. სამი ძმა შექსპირი, გრიმიც, იცით, ზლაპრები, მესამე ძმა რომ ცოლად ირთავს მძინარე მზეთუნახავს და საუკეთესო ჯილდოს იღებს¹⁴⁶.

საუკეთესო ძმათა შორის საუკეთესო, კარგი, უკეთესი, საუკეთესო.

— ძითხარით გეთაყვა, თქვა მან, თქვენ რომელ ძმას... როგორც გავიგე, თქვენ გულისხმობთ, რომ ერთ-ერთ ძმასთან ცოლქმრული ღალატია დაკავშირებული... ან იქნებ ვჩქარობ?

დროზე მიხვდა: შეხვდა ყველას: თავი შეიკავა.

თახაშემწუმ შესასვლელიდან დაიძახა:

ბატონო ლისტერ! მამაო დინინი ვახსოვთ...

ო, მამაო დინინი! მოვდივარ.

სწრაფად მოვდი ჭრაჭუნით მოვდი მოვდივარ წავიდა.

ჯონ ეგლინტონმა მიიღო გამოწვევა.

— გახაგრძეთ, თქვა მან, ჩვენ გვაინტერესებს რას იტყვით რიჩარდისა და ედმუნდის შესახებ, თქვენ ისინი ბოლოსათვის შემოინახეთ, არა?

— ალბათ მეტისმეტი მოთხოვნაა, რომ გახსოვდეთ ეს ორი წარჩინებუ-

139 წიგნი გამოსვლათა 13, 21.

140 „გვირგვინი“ (ბერძნ.).

141 იგულისხნება მითიური დედალოსი.

142 ატავენის მარშრუტი ღრუბლიდან პარიზამდე.

143 ატავენ დედალოსი, ანაფე დროს, დედალოსის შვილია და ამდენად მითოლოგიური ანალოგიით — იკაროსიც (ველავ მამა-შვილის ერთარსებობის იდეა).

144 „მამა, ვერას იგი“ (ლათ.).

145 ფრინველი პრანწია სტივენის ცნობიერების ნაკადში მოხვდა ოვიდიუსის შაერ იკაროსის ზღვაში ჩავარდნის აღწერილიან.

146 ძმები გრიმების ზლაპარში „მძინარე მზეთუნახავი“ ძმათა მოტივი არ ვხვდება.

ლი სახლიკაცი¹⁴⁷ ბიბიკო რიჩი და ბიპიკო ედმუნდი, უპასუხა სტივენმა ძმას ისევე იოლად ივიწყებენ, როგორც ქოლგას.

პრანწია:

სად არის შენი ძმა? პროფიზორების კლუბში. ჩემი სასიხარულოა, რომ ის იმდენად კარგად იმსახურებს, როგორც ჩემი ძმისა. მაგრამ იმოქმედე. მოქმედი ლაპარაკი, ისინი დაგცინიან, რომ გამოგცადონ, იმოქმედე. ამოქმედდი.

პრანწია:

ღაღიქანცე ხეში სმისაგან, ესაყის ხმისაგან. ჩემს სამეფოსა ერთ კათხამო გააღვე¹⁴⁸.

იდი:

— თქვენ შეტყვიით, რომ ეს სახელები გვხვდება იმ ნატიანეებში, საიდანაც მან თავისი პიესების მასალა აიღო¹⁴⁹. რატომ აიღო მაინც და მაინც ისინი და არა სხვები? რიჩარდი, კახბის კუზიანი შვილი, ნაბიჭვარი, ესიყვარულება დაქვრივებულ ეხს (რამ სახელი?), ვარშიყება და იმორჩილებს მას, კახბის სკილი მხიარული გეროვი. რიჩარდ დამპყრობელი — მესამე ძმა, უილიამ დამპყრობლის შემდეგ მოდის, დახარჩენი ოთხი მოქმედება ამ პიესისა პირველზეა დონდლოდ ჩამოყიდებული. ყველა მის მეფეთა შორის რიჩარდი ერთადერთი მეფეა, რომელიც არ არის დაცული შექსპირის სიმპათიით, ანგელოზის ამა ქვეყნისა¹⁵⁰. „მეფე ღირის“ პარალელური სიუჟეტი, რომელშიც ედმუნდია გაათყვანილი, რატომ არის აღებული სიდნის „არკადიიდან“ და უძველეს კელტურ ლეგენდაზე მიტმასნებული?

— ასე იქცეოდა საერთოდ უილი, დაიცვა ჯონ ეგლინტონმა. ახლა ჩვენ არ შევადრებდით ნორვეგიულ საგას ჯორჯ მერედითის რომანის ნაწყვეტთან. *Que voulez-vous?*¹⁵¹ იტყოდა მური. ის კი ბოჭემიას ზღვის პირას ათავსებს და მისი ულისე არისტოტელეს ციტირებას ახდენს¹⁵².

— რატომ? უპასუხა სტივენმა თავის თავს. რამეთუ მოლალატე ძმის თე-

¹⁴⁷ „არი წარჩინებული სახლიკაცი“ — ჯონ უდენგერის პიესის მათაჟრის მიხედვით. არსებობს ვარაუდი, რომ ამ პიესის დაწერაში შექსპირსაც მიუძღვის წილი.

¹⁴⁸ ჯოისის აღბეული რომანის — „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“ — რემონის-ცენკია. სტივენმა იხსენებს თავის პარტნიორებს ინტელექტუალურ სკაბაასში („საინტელექტუალური“); თავის ძმას ზოიისს (რომელიც პროტოტიპია ჯოისის ძმა სტანისლასი), „კერავ მეგობარს“ კრენდის და აცყია მედიკოს სტუდენტ მალიგანს. ამ ჩამოთვლაში არ მოიხსენიება ლინჩი (ან „პორტრეტი“, თავი 2).

¹⁴⁹ რიჩარდ მესამის ცხოვრული რეპლიკის მიხედვით: „ჩემს სამეფოს ერთ (ქვენი ვაძლევს“ (2, 4) — ეს ნოაჩელს გამოაქვს კაცული რეპლიკა კი თავის მხრივ. უკავშირდება ბიბლიურ მოტივს: ისეთს უფროაში ჩემ ვაფენა უმცროსა ძმა იავთს თავისი პირმშობა საქმელში პოტეფადა სავა რქვა მამ იავთს. ნუფუდე მე აღეს, დაეფუცა მას; და მისცა ესავ პირმშობებანა თუასანი იავთს. ხოლო იავთს მისცა ესეცა პური და გბოლელი ოსპნისა; და ცამა და სეა და აღდგომალი ეიღოდა; და წარწემიქნა ესავ პირმშობანი“. დაბადება 25, 25—28).

¹⁵⁰ შექსპირი თავისი ისტორიული დრამების უმრავლესობისათვის (ისევე როგორც ნაწილობრივ „მაკბეტის“, „ლიორისა“ და „ციმბელინიანი“) ემთხვევა იღებდა რეფაელ პოლინ-შედის (გ. დაახ. 1580) ტრონიკებთან.

¹⁵¹ „ანგელოზი ამა ქვეყნისა“ — ციტატა „ციმბელინიანი“ (1, 2).

¹⁵² „რა ვნებავთ?“ (ფრ.).

¹⁵³ მინიშნება შექსპირის პიესებში აღებულ გეოგრაფიულ უზუსტობებსა და ანაქრონიზმებსზე.

მა ან უზურპატორისა ან გარყვნილისა ან სამთავესი ერთად მარად შექსპირის თანა არს, ხოლო გლახაკთა არა¹⁵⁴. განდევნის მოტივი, გულიდან გასდევნის, მიხილას გასდევნის, უწყვეტლივ გაისმის „ორი ვერონელი აზნაურიდან“ მოკლულბული ვიდრე პროსპერო თავის გვერთხს დაამსხვრევს, ჩამარხავს რამდენიმე ფუტის სიღრმეში და ჩაიბრავს თავის წიგნს. ეს მოტივი მისი სტრუქტურის შუაწელში გათრდება: მეორე მოტივში აღსახება, განაეორდება, ტასოსი, კატაატაზისი, კატასტროფა¹⁵⁵. იგი კვლავ მეორდება, როცა ის უკვე სამარის პირას არის, როცა მის გათხოვილ ქალიშვილს სუზენს, კვიცა რომელიც გვარზე ხტოდა, ქმრის ლაღატი დასწამეს¹⁵⁶. მაგრამ პირველი ცოდვა იყო გონებას რომ უბნელებდა მას, ნებისყოფას უღუნებდა და ბოროტებისადმი ძლიერი მიდრეკილება დაუტოვა. მილორდ შეინუთის ეპისკოპოსების სიტყვებით რომ ვთქვათ: პირველი ცოდვა, ჩადენილი მსგავსად სხვის მიერ ჩადენილი პირველი ცოდვისა, რომლია ცოდვაში მასაც მიუძღვის ცოდვა. ამის ამოკითხვა მის მიერ დაწერილ უკანასკნელ სტრუქონებს შორის შეიძლება, იგი მისი საფლავის ქვაზეა ამოტვიფრული, რომლის ქვეშ ცოლის ნეშტი არ იდება¹⁵⁷. არ შეუძელია იგი ეპითა ტრიალს. სილამაზესა და დაოკებას არ დაუთრგუნია იგი. უღუგულთა მის ნიჭთა ბაღა განდენილია მის მიერ შექმნილ სამყაროში¹⁵⁸. „აურზაურში არაფრის გამო“, ორჯერ „როგორც გენებლოთში“, „ქარიშხალში“, „ქამლეტში“, „საწყაულში საწყაულისა წილ“, და ყველა დანარჩენ პიესებში, რომლებიც მე არ წამიკითხავს.

მან გაიციინა, რათა გონება გონების ბორკილისაგან ეხსნა.

ნოსამართლე ეგლინტონმა შეაჯამა.

ჭეშმარიტება სადღაც შუაშია, განაცხადა მან. ის აჩრდილიცაა და უფლისწულიც. ის ყველაფერში კაცი იყო, ვით შექმნერის კაცსა კაცობა¹⁵⁹.

ხამდვილად, თქვა სტივენმა. პირველი მოქმედების ბიჭუნა მეხუთე მოქმედებაში დასრულებული ძამაკაცია. ყველაფერში კაცი იყო. „ცინბელინში“, „ოტელიოში“ ის მაჭანკალია და რქოსანი, თავადაც მოქმედებს და სხვებიც მოქმედებენ მასზე. იდეალზე ან გარყვნილებაზე შეყვარებული, იგი ხოზესაფით კლავს რეალურ კარმენს. მისი დაუოკებელი ინტელექტი ეჭვს ატახილი იაგია, რომელსაც განუწყვეტლივ სწადია, რომ მაგრმა იტანჯოს მასში¹⁶⁰.

¹⁵⁴ სახარების ფრაზეოლოგია (მათე 25, 11; მარკოზი 14, 7; იოანე 12, 8).

¹⁵⁵ დრამის კომპოზიციის ემპელოესი (დ. წ. ალექსანდრიის აქოლოს მიერ შექმნილი) ელემენტები: დრამის დასაწყისი, მთავარი მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კენსის გახსნა (სიკვდილი ტრაგედიაში და ჭეპოსწერა კომედიაში).

¹⁵⁶ შექსპირის ქალიშვილია მამართ ცილისწამების შესახებ მაცულობს შექსპიროლოგი სედნი ლი.

¹⁵⁷ ატრუტუოლოგი სამებას ეკლესიის საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ეპიტაფიის ანოპერისს ახსნადა (ქვე. იგი. თათქოს შექსპირი წინააღმდეგი იყო, რომ ცოლი მასთან ერთად დაეკრძალათ (როგორც შამი) ითქვა, ისინი მართლაც ცალ-ცალკე არიან დასაფლავებული).

¹⁵⁸ ენობარტუსის მიერ კლეოპატრას აღწერის რემინისცენცია (2, 2).

¹⁵⁹ ჰამლეტის მიერ მამამისის შესახებ თქმულ ცნობილი სიტყვები (1, 2).

¹⁶⁰ მონიშნებულია იაგია მიერ გამოთქმული ეჭვი (ემალი საფლავი სანტოელის ვასამართლებელი საბაბი), თათქოს ემილია ოტელიო საყვარელი ყოფილიყო.

კუკუ! კუკუ! უწმაწურად წაიკრეტუნა ზაჲ მალივანმა. ცოლწყრობითა რისხვა¹⁶¹



ბნელმა თაღმა მიიღო, უკან დააბრუნა.

შაინც რას წარმოადგენს იაგო! წამოიძახა შეუპოვარბაქა¹⁶² ტონსა. რაც არ უნდა ვთქვათ, დიუმა fils¹⁶² (თუ დიუმა Père?¹⁶³) მართალია. ღმერთის შემდეგ შექსპირმა ყველაზე მეტი შექმნა.

— მას აღარც კაცის ნახვა ეძებდა აღარც ჭალისა¹⁶⁴, თქვა ატივენმა. მოვლა სიცოცხლის არყოფნის შემდეგ ის იმ ადგილს უბრუნდება მიწაზე, სადაც დაიბადა, სადაც სუნდას. სამაკატო ღამ ბალო. უტყვი მოკვამ იყო და სადაც, როცა მისი ცხოვრების გზა თავდება, მიწაში თუთის ხეს რგავს¹⁶⁵. მერე კვდება. მიწა და მიწად იქცა. შესაფლავეთ დამარხვს პამლეტ père და პამლეტ fils¹⁶⁶. მეფე და უფლიაწული, როგორც იქნა, სიყვდილის შემდეგ, მუსიკის თახხლებათ. თუნდაც მოკლული და მოღვრებული. მაგრამ დატირებულ დასიელს თუ დუბლინელს სუსტი ნაზი გულის მიერ: ნიცვალებულის გლოვა ერთადერთი შეუღლება, რომელსაც იაინი არაფრით არ გაეყრებიან¹⁶⁷. თუ მოგწობთ ეპილოგი, კარგად ჩაუკვირდით: გამარჯვებული პროსპერო, დაჯილდოებული აათნო კაცი, ღიზი ბაბიჯოს სულელი, და ბაბიჯოს რიჩი. უკეთური კაცი, რომელსაც პოეტური სამართლიანობა განდევნის იქ, სადაც უკეთური ზახვები არიან¹⁶⁸. ფარდა დაეშვა. მას ხამდეილად არსებულად მიიჩნია ვარსამყაროში ის, რაც მის მიდასამყაროში შესაძლებელს წარმოადგენდა. შეტერლინკი ამბობს: სოკრატე დღეს სახლიდან თუ გავა, ნახავს მის კარის დირესთან მკვდარ ბრძენს. თუ იფდა გაუღვა ამაღამ გზას, იგი მას იფდასთან მიიყვანს. ყოველი სიცოცხლე ბევრი დღეა, დღითი დღე. ჩვენ საკუთარ თავში ვავადით და ვხვდებით ყაჩაღებს, მოჩვენებებს, ვოლიათებს, ბებრებს, ყდაწვილებს, ცოლებს, ქვრივებს, რაყიფ იმებს. მაგრამ მუდამ საკუთარ თავს ვხვდებით. დრამატურგი, რომელმაც ამა ქვეყნის ფოლით¹⁶⁹ დასწერა და დასწერა უბერიოდ (ჯერ მოგვცა ნათელი და ორი დღის მერე მზე), მეუფე საგანთა, როგორც არიან ისინი, რომელსაც ყველაზე მართლმორწმუნე კათოლიკენი უწოდებენ die bona ს¹⁷⁰, ჯალათ ღმერთა, უდაოდ ყველაფერია ყველაფერში, ყველა ზვეზგახში, მეჯინიზე და ყასაბი, და მაჭანკალი და რწოსანიც იქნებოდა თუ არა პამლეტის ძიერ ნაწინასწარმეტყველები ზეციური ეკონომია, რომლის თახახმადაც ქორწინებას თავი უნდა დაეანებოთ, რამეთუ დი-

161 ბანდერის სიტყვები კომედიიდან „ამაო გარჯა სიყვარულისა“ (თარგ. ე. კვადიაშვილი).
162 „შეილი“ (ფრ.).
163 „შანა“ (ერ.).
164 „პამლეტი“ 3, 2.
165 ბრანდესიც და სიღნი ლიც იმეორებენ იმ კერსიას, თითქოს სტრუქტურულში დაბრუნებულმა შექსპირმა სვე პლექსის ბაღში თეთის სე დარგო.
166 პამლეტი შამა და პანლეტი შვილი (დიუმა შამასა და დიუმა შვილის ანალოგიით).
167 ალუზიის წყარო გაურკვეველია.
168 პამლერის სიტყვები.
169 „ფოლიის“ ეძახიან შექსპირთა თხზულებათა მიჩვეულ სოფელ კრებულს (1623) ამ შემთხვევაში „აღმამატურგი“ დიქროსია, ხოლო „ფოლიო“ — სამყარო.
170 „ჯალათი ღმერთი“ (იტ.).



ქართული ენის ინსტიტუტი
საქართველოს ენობრივი უნივერსიტეტი

ღებოთ მოსილი ადამიანი, ანდროგენული ანგელოზი. საკუთარი თქვის ცო-
ლია 171.

Eurika! წამოიძახა ბაკ მალიგანმა. Eurika!

უცებ გაიბადრა, წამოხტა და ერთი ნახტომით ჯონ ეგლინტონმა მჯდომას-
თან გაჩნდა.

შეიძლება? თქვა მან. მიღება სიტყვისა უფლისასა ხელითა მალაქი-
ასი 172.

ქალაქზე დაიწყო წერა.

წასვლიას რამდენიმე ფურცელი ავიღო დახლიდან.

— ვინც კი დაქორწინებულია, თქვა ბატონმა ბესტმა, დინჯმა მაცნემ,
ვევლამ უხდა იცოცხლოს, ერთის გარდა, სხვები ისე დარჩებიან, როგორც
არიან 173.

მან გაუცინა. უცოლომ, ეგლინტონ იოანეს, ხელოვნების ბაკალავრს.

ჯვარდაუწვრტლნი, სიყვარულს მოკლებულნი, ეშმაკის მახის რომ ეშინი-
ათ, გულდასმით ფურცლავენ ყოველლამ „ჭირვეული ცოლის მორჯულების“
კონვენტირებულ აკადემიურ გამოცემას.

— თქვენ იძულებს გვიცრუებთ, პირდაპირ უთხრა ჯონ ეგლინტონმა
სტივენს. აბდენი ლაპარაკის შემდეგ ფრანგულ სამკუთხედამდე მიგვიყვანეთ.
თავად თუ გწამთ საკუთარი თეორიისა?

— არა, უცებ თქვა სტივენმა.

აბის დაწერას აპირებთ? იკითხა ბატონმა ბესტმა. იქნებ დიალოგების
სახით დაგეწყერთ, იციო, უაილდმა რომ დაწერა პლატონური დიალოგები.

ჯონ ეკლექტიკონმა ორმაგად გაიღიმა 174.

— მაშინ, თქვა მან, მე არ მესმის, როგორ უნდა მოელოდეთ, რომ ჰონო-
რარს გადაგიხდინან იმაში, რაც თავად არ გწამთ. დაუდენს მიაჩნია, რომ „კამ-
ლეტში“ რაღაც საიდუმლო იმალება, მაგრამ მეტს არაფერს ამბობს ამაზე.
ჰერ ბლაიბტროი 175, რომელსაც პიპერი ბერლინში შეხვდა და რომელიც იმ
რიტლესდის თეორიაზე ხუშაობს, ამტკიცებს თითქოს საიდუმლო სტრუქტურ-
დის საფლავშია დამალული. იგი აპირებს მოინახულოს ახლანდელი მთავარი,
ამბობს პიპერი, და დაამტკიცოს, რომ ეს პიესები მისმა წინაპარმა დაწერა. მი-
სი მოწყალეებისათვის ეს სიურპრიზი იქნება 176. მაგრამ ნას სწამს საკუთარი
თეორია.

მრწამს, ღპერთო, შემეწიე ურწმუნობასა ჩემსა 177. ანუ, შემეწიე რომ

171 ორი აღუზიის ნაერთი: კამლეტის რჩევა თველოსადში (3:1) და მათე 22, 29: „რამე-
თუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდნენ, არცა განქორწინებდნენ, არამედ ვითარცა ანჯე-
ლოზნი ღმერთისანი იყვნენ ცაის შინა“.

172 მალაქია 1, 1.

173 ევლავ კამლეტის რეფლექსიის ასოციაცია.

174 სტივენის ირონიული დამოკიდებულება ეგლინტონის ნახტებისადმი, რომელიც სხვა-
დასხვა შენედელებზეა „ხაზავს“ წამოთადგენს.

175 კარლ ბლაიბტროი (1859—1928) გერმ. პოეტი, კრიტიკოსი და დრამატურგი. აზი-
არებდა ც. წ. ანტიშექსპირიტოა დიუეტანტურ პიპოტეზას, რომლის თანახმადაც შექსპირის
დრამების ავტორი რატლესდის გრაფი იყო.

176 ყ. რ. აფს სიურპრიზი იქნება რატლესდის გრაფის ახლანდელი მთავარი მთავარმთავარისათვის.

177 მარკოზი 9, 24.

მწამდეს, თუ შემეწიე რომ არ მწამდეს? ეინ მესმარება რომ მწამდეს? ევო კაცი¹⁷⁸. ეინ მესმარება რომ არ მწამდეს? მავანი.

— თქვენ „დახას“ ერთადერთი თანამშრომელი ხართ, რომელიც ევრცხლის უზალთუნებს¹⁷⁹ თხოულობს. ამას გარდა, არ ვიცი რა მდგომარეობა იქნება შეძლევი ხომრისათვის. ფრედ რაიენს ჭირდება სტატისტიკის შეკრება.

ფრედრაიენი¹⁸⁰, ორი ევრცხლი მასესხა. ხელი გაგიმართა. ეკონომიკა.

— შეგიძლიათ, თქვა სტივენმა. ერთ გინვად გამოიქვეყნოთ ეს ინტელიგენციის მალიგანია ხითხითით მოსცილდა თავის ხითხითა ნაწერს: და მერე კომპლექსურულმა გესლმწოთოლვარედ¹⁸¹ თქვა:

— მგოსანი კინჩი მოვიჩახუღე მის საზაფხულო რეზიდენციაში ზემო მელენბერგ სტრეიტზე. Summa contra Gentiles¹⁸² გადაეშალა. მის შესწავლაში იყო ჩადღუღლი ორ გონორეალურ მანდილოსანთან ერთად, ქორცვა ნელი და როზალი, სანაპიროს კახბა¹⁸³.

ველარ მოითმინა.

წამო, კინჩ, წამო, ფრინველთა მოხეტიალე ენგუსო¹⁸⁴.

წამო, კინჩ, შენ უკვე შეჭამე რაც ჩვემ მოგვრჩა. მამ. მე მოგართმევთ თქვენი სათქვლეფის ნარჩენებს.

სტივენი წამოდგა.

ცხოვრება ბევრი დღეა. ეს ერთი დასრულდება.

— დღეს საღამოთი გხახავთ, თქვა ჯონ ეგლინტონმა. Notre ami¹⁸⁵ მური ამბობს მალაქია მალიგანი უსათუოდ უნდა მოვადესო.

ბაკ მალიგანმა დიდის ამბით დაიქნია ქალაქის ფურცელი და პანამა.

— მუსიე მური, თქვა მან, ირლანდიის ახალგაზდობის მასწავლებელი ფრახგულ სიტყვაკახმულ მწერლობაში. მოვალ. წამო, კინჩ, მგოსნებმა უნდა დალიონ. სწორ ხაზზე თუ შეგიძლია გაიარო?

მან სიცილით...

სვი და ქამე თერთმეტამდე¹⁸⁶. ირლანდიური ათას ერთი დამე.

ზორზოხა...

სტივენი მიჰყვებოდა ზორზოხას...

ერთხელ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეკამათობდით. შექს. მის ზორზოხა ზურგს მივეყვებოდი. ქუსლებზე ფეხს ვაბიჯებდი¹⁸⁷.

სტივენი ყველას გამოეთხოვა და დათრგუნვილი მიჰყვა ზორზოხა მისხა-

¹⁷⁸ მინიშნებულია ჟურნალი „ეგლისტი“.

¹⁷⁹ ე. ი. თუქას გასამრჩელოს.

¹⁸⁰ სტივენი გაიხანებს, თუ როგორ წარმოთქვამს ფრედ რაიენი თავის სახელსა და გვარს.

¹⁸¹ ჟოიანი აქ ზელოვენური გამოთქმას ხმარობს, რომლის აზრით: „თავლივით მწოთლოლავ ვესლით“.

¹⁸² თონა აქვინელის ცნობილი ტრაქტატი „ურწმუნოთა წინააღმდეგ“ (ლათ.).

¹⁸³ ილივერ გოფარტის (მალიგანის პროტოტიპი) ლექსების პერსონაჟები.

¹⁸⁴ ენგუსი — ირლანდიური მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის, აგრეთვე ქაბუამზისა და ქალწულების ღვთაება. იგი მუდამ ფრინველთა თანსლებით წარმოიდგინებოდა.

¹⁸⁵ „ზენა მეგობარი“ (ფრ.).

¹⁸⁶ სილაპოს 11 ს. დუბლინის ლუდხანებს ეტყვიანენ.

¹⁸⁷ „პამლეტის“ მესაფლავეთა სცენის რემინისცენია (5, 1).

რას, კომპილდ დავარცხნილი ახლად შეკრეჭილი თმით, თალებიანი სეზაყენიდან აზრებისაგან დაცლილ გამაყრუებელ დღის სინათლეზე.

რა ვისწავლე? მათგან? საკუთარი თავისაგან?

დადიხარ ახლა პეინზით.

მულშივი მკითხველების დარბაზი. მკითხველთა ავტოგრაფების დანთავის კემელ ზოილ ოკონორ ფიცმორის ტისდალ ფარული დღე ლარაულ ზელმოწე რას დასტოვებს: საკითხი: პამლეტი შემოღილი თუ იყო? მკურისკოლოფი კვანტრის საუბარი ღვდელუკანასთან საღვთო წიგნზე.

— ო, გეთაყვათ, სერ... მე დიდად მოხარული ვიქნები...

კმაყოფილმა ბაკ მალიგანმა კმაყოფილებით ჩაიჩურჩულა თავის კნევით:

— კმაყოფილი უკანალი.

ტურნიკეტი.

ეს ვინ?... ცისფერბაბთიანი შლაპა... დაუდევრად წერს... რა? შეგნდა?...

მიხვეული მოაჯირი; გლუვადმოსრიალე მინციუსი ¹⁸⁸.

ბაკ მალიგანი ¹⁸⁹, პანამამუხარადიანი, კიბე-კიბე ჩამოდიოდა: რამბიკურად, ღიღინით:

ჟონ ეგლიანთან, ჩემო ჯო, ჟონ.
ხეტა რატომ ცოლს არ ირთავ? ¹⁹⁰

ნერწყვი პაერს შეაბკურა:

— ო, უჩიხარო ჩინელო! ჩინ ჩონ ეგ ლინ ტონ ¹⁹¹. მაგათ სანახაობას დავესწარიო, მე და პეინზი, მექანიკის ინსტიტუტში. ჩვენი მსახიობები ახალ თეატრს უქმნიან ევროპას ბერძნებისა თუ მ. მეტერლინიკიანებით. ები თეატრ: აბატების ოფლის სიმკრალე მცემს დარბაზიდან ¹⁹².

ვითომ გადააღურთხა.

დამავიწყდა: ისევე როგორც მას არ დავიწყდა ტილიანმა ლუსიმ როგორ გაროხგა ¹⁹³. და მიატოვა femme de trente ans ¹⁹⁴. და რატომ აღარ შეეძინა შვილები? და რატომ იყო მისი პირმშო ქალი?

დაგვიანებული ოხუნჯობა. უკან დაბრუნდი.

უდრეკი ტუსალი კვლავაც იქ არის (ბაბაც უნდა და ჩიჩიაც) და ნაზი ყრმა, სიყვარულის ხეზიერი ¹⁹⁵, ფედოს ლამაზი მოსაფერებელი კულულები ¹⁹⁶.

ეე... მე მხოლოდ ეე... მინდოდა ... დამავიწყდა.. ის...

¹⁸⁸ მინციუსი — მდინარე იტალიაში, რომელიც მოხსენიებულია ქვეთ პერგილოუსა, მილტონს და სხვებში.

¹⁸⁹ ბაკ — თბილისი ბიჭუნა, მითითები ობერონის მსახური შექსპირის კომედიაში „ზაფხულის დამის სიზმარი“.

¹⁹⁰ რობერტ ბუჩნარს ღვწის პაროდია.

¹⁹¹ პანოლია ოპერეტა „გვიშას“ ერთ-ერთი სიმღერაზე.

¹⁹² ირლანდიური აღმარების ეროვნული კურს იყო 1904 წ. გამოსული კვები თეატრი (სატყუარა-სატყუარო „აბატების თეატრი“).

¹⁹³ კავშირების თანახმად, შექსპირი სტრეტფორდს მემამულე ლუსიანთან უთანხმოების გამო განერიდა.

¹⁹⁴ „ოცდაათი წლის ქალი“ (ფრა.)

¹⁹⁵ შექსპირის 26-ე სონეტის რენიმანსცენცია.

¹⁹⁶ იგულისხმება პლატონის „ფედო“.

ლოხგუორთი და მაკარდი ეტკინსონი ¹⁹⁷ აქ იყვნენ...
ბაკ მალიგანი კუნტრუშობდა და რაკრაკებდა:



თუ შემომესმა ყვირილი კაპის,
ან ჭარბსკაცი თუ საღმე დაძრწის,
კოჭლ ნაკარღანზე ფიქრით ეღონდები,
